საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№289 (12 359) 11 დეკემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი



ასეთი ქართველი არ გვინახავს:
**გამძლე, დამცველი, მსროლელი**
ამბობენ მანუჩარ მარკოიშვილზე 11

ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური:
**ლივერპული მზაგასაყარზე**
წინასამატჩო 6

**ბენიტესი შეიძლება კლინსმანმა შეცვალოს** 7

# ტრანსფერი ჩაიშალა?

## ცქიტიშვილი და მენთეშაშვილი გერმანიას ტოვებენ

## kicker: კაიზერსლაუტერნს საჭირო ფინანსები არ აღმოაჩნდა

**ლევან ცქიტიშვილის** "კაიზერსლაუტერნთან" დაკავშირებული სატრანსფერო საკითხი ლათინოამერიკული ტელესერიალივით გაიწელა. მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლება. სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა: ლევან ცქიტიშვილი დღეს გერმანიას დატოვებს. მასთან ერთად გამოემგზავრება **ზურაბ მენთეშაშვილიც.** ამის თაობაზე "ლაუტერნის" ოფიციალური ვებგვერდი არაფერს იტყობინება, თუმცა ქართველებთან დაკავშირებით ინფორმაცია "კიკერმა" გაავრცელა:

*"საქართველოს ნაკრების წევრმა ლევან ცქიტიშვილმა "კაიზერსლაუტერნში" კვირაზე მეტი ივარჯიშა. თუმცა მას სამშობლოში უწევს დაბრუნდება. ქართველმა ნახევარმცველმა გერმანული გუნდის მესვეურებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სამედიცინო შემოწმების შედეგებიც დადებითია, მაგრამ ტრანსფერი ამ ეტაპზე არ შედგა. საქმე ისაა, რომ "ლაუტერნს" სათანადო ფინანსური საშუალებები არ აღმოაჩნდა. კლუბის თავკაცებს პარასკევს, 14 დეკემბერს, ახალ სპონსორთან კონტრაქტის გაფორმების ეიმედებათ. "ლაუტერნის" ხელმძღვანელობა იმედს იტოვებს, რომ ცქიტიშვილის ტრანსფერის საკითხი ამის შემდეგ მაინც გადაწყდება".*

გერმანელები არაფერს ამბობენ ზურაბ მენთეშაშვილის შესახებ, თუმცა გავარკვიეთ, რომ ზურამ გუშინ სამედიცინო შემოწმება გიარა. მას „კაიზერის" ხელმძღვანელობა წესით 18 დეკემბრისთვის უნდა დაუკავშირდეს და ტრანსფერზე მოლაპარაკებებიც დაიწყოს.

**დავით ცაბაძე**



ცქიტიშვილის საკლუბო მომავალი კვლავაც ბუნდოვანია

# იტალიური ფინალი ინგლისისთვის: მოურინიო გამოირიცხა, მაშინ კაპელო ან ლიპი?

გუშინ ცნობილი გახდა, რომ **ჟოზე მოურინიო** ინგლისის ნაკრებში არ იმუშავებს. საფეხბურთო ასოციაციამ მას 4-წლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 24 მილიონი გირვანქა შესთავაზა, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენსაც **სვენ გორან ერიქსონს** უხდიდა, მაგრამ პორტუგალიელმა უარი თქვა. ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, მომავალი სეზონიდან ჟოზეს „მილანში" მუშაობის პერსპექტივა აქვს (ამაზე მასალას შიდა გვერდში წაიკითხავთ).

დავუბრუნდეთ ინგლისის ნაკრებს. როგორც იქაური მედია ამტკიცებს, ამ ეტაპზე რბოლას ორი კანდიდატი შემორჩა და ორივე იტალიიდან: **ფაბიო კაპელო** და **მარჩელო ლიპი**. „გაძეტა დელო სპორტმა" ეს რბოლა იტალიურ ფინალადაც მონათლა. კაპელოს ალბიონზე მუშაობა სურს და ეს საჯაროდაც არაერთხელ უთქვამს. გუშინ ანალოგიური სურვილი ლიპიმაც გაამჟღავნა. „მირორს" მისი ერთ-ერთი მეგობრის სიტყვებიც მოჰყავს:



*„მარჩელოს აინტერესებს ეს სამუშაო და მზადაა, მოლაპარაკებებში ჩაერთოს. მას არ ჰყავს არც აგენტი და არც წარმომადგენელი, ამიტომ, ინგლისელებს შეუძლიათ, შუამავლების გარეშე დაუკავშირდნენ. ის დარწმუნებულია, რომ ინგლისის ნაკრებს ჰყავს იმ დონის ფეხბურთელები და გუნდი, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების მიღწევა შეუძლია".*

თავიდან, ლიპის ვარიანტი სერიოზულად არ განიხილებოდა. ინგლისელები ენობრივ ბარიერს ითვალისწინებდნენ, მაგრამ ვითარება მოურინიოს უარმა შეცვალა. „თაიმსის" ინფორმაციით კი, ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია უფრო კაპელოსკენ იხრება. ფაბიო და მისი ვაჟი, **პიერფილიპო**, რომელიც აგენტიცაა, ნისლიან ალბიონს კვირის ბოლოსთვის ეწვევიან და მოლაპარაკებებს გამართავენ. კაპელოს კანდიდატურას მხარს უჭერს **ჯანფრანკო ძოლა**, რომელსაც ინგლისელები ჭკუას დღემდე ეკითხებიან...

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდული ნაკრები

# ნაკრები ნისლმა დააბრკოლა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ლუქსემბურგში გუშინ უნდა გაფრენილიყო, თუმცა გუნდი გუშინაც თბილისში იყო და დანიშნულების ადგილას მხოლოდ დღეს გამთენიისას გაემგზავრა. შეფერხება კლიმატურ პირობებს უკავშირდება. გუშინ ვენიდან გამოფრენილი თვითმფრინავი ნისლის გამო ტრაბზონში დაეშვა. შესაბამისად ვერც აქედან წაიყვანა მგზავრები.

შეფერხების მიუხედავად ნაკრების გეგმები არ შეცვლილა. გუნდი ლუქსემბურგს დღეს გამთენიისას გაფრინდა და მატჩიც, როგორც დაგეგმილი იყო, 12 დეკემბერს გაიმართება.



პეტარ სეგრტი ნაკრებს ლუქსემბურგში ელის

ამასობაში ნაკრებმა გუშინ მიხეილ მესხის სტადიონზე ივარჯიშა. წვრთნაში მონაწილეობა **გიორგი ნავალოვსკიმაც** მიიღო, რომელმაც გუშინწინ კვირას სუპერთასის მატჩში მიიღო მონაწილეობა და წინა ვარჯიშიც ამიტომ გამოტოვა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები

# პლუს ჩრდილოეთი ირლანდია და რუმინეთი

6 თებერვლისა და 26 მარტის ამხანაგური მატჩებისთვის საქართველოს ნაკრების პოტენციურ მეტოქეებად თურქეთი და მაკედონია განიხილება. ამის გარდა ფედერაცია ჩრდილოეთ ირლანდიასთან და რუმინეთთან თამაშის შესაძებლობასაც განიხილავს. ცნობა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** დაგვიდასტურა:

*„ნაკრებმა თებერვალსა და მარტში თითო ამხანაგური მატჩი უნდა გამართოს. თურქეთისა და მაკედონიის გარდა ჩრდილოეთ ირლანდიისა და რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. საქმე ისაა, რომ 20 აგვისტოს რუმინეთს უნდოდა ჩვენთან თამაში, მაგრამ აგვისტოში უელსთან გვაქვს გასვლითი მატჩი. გვინდა რუმინელები თებერვალში ან მარტში თამაშზე დავითანხმოთ. გვინდა საკითხი რამდენიმე დღეში გადავწვიტოთ".*

17-წლამდელთა ნაკრები

# აპრილში ბულგარეთში ვითამაშებთ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, 17-წლამდელთა ნაკრები 15 და 17 აპრილს სტუმრად ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს ბულგარეთის ნაკრებთან.

შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ჩვენი 17-წლამდელები რუმინეთში 27 და 28 მაისს ასევე გამართავენ ორ ამხანაგურ შეხვედრას.

დაბოლოს, გაცნობებთ იმასაც, რომ შარშან, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ბულგარელი თანატოლები სტუმრად 5:2 დაამარცხა.

ინტერვიუ დავით ჯანაშიასთან

# ტორპედოს ბედი კვლავ გაურკვეველია

**ქუთაისის „ტორპედო" დიდი ხანია ფინანსურ კრიზისშია. უფულობის გამო ქვეყნის სამგზის ჩემპიონი წლეულს პირველ ლიგაში დააქვეითეს. ქუთათურები იმედოვნებდნენ, რომ სექტემბრამდე სპონსორს მოძებნიდნენ და უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებდნენ, თუმცა ჯერ არც ნანატრი ინვესტორი ჩანს და „ტორპედოს" საუმაღლესლიგო პერსპექტივებიც ძალიან ბუნდოვანია. პირველი წრის შემდეგ „ტორპედო" დასავლეთ ზონაში მესამე ადგილზეა და ლიდერ „მალაროელს" ბევრით ჩამორჩება. უმაღლესი ლიგისთვის ბრძოლის გაგრძელება კი მხოლოდ პირველ ადგილზე გასულ გუნდებს შეუძლიათ... რადგანაც „ტორპედო" ერთი რიგითი გუნდი არ არის, ჩვენ მისი ბედით დავინტერესდით და ქუთაისელთა მთავარ მწვრთნელს დავით ჯანაშიას სახლში ვესტუმრეთ. თანაც გვაინტერესებდა რა ინფორმაციას ფლობდა რიონისპირელთა დამრიგებელი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ „ტორპედოს" შესაძლო დაფინანსების თაობაზე...**

**- თავიდან დავიწყოთ, როგორ განვითარდა მოვლენები „ტორპედოს" პირველ ლიგაში დაქვეითების შემდეგ?**

- გუნდიდან 14 ფეხბურთელი წავიდა და უმოკლეს დროში ახალი მოთამაშეების მოძებნა მოგვიხდა. პირველ გუნდში ის ბიჭები გადმოვიყვანეთ, რომლებსაც „ტორპედო-2"-ში უნდა ეთამაშათ. რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით. მოუმზადებელი გუნდით თავიდან გაგვიჭირდა კიდეც, თუმცა შემდეგ ბიჭები კარგად ათამაშდნენ და სატურნირო მდგომარეობა გამოვასწორეთ. ფეხბურთელების მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის. ერთ თეთრს რომ ვერ მისცემ და სანაცვლოდ მაქსიმუმს თხოვ და გაგიკეთებენ, ეს გმირობის ტოლფასია.

**- ამ ხნის მანძილზე გუნდს არავინ პატრონობდა?**

- „ტორპედოს" გენერალური დირექტორი ვლადიმერ კაკაურიძე და გუნდის უფროსი პაპუნა მელაძე რაც შეეძლოთ ყველაფრით გვეხმარებოდნენ. გასვლით შეხვედრებზე რომ გვევლო, თავიანთი ჯიბის ფულით ასხამდნენ ავტობუსში საწვავს. კვების ფული იყო თუ სხვა რამ, ესეც მათ კისერზე გადადიოდა.

**- ამჟამად გუნდის მეპატრონე ვინ არის?**

- ოფიციალურად „ტორპედოს" მფლობელი კვლავ კომპანია „სამი ტუზია", თუმცა ფაქტობრივად კლუბი ჰაერშია გამოკიდებული. მფლობელი გუნდს ყურადღებას არ აქცევს და სხვასაც არ ეძლევა საშუალება, რომ „ტორპედოს" დაეხმაროს.

**- ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ტორპედოს" შეძენა ცნობილი ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილის ნათესავებს სურთ. ამის თაობაზე რა იცით?**

- სპონსორის თაობაზე დიდი ხანია მიდის საუბარი. მართლაც იყო რაღაც ძვრები, თუმცა, სანამ ვინმე რეალურად არ დააფინანსებს გუნდს, მანამდე ვერაფერს დავიჯერებ. სპონსორი რომ გამოჩენილიყო, გუნდსაც დაეტყობოდა. თუმცა რეალობა ის არის, რომ „ტორპედოს" ბედი კვლავ გაურკვეველია.

**- ქალაქის მერის თქმით „ტორპედოს" საკითხი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს. სტადიონი რომ გაკეთდება, ბაზასთან ერთად მას იმ ინვესტორს გადასცემენ ვინც გუნდს დააფინანსებს.**

- როცა „ტორპედოს" ზურაბ ხინიკაძე პატრონობდა, მას არავისთვის არ უთხოვია დახმარება ისე გააკეთა სტადიონი და ბაზა. გუნდი კი იმ პერიოდში სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. როცა სპორტული ობიექტები სპონსორის საკუთრებაში იქნება, ის მიხედავს ყველაფერს და გუნდსაც დააფინანსებს. ეს რაც უფრო სწრაფად მოხდება, გუნდისთვის უკეთესი იქნება.

**- დღევანდელ ვითარებაში ალბათ, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე ვერ იფიქრებთ, თანაც ჭიათურის „მალაროელს" საკმაოდ ბევრით ჩამორჩებით და პირველ ადგილზე გასვლა ძალიან რთული იქნება.**

- ამ გუნდისთვის მესამე ადგილი კარგი შედეგია. ერთ კვირაში შეკრებილი გუნდისგან მეტი რა უნდა მოგვეთხოვა? უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე თავიდანაც არ იყო საუბარი. პირველ ლიგაში თამაშს იმის გამო დავთანხმდით, რომ საფეხბურთო რუკიდან „ტორპედო" არ გამქრალიყო. თავი არ შეგვირცხვენია. გუნდი უკვე გუნდს დაემსგავსა, მაგრამ ფინანსურად ძლიერმა გუნდებმა ცოტა დავჩაგრეს. ვისაც აქვს უკეთესი ფინანსები, ცხრილში ისინი არიან ჩვენზე წინ. ყველაფერი ისევ სახსრებზეა დამოკიდებული. საქართველოში უცებ შეიძლება შედეგის მიღწევა. როგორი სისწრაფითაც ჩამოვქვეითდით, ისევე სწრაფად შეიძლება აღზევება. ჩემი აზრით არავინ იქნება წინააღმდეგი, რომ ქუთაისის „ტორპედომ" ისევ უმაღლეს ლიგაში ითამაშოს. ოღონდ ეს ყველაფერი ისევ ფინანსებთანაა დაკავშირებული. თუ ფული არ იქნა, კვლავაც ვიწვალებთ და ბოლოს ჩვენც მოგვწყინდება ეს ყველაფერი.

**- ალბათ, ასეთ სიტუაციაში უმაღლეს ლიგაში თამაშს აზრიც არ ჰქონდა...**

- ასეც ვერ ვიტყვი. ფინანსურად აქაც გვიჭირს და უმაღლესშიც გაგვიჭირდებოდა. წლის ბოლომდე ასეთი ვითარება მოსალოდნელი იყო, მაგრამ ბიჭები ამისთვის მზად იყვნენ. იმ ფეხბურთელებს ვინც პირველ ლიგაში დაქვეითების შემდეგ გუნდიდან წავიდნენ, ერჩივნათ აქ დროებით უფულოდ ეთამაშათ, ვიდრე სადმე დაბალ ლიგაში 200-300 ლარი აეღოთ. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ და ბარე ორი გუნდი რომ გამოდის ახლა უმაღლესში, მათზე უკეთეს შედეგს ჩვენ მივაღწევდით. ქუთაისში თამაში ადვილი არ არის და ყველას დიდ ბრძოლას გავუმართავდით.

**- ამის შანსი თასის გათამაშებაზე მოგეცათ სადაც უმაღლესლიგელებსაც შეხვდით, თუმცა „ტორპედო" იქ ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა.**

- გუნდიდან 14 კაცი რომ გაგექცევა, ასეთი შედეგი მოულოდნელი არ უნდა იყოს. თანაც თასის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა სულ არ ვქონდა დაგეგმილი. იმის ფინანსები არ იყო, რომ კიდევ დამატებით გასვლით შეხვედრებზე გვევლო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ბიჭებმა მოინდომეს, იბრძოლეს და ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს. რადგანაც გავედით უკვე მონაწილეობა უნდა მიგვეღო.

**- გუნდის დღევანდელ კონიგენტზე რას იტყვით. ახალგაზრდებს შორის თუ გამოჩნდნენ ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც ქუთაისური ფეხბურთის ტრადიციების გააგრძელება შეეძლებათ?**

- გაბუნია, ვაჩიბერიძე, გოგიბერაშილი და მირცხულავა ასაკობრივ ნაკრებებშიც იყვნენ გამოძახებულნი. ახალგაზრდებთან ერთად 5-6 გამოცდილი ფეხბურთელი რომ გვყოლოდა, გაცილებით უკეთესად ვითამაშებდით. შავგულიძისა და მდივნიშვილის სახით გამოცდილი მოთამაშეები კი გვყავდა, მაგრამ ორი კაცი საკმარისი არ არის.

**- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

- 20 დეკემბერს შევიკრიბებით და გავერკვევით ვინ წავა და ვინ, დარჩება გუნდში. თუ ვინმეს წასვლა მოუნდება, ფინანსების უქონლობის პირობებში ვერავის დავაკავებ. როცა არანაირი პირობა არ არის, ფეხბურთელს 50 ლარსაც ვერ აძლევ ბაზაზე „მარშუტკით" რომ მოვიდეს, გასვლაზე წაიყვან და საჭმელს ვერ აჭმევ, თამაშის შემდეგ 10 საათი რომ მშიერი რომ იქნება, მას როგორ უნდა მოთხოვო გუნდში დარჩენა? იმედია, ბოლოს და ბოლოს რალაც სასიკეთო ძვრები დაიწყება და „ტორპედო" ამ ვითარებიდან თავს დაიძვრენს.

**დავით კოხრეიძე**
*ქუთაისიდან*

# ფოლკსვაგენის თუ დოლიძის სუპერთასი?

## ჩვენ უფრო გვინდოდა მოგება

„ფოლკსვაგენის თასი“ მეორედ გათამაშდა და მეორედ მოედანზე მთავარი მოქმედი ფიგურა „ამერის“ მარჯვენა ნახევარმცველი ირაკლი დოლიძე გახლდათ. მან ამ ორ მატჩში ოთხი ბურთი გაიტანა. მათგანი სამი აბსოლუტურად იდენტური გახლდათ - საჯარიმოში მარჯვენა ფლანგიდან შეჭრილი მახვილი კუთხიდან მეკარის მარჯვენა დაბალ კუთხეში არხევდა ბადეს. ასეთი იყო შარშანდელი თასის ერთადერთი გოლი და გუშინ, გორში ჩატარებული მატჩების პირველი ორი. მესამე გოლი კი მან მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო.

**- სანამ საქმეზე გადავიდოდეთ გვითხარი, ორი სახელი - გრიგოლი და ირაკლი რატომ გქვია?**

- პასპორტში გრიგოლი ჩამიწერეს, მაგრამ ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები ირაკლის მეძახიან და მეც ეს სახელი მიყვარს.

**- კარგი. ირაკლი, გოლები სუპერთასზე ლამის ერთნაირი პოზიციიდან გაიტანე. სხვაგვარი დარტყმა არ გეხერხება?**

- (იცინის) რას მერჩით, ხომ ამართლებს.

**- სუპერთასზე შარშანაც გამორჩეულად ითამაშე და წლეულსაც. ასეთი მატჩები განსაკუთრებული სტიმულია?**

- (იცინის) ჩემი თასია და სტიმულია, აბა, რა იქნება?

**- თამაშზე რას იტყოდი?**

- მძიმე შეხვედრა იყო, „ოლიმპი“ საკმაოდ სერიოზული გუნდია. სანამ კაცი არ გაუგდეს, დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. „ფოლკსვაგენის თასისთვის“ მთელი გუნდი განსაკუთრებული მონდომებით ვემზადებოდით. საბოლოოდ, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ჩვენ გვსურდა.

**- სეზონი კარგად კი დაასრულეთ, მაგრამ საშემოდგომო ციკლი „ამერმა“ უფრო სუსტად ჩაატარა, ვიდრე მისგან გულშემატკივარი ელოდა. რა დაგემართათ?**

- ამის ახსნა ვერავინ მოახერხა. გუნდში ყოველთვის ხუთიანზე ვერ იქნება საქმე კარგად და მუდამ ერთ დონეზე ვერ ვითამაშებთ. სეზონი ცუდად დავიწყეთ, მაგრამ დღესგანსაკუთრებულად მონდომებულები ვიყავით. „ზესტაფონთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ წაგებამ ჩვენს თავმოყვარეობაზე იმოქმედა. ყველას დასამტკიცებელი გვქონდა, რომ პრინციპული თამაშების მოგება“ამერს“ ისევ შეუძლია. თანაც, ასე მგონია, დღეს ჩვენ რუსთაველებზე მეტად მოვინდომეთ და მოგება მათზე მეტად გვსურდა.

**- მეორე ბურთზე ითქვა, თამაშგარედან გაიტანაო.**

- დამიჯერეთ, თამაშგარე ნაღდად არ იყო. მცველი ჩარჩა და სწრაფად გავიქეცი თამაშის შემდეგ ბევრმა თქვა, რომ გვერდითი მსაჯი არ შემცდარა.

**- გორის სტადიონი და მატჩის ატმოსფერო მოგეწონა?**

- მართლა მომეწონა. მოედანი ცოტა ატალახებული კი დაგვხვდა, მაგრამ სათამაშოდ მაგარი ამინდი იყო და მაყურებელიც მომეწონა.

**- უხარისხო მოედანმა ხელი არ შეგიშალათ?**

- უმაღლესი ხარისხის რომ არ იყო, ორი აზრი არაა, მაგრამ ცუდ თამაშს მოედანს ვერავინ დააბრალებდა. ასეთი უხარისხო ნაღდად არ ყოფილა.

**- ეტყობა, „ამერში“ „ფოლკსვაგენის თასის“ პრივატიზაცია გადაწყვიტეთ.**

- საკლუბო მუზეუმს ვავსებთ. ყოველ წელს ერთი პრიზით მაინც უნდა გავამდიდროთ.

**- წესით, ასეთი დასასრული მეორე წრეში „ამერის“ უკეთესი გამოსვლის სტიმული უნდა გახდეს.**

- ორი აზრი არაა, ასეც მოხდება. თასის მეოთხედფინალში გავედით და საიმედო პერსპექტივაა.

**- რადგან მარტო სათასო პერსპექტივა ახსენე, ეტყობა, ჩემპიონატზე ხელი ჩაიქნიე.**

- პირველი წრის შედეგებიდან გამომდინარე, „დინამოს“ და „ზესტაფონის“ დაწევა ძნელია და ჩემპიონობაზე ფიქრი რთულია. სამეულში მოხვედრა კი შესაძლებელია.

**- შესვენების პერიოდი ფეხბურთელებისთვის ყველაზე საინტერესოა. ამ დროს უმეტესობაში უცხოეთში წასვლის იმედი ილვიძებს. შენი საქმე როგორაა, „ამერში“ რჩები თუ სხვებივით, უცხოეთშისკენ იხედები?**

- ამაზე სერიოზულად არც მიფიქრია. ჯერ ერთი, „ამერთან“ კონტრაქტი მაქვს, არავინ გამიშვებს და თავადაც არ მსურს. თუკი არ გამაგდებენ, არსად წამსვლელი არ ვარ.

**- მგონი ერთადერთი ფეხბურთელი ხარ, ვისაც საქართველოში დარჩენა სურს...**

- (იცინის) მართლა ასეა. ძლიერ გუნდში წასვლა ყველას გვსურს, იყო კიდეც რაღაც შეთავაზებები. თუმცა სერიოზული არც ერთი არ ყოფილა.

**მერაბ მამულაშვილი**



დოლიძემ (22) ჰეთ-თრიკი შეასრულა



მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი

### ჯაბა მუჯირი:

## გაისადაც დავბრუნდებით

**ჯაბა მუჯირის** „სეპაჰანმა“ გუშინ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში ასპარეზობა დაასრულა, ირანულმა გუნდმა მასპინძელ „ურავა რედ დაიმონდსთან“ 1:3 წააგო. ამ გამარჯვებით იაპონურმა კლუბმა 13 დეკემბერს ნახევარფინალში „მილანთან“ თამაშის უფლება მოიპოვა. ასე რომ, ქართული დუელი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე არ შედგება. „სეპაჰანი“ და „ურავა“ ახლახან აზიის ჩემპიონთა თასის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ორი მატჩის ჯამში მაშინაც იაპონურმა კლუბმა იმარჯვა. რევანში არ შედგა - ირანელმა **მაჰმუდ ქარიმიმ** მე-80 წუთზე მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა. ჯაბა მუჯირმა 90 წუთი ითამაშა, ისევე როგორც ახალზელანდიურ კლუბთან მატჩში. მატჩის შემდეგ ჯაბამ განაცხადა: *„ძალიან დამწუხრებულები ვართ, რომ „ურავასთან“ ამჯერადაც დავმარცხდით. მაგრამ ცხოვრება გრძელდება, მომავლით ვცხოვრობთ. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ფანტასტიკური ტურნირია, ჩვენ ყველანი შინ დიდი მოგონებებით ვბრუნდებით. ვიმედოვნებ, გაისად ისევ ჩვენი კლუბი დაბრუნდება ამ ტურნირში და უკეთაც ითამაშებს“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

### დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება
• ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი
• გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად



სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

**ფრაგმენტი ჩემი კარიერიდან**

ისტორია ქმნის წარმატებას, წარსული ქმნის ძალას და რწმენას. ძველი ამბები არ ქრებიან და არ ქრებიან მოგონებებიც. რუბრიკაც იმად წამოვიწყეთ, რომ ისტორიიდან რომელიმე გამორჩეული ამბავი შემოგთავაზოთ იმისგან, ვინც შექმნა ის ამბავი, ვინც მონაწილეობდა იმ პერიპეტიებში.

კახა ცხადაძე ბოლო ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა. ეს ამბავი 1992 წელს მოხდა შვედეთში.

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა საქართველოში დაბადებულ-გაზრდილმა ომარ თეთრაძემ, თუმც ის მაშინ რუსეთის ნაკრების ღირსებას იცავდა და ფორმალურად ვერ ჩავთვლით ქართველ ფეხბურთელად.

ცხადაძემ კი 1992 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ნაკრებში ითამაშა. ტურნირში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გასახსენებელი არაფერი აქვს...

დავით თავართქილაძე

# ბოლო ქართველი ევროპაზე

## სქოთების დათრობა და თანამეგობრობის გაქრობა



მაშინ მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი ვიყავი, ჩვენი მწვრთნელი **ოლეგ რომანცევი** იყო. „სპარტაკში" ჯერ კიდევ მაშინ მიწვევდნენ, როცა ქართული ფეხბურთი საბჭოურს გამოეყო, მაგრამ ისეთი ვითარება იყო, რუსულ გუნდში ვერ წავედი და შვედურ „სუნდსვალში" მივედით მე და **სოსო ჭედია**. სწორედ შვედეთში ყოფნისას დამირეკა **ანატოლი ბიშოვეცმა** და დსთ-ს ნაკრებში თამაშზე ჩამომიგდო სიტყვა.

რა თქმა უნდა, ამან ძალიან გამახარა. ნაკრები შესარჩევ ეტაპზე თამაშობდა, თუმცა ტრავმის გამო საკვალიფიკაციო რაუნდში ვერ ვითამაშე. შესარჩევში დსთ-ს ნაკრებმა იტალია, ნორვეგია და უნგრეთი ჩამოიტოვა - სამივე საკმაოდ ძლიერი ნაკრები იყო. შესარჩევის დასრულების შემდეგ ბიშოვეცმა მითხრა, თუ ნაკრები გინდა, კარგ გუნდში უნდა ითამაშოო. ჰოდა, მეც „სპარტაკში" მივედი.

დსთ-ს ნაკრების დაცვაში მაშინ ძალიან დიდი კონკურენცია იყო - **ახრიკ ცვეიბა, ანდრეი ჩერნიშოვი, ოლეგ კუზნეცოვი, ვასილი კულკოვი, სერგეი გორლუკოვიჩი**...

1992 წლის წლის იანვარში ნაკრები ამერიკულ ტურნეზე გაემგზავრა და მეც იქ ვიყავი. ორჯერ აშშ-ს ვეთამაშეთ, ერთხელ ვენესუელას - სამივეჯერ ძირითად შემადგენლობაში ვიყავი.

ევროპის ჩემპიონატამდე კიდევ ოთხი თვე იყო და ბიშოვეციც ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ამხანაგური თამაში ჩაგვეტარებინა. ერთ-ერთ ასეთ მატჩში ინგლისის ნაკრებს გავეჯიბრეთ. 0:1 რომ ვაგებდით, კუთხური **იგორ შალიმოვმა** ჩააწოდა და ეფექტური თავურით გამთანაბრებელი შევაგდე. შეხვედრა 2:2 დასრულდა, ინგლისელთაგან ორივე გოლი **გარი ლინეკერმა** გაიტანა. ამ თამაშის შემდეგ გადაწყდა, რომ ბიშოვეცს ევროპის ჩემპიონატზე მივყავდი.

ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დანიასთან ვითამაშეთ საკონტროლო მატჩი და მე-20 წუთზე ტრავმა მივიღე - კუნთი გამიწყდა, რის გამოც ევროპის ჩემპიონატის პირველი ორი თამაში გამოვტოვე გერმანიასთან და ჰოლანდიასთან. ნაკრებს ჩემპიონატამდე რამდენიმე თვით ადრე გამოაკლდა კულკოვი - მძიმე ტრავმა მიიღო.

გერმანიასთან **იგორ დობროვოლსკის** პენალტით დავწინაურდით, 11-მეტრიანიც მანვე მოიპოვა. ანგარიშის შენარჩუნებას ვცდილობდით. მეორე ტაიმის შუაწელში **თომას ჰესლერმა** ჯარიმა დაარტყა - ბურთი ოდნავ ასცდა **დმიტრი ხარინის** კარის „ცხრიანს". მატჩის ბოლო წუთზე ისევ დაინიშნა სახიფათო ჯარიმა თითქმის იმავე ადგილიდან. ჰესლერმაც ზუსტად იმავე ცხრიანისკენ გაგზავნა ბურთი და 1:1.

მეორე მატჩი ჰოლანდიასთან გვქონდა. ბიშოვეცმა ისევ დაცვითი ტაქტიკა აირჩია. შეხვედრა 0:0 დასრულდა.

ჯგუფის თამაშების ბოლო ტურისთვის ჰოლანდიას და გერმანიას სამ-სამი ქულა ჰქონდათ, ჩვენ ერთი, შოტლანდიას კი არც ერთი. შოტლანდიის გარდა ყველას ჰქონდა ნახევარფინალში გასვლის შანსი. მაშინ მოგება ორ ქულად ფასობდა.

გერმანია-ჰოლანდიასთან მატჩებში **ახრიკ ცვეიბას** ორი ყვითელი ბარათი დაუგროვდა და ბიშოვეცმა მითხრა, შოტლანდიასთან შენ უნდა ითამაშოო. კუნთი აღარ მაწუხებდა, მაგრამ ვარჯიში ორი-სამი დღის განახლებული მქონდა და ოპტიმალურ ფორმაში ვერ ვიქნებოდი.

შოტლანდიასთან მხოლოდ გამარჯვება გვაძლევდა ხელს. თამაშის წინ ხმა გავრცელდა, სქოთების ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ აქვთ და დსთ-სთან მატჩის წინა დღეს მაგრად გამოთვრნენო. ისე არ ყოფილა, რომ ამაში ეჭვი არ შევიტანეთ, მაგრამ დაყრილმა ხმებმა ჩვენზე მაინც იმოქმედა უარყოფითად.

შოტლანდიელებმა მატჩის დასაწყისში ორი გოლი გაგვიტანეს, რამაც ფსიქოლოგიურად გაგვტეხა. თანაც ბიშოვეცს გუნდი დაცვით ფეხბურთზე და კონტრშეტევებზე ჰყავდა აწყობილი, შოტლანდიასთან კი სულ სხვა თამაში უნდა გვეთამაშა, მაგრამ სხვა სტილზე გადაწყობა ვერ მოვახერხეთ. სქოთებთან 0:3 წავაგეთ, ჯგუფში ბოლო ადგილზე გავედით.

არადა, დსთ სერიოზული ნაკრები იყო: **ალექსეი მიხაილიჩენკო, იგორ დობროვოლსკი, იგორ შალიმოვი, ანდრეი კანჩელსკისი, ოლეგ კუზნეცოვი, იგორ კოლივანოვი. ალექსანდრ მოსტოვოი**ც უნდა გვყოლოდა, მაგრამ შვედეთში ტრავმის გამო ვერ წამოვიდა.

1990 წელს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. იმ გუნდის ფეხბურთელი მეც ვიყავი, მაგრამ ქართული ფეხბურთი საბჭოურს რომ გამოეყო, ტურნირის ნახევარფინალი და ფინალი ვერ ვითამაშე. ოქროს მედალი არ შემხვდა, საბჭოთა ფეხბურთმა სპორტის საერთაშორისო კლასის ოსტატის წოდება მიბოძა. იმ გუნდიდან 1992 წლის ევროპის ჩემპიონატზე რვა ფეხბურთელი ვიყავით: **ხარინი, მე, ჩერნიშოვი, შალიმოვი, იურანი, კოლივანოვი, კირიაკოვი და კანჩელსკისი**. ასე რომ, დსთ-ს ნაკრებში შინაურულად ვიყავი, ფეხბურთელებთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ მქონდა.

ტურნირის დასრულების შემდეგ დაიწყო კონფლიქტი რუსეთის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელ **ვიაჩესლავ კოლოსკოვსა** და ბიშოვეცს შორის - ფეხბურთელებმა შეპირებულ თანხაზე მნიშვნელოვნად ნაკლები აიღეს. ამ ამბავში მე ყველაზე ნაკლები პრეტენზია მქონდა, რადგან შესარჩევში არ მითამაშია.

როგორ მწვრთნელად დამამახსოვრდა ბიშოვეცი? მას ჰყავდა „ლუბიმჩიკები", განსაკუთრებით მიხაილიჩენკო უყვარდა, ჩერნიშოვი კი ფაქტობრივად მისი შვილობილი იყო, ხოლო კულკოვი ისე უყვარდა, ახლაც სულ იმას ცდილობს, გვერდში ჰყავდეს.

ბიშოვეცზე ამბობდნენ, ფეხბურთელების ტრანსფერებში აფათურებს ხელებსო, მაგრამ ეს ჭორი მგონია. ბიშოვეცი მართლაც თავისებური მწვრთნელია. ფეხბურთელი რაც არ უნდა კარგ ფორმაში ყოფილიყო, ფსიქოლოგიურ გამოცდას მაინც უწყობდა - ათიოდე წუთით გაესაუბრებოდა მას, რათა დაედგინა, ფსიქოლოგიურად რა მდგომარეობაში იყო და ამის შემდეგ გადაწყვეტდა, ეთამაშებინა თუ არა. ვფიქრობ, მწვრნელისთვის ეს მნიშვნელოვანი პლუსია.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ „სპარტაკიდან" მალევე წავედი. თბილისის "დინამო" ჩემში საკომპენსაციო თანხას ითხოვდა, ლაპარაკი იყო 300 000 დოლარზე. საქართველოს მაშინ არ იყო ფიფა-უეფას წევრი, მაგრამ ეს მალე მოხდებოდა და „დინამოსაც" საშუალება მიეცემოდა, „სპარტაკისთვის" შესაბამის ინსტანციებში ეჩივლა. თანაც „სპარტაკს" ჩემს მიმართაც ჰქონდა შესასრულებელი ფინანსური ვალდებულებები. კიდევ ის, რომ ალბათ მეც ვერ მოვიქეცი სათანადოდ, რალაც-რალაცეებზე გული მომივიდა და „სპარტაკიდან" **ვალერი გაზაევთან**, მოსკოვის „დინამოში" გადავედი.






გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com www.pfl.ge



# პერსპექტიული დებიუტანტი

ცხინვალის „სპარტაკი" ზედ ჩემპიონატის დაწყებამდე შეიქმნა და იმთავითვე ცხადი იყო, რომ სამაჩაბლური კლუბის ერთადერთი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნებოდა. თუმცა, ეს ამოცანაც მეტად რთული შესასრულებელი გახლდათ - ახლადდაარსებული კლუბი ხომ თითქმის მთლიანად უცნობი ჭაბუკებით დაკომპლექტდა. კობა ჟორჟიკაშვილმა თავისი სამწვრთნელო კვალიფიკაცია კიდევ ერთხელ დაამტკიცა და შედეგი შედეგად აჩვენა, ამაზე მთავარი კი ისაა, რომ ხალხმა რამდენიმე პერსპექტრიული ფეხბურთელი გაიცნო.

პირველ წრეში „სპარტაკმა" ყველა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია, ქულათა საკმაო მარაგს მოუყარა თავი, რისი წყალობითაც უძლიერესთა შორის დარჩენის შესანიშნავი პერსპექტივა აქვს. ცხინვალური გუნდი თასისთვის ბრძოლასაც განაგრძობს, სადაც მეოთხედფინალში ურთიერთობას „დინამოსთან" გაარკვევს. მოკლედ, თუ უსახსრობამ არ შეუშალა ხელი, ქართული ფეხბურთი მზარდ და საინტერესო კრებულს შეინარჩუნებს.

### კობა ჟორჟიკაშვილი
მთავარი მწვრთნელი

„გუნდი ექსტრემალურ პირობებში შეიკრიბა, აქედან გამომდინარე, პირველ წრეს დამაკმაყოფილებლად ვაფასებ".

### საუკეთესო მატჩი
„ჩემპიონატში რამდენიმე კარგი შეხვედრა ჩავატარეთ, ყველაზე უკეთ კი თასის ჯგუფურ ეტაპზე ვითამაშეთ, როცა „ამერს" ვძლიეთ".

### ყველაზე ცუდი მატჩი
„მიჭირს რომელიმე ასეთი მატჩის გამოყოფა, ზოგადად კი ცუდი შეხვედრა ისაა, რომელსაც წააგებ".

### პლუსი
„უმელლეს ლიგაში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი ჩვენ გვყავს და თუ შედეგებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სწორი გზით მივდივართ".

### მინუსი
„სპარტაკში" გამოუცდელი ფეხბურთელები თამაშობენ და ამის გამო არაერთი დასანანი ქულა დავკარგეთ. განსაკუთრებით საგოლე მომენტების რეალიზაციაზე გვმართებს მუშაობა".

### პროგრამა მინიმუმი
„უმაღლეს ლიგაში დასარჩენად თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ და ვფიქრობ, ამ მიზანს მივაღწევთ კიდეც".

### პროგრამა მაქსიმუმი
„შევეცდებით, ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ, ფარ-ხმალს იოლად თასზეც არ დავყრით, მეოთხედფინალში „დინამოს" დიდ ბრძოლას გავუმართავთ".

### მზადება მეორე წრისთვის
„სამზადისს ახალი წლის შემდეგ შევუდგებით. შეკრებას თბილისში დავიწყებთ, არაა გამორიცხული, თურქული შეკრების მოწყობაც შევძლოთ".

### საკადრო პოლიტიკა
„შემადგენლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ვგეგმავთ. ზოგ ფეხბურთელს დავემშვიდობებით, ზოგიც იჯარით გვყავს აყვანილი და მათ კლუბებთან მოვილაპარაკებთ. გავაგრძელებთ ნიჭიერი ახალგაზრდების ძებნასაც. სადღეისოდ, საკადრო პოლიტიკაზე უფრო კონკრეტულად საუბარი გამიჭირდება".

### რჩეული შეგირდები
„სპარტაკის" წევრთაგან საკუთარი შესაძლებლობები კარგად წარმოაჩინეს ქემოკლიძემ, ჩირიკაშვილმა, ქვილითაიამ, ბახტურიძემ... არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, საერთო საქმეში ყველამ თავისი წვლილი შეიტანა".

### პირველი წრის რჩეულები
1. გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი)
2. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
3. გოგი ფიფია (ზესტაფონი)

### ფინანსური მდგომარეობა
„საბიუჯეტო კლუბი ვართ და შესაბამისად, შეზღუდული დაფინანსება გვაქვს, მაგრამ „სპარტაკის" წევრებს ურიგო პირობები ნამდვილად არ აქვთ შექმნილი".

### სპარტაკი და ქომაგი
„სამწუხაროდ, ისე გამოდის, რომ ყველა მატჩს სტუმრად ვატარებთ. გორელები „დილას" გულშემატკივრობენ და ჩვენი გუნდი გულზე დიდად არ ეხატებათ, გორში საქომაგოდ ვერც სამაჩაბლოს მოსახლეობის ჩამოყვანა ხერხდება. ურიგო არ იქნებოდა, ქურთაში, თამარაშენში ან ჩვენი რეგიონის სხვა რომელიმე სოფელში გვეთამაშა, მაგრამ ეს მხოლოდ შორეული პერსპექტივაა".

### მსაჯობა
„შეცდომები ყველას მოსდის, თუმცა ჩვენს მსაჯებს შეგნებულ არაობიექტურობას ვერ დავწამებ. ისინი საქმეს პროფესიონალურად უდგებიან, საკუთარ თავზე ბევრს მუშაობენ და თვალში საცემად პროგრესირებენ. ქართული სამსაჯო სკოლა ქართულ ფეხბურთს არაფერში ჩამორჩება და შეიძლება, უსწრებდეს კიდეც".

### ორი ჩემპიონატის შედარება
„მიმდინარე და წინა ჩემპიონატებს შორის ის პრინციპული სხვაობაა, რომ შარშან ამ დროს ჩემპიონობის შანსი რამდენიმე გუნდს ჰქონდა, სადღეისოდ კი ოქროს მედლების მოპოვების რეალური პერსპექტივა მხოლოდ „დინამოსა" და „ზესტაფონს" გააჩნიათ. ჩემთვის მოულოდნელია „ამერის" ჩავარდნა, საინტერესოა, გამოიტანენ თუ არა საჭირო დასკვნებს ამ კლუბის ხელმძღვანელები. „ოლიმპიც" შეძლებული კლუბია და მეტი მოეთხოვება. სიტყვამ მოიტანა და ქართული კლუბების მთავარ ნაკლოვანებაზე გავამახვილებ ყურადღებას - მათ უმეტესობას საკუთარი ბაზა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლა არ გააჩნია, ამის გარეშე კი გლობალურ წარმატებებზე ფიქრი უტოპიაა".

### სკანდალები
„ამ სეზონში უკვე რამდენიმე ხმაურიანი ფაქტი მოხდა, „ამერი"-"ვიტ ჯორჯიას" ჩაშლამ კი ყველაფერს გადააჭარბა. სჯობს, ყველამ მეტი შეგნება გამოვიჩინოთ, ემოციები მოვთოკოთ და კანონმორჩილები ვიყოთ".

### პროგნოზები
„ჩემი აზრით, „დინამოსა" და „ზესტაფონს" ჩემპიონობის დაახლოებით თანაბარი შანსები აქვთ. ქვეყნის საუკეთესო გუნდი მხოლოდ მათი ურთიერთშეხვედრით არ გაირკვევა, შესაძლოა, ამაზე მნიშვნელოვანი სხვა, ერთი შეხედვით რიგითი მატჩები იყოს. თასის მოპოვების შესაძლებლობა კი ამ ორი გუნდის გარდა, ცხადია, „მერს" აქვს".

**ლევან ჯანეზაშვილი**



კობა ჟორჟიკაშვილი




| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| 2. ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 12 | 9 | 1 | 2 | 22:8 | 28 |
| 4. ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| 5. ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| 6. ამერი | 12 | 7 | 0 | 5 | 21:13 | 21 |
| 7. მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| **10. სპარტაკი** | **13** | **3** | **3** | **7** | **5:14** | **12** |
| 11. მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| 12. ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| 13. დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| 14. ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

### სპარტაკი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| მამუკაშვილი | 12 | 12 | - | 1 | - |
| ქარია | 12 | 11 | - | 2 | 1 |
| ბახტურიძე | 12 | 11 | - | 1 | - |
| ჯანელიძე | 12 | 8 | 2 | 1 | - |
| ჩირიკაშვილი | 11 | 11 | 1 | 1 | - |
| თარხნიშვილი | 11 | 11 | 1 | 3 | - |
| ხაჭიპერაძე | 11 | 11 | - | 1 | - |
| ხიდეშელი | 11 | 11 | - | 2 | - |
| გოგოხია | 11 | 10 | - | - | - |
| ქემოკლიძე | 10 | 10 | - | - | - |
| კოდალაევი (მეკ.) | 9 | 9 | -10 | 2 | - |
| დარბაიძე | 8 | 3 | - | - | - |
| მედოევი | 8 | - | 1 | - | - |
| კუპრეიშვილი | 7 | 4 | - | - | - |
| კ. ავალიანი | 7 | 4 | - | 2 | - |
| პარამონოვი | 5 | 5 | - | - | - |
| ივანაშვილი | 5 | 2 | - | - | - |
| ქვილითაია (მეკ.) | 4 | 4 | -4 | - | - |
| კეტაშვილი | 4 | 3 | - | - | - |
| ტატაევი | 4 | - | - | - | - |
| დ. გოგოლაძე | 3 | 1 | - | - | - |
| ცქვიტაია | 2 | 1 | - | - | - |
| ძამუკაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| დათუნაშვილი | 1 | - | - | - | - |

| | | | |
|---|---|---|---|
| **I ტური** | | | |
| 11.08 | ს | სიონი | 1:1 |
| გოლი: თარხნიშვილი | | | |
| **II ტური** | | | |
| 17.08 | შ | ბორჯომი | 0:0 |
| **III ტური** | | | |
| 24.08 | ს | მერანი | 1:0 |
| გოლი: მედოევი | | | |
| **IV ტური** | | | |
| 2.09 | ს | მგლები | 0:2 |
| **V ტური** | | | |
| 15.09 | შ | დინამო | 0:3 |
| **VI ტური** | | | |
| 22.09 | ს | ბათუმი | 1:0 |
| გოლი: ჯანელიძე | | | |
| **VII ტური** | | | |
| 29.09 | შ | ამერი | 0:1 |
| **VIII ტური** | | | |
| 7.10 | ს | ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| **IX ტური** | | | |
| 20.10 | შ | მესხეთი | 0:2 |
| **X ტური** | | | |
| 28.10 | ს | ზესტაფონი | 0:2 |
| **XII ტური** | | | |
| 24.11 | ს | დილა | 0:0 |
| **XIII ტური** | | | |
| 1.12 | შ | ოლიმპი | 0:2 |
| **XI ტური** | | | |
| 5.12 | შ | ლოკომოტივი | 2:0 |
| გოლები: ჯანელიძე, ჩირიკაშვილი | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის წინ

# ლივერპული გზაგასაყარზე

## ტორესი: გავალთ თუ ვერ გავალთ, ბენიტესი უნდა დარჩეს!

### A ჯგუფი
### მარსელი–ლივერპული

A ჯგუფი ყველაზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. თავად განსაჯეთ, ამ ქვეჯგუფში ბოლო ტურის გარკვეული არაფერია. შესაბამისად, მატჩი, რომელიც მარსელის „ველოდრომზე“ უნდა გაიმართოს, ერთგვარი ფინალია, სადაც ადგილობრივი „ოლიმპიკი“ და „ლივერპული“ მერვედფინალში გასვლისთვის იბრძოლებენ. ბოლო ტურის წინ ორივე გუნდს 7-7 ქულა აქვს. ამ ჯგუფის დაძაბულობაზე ისიც მეტყველებს, რომ ლიდერ „პორტუსა“ და აუტსაიდერ „ბეშიქთაშს“ შორის სხვაობა სულ რალაც 2 ქულაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფლეი ოფში გასვლის შანსი არცერთ გუნდს არ დაუკარგავს. „მარსელს“ „ლივერპულთან“ შედარებით უპირატესობა აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ როგორც გახსოვთ, ფრანგებმა, ყველასათვის მოულოდნელად, „ენფილდზე“ მოიგეს და რაკი ქულების თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ურთიერთშეხვედრებს ენიჭება, ერიკ გერეტსის „ოლიმპიკს“ დღეს ფრეც ეყოფა იმისათვის, რომ მერვედფინალში გავიდეს – ოლონდ იმ შემთხვევაში, თუ პარალელურ მატჩში „პორტუ“ თურქულ გუნდს დაამარცხებს. თუ ისე მოხდა, რომ პორტუგალიაში „ბეშიქთაშმა“ მოიგო, მაშინ „ლივერპულს“ მარსელში ფრეც ეყოფა. ასეთ შემთხვევაში „ბეშიქთაში“ პირველ ადგილზე გავა, ხოლო დანარჩენებს კი 8-8 ქულა ექნებათ, სამეულის ურთიერთშეხვედრებში კი, უპირატესობა „ლივერპულის“ მხარესაა. ერთი სიტყვით, თავადაც ხედავთ, თუ როგორი ჩახლართული ვითარებაა.

ფაქტი ის გახლავთ, რომ „მარსელისთვის“ ფლეი ოფს მიღმა დარჩენა დიდი ტრაგედია იქნება. თუნდაც იმიტომ, რომ ამ გუნდმა შეძლო და „ლივერპულს“ სტუმრად მოუგო, რაც თუნდაც ბოლო ორ ტურში გამოჩნდა (ლივერპული-ბეშიქთაში 8:0, ლივერპული-პორტუ 4:1), რომ უდიდესი გმირობის ტოლფასია. მაშინ „ენფილდზე“ ის უმნიშვნელოვანესი გოლი **მეთიუ ვალბუენამ** გაიტანა. ის გამარჯვება „მარსელისთვის“ ზედიზედ მეორე იყო მეორე მატჩში, რის შემდეგაც „ოლიმპიკი“ ჯგუფის ლიდერი გახდა, მაგრამ მას მერე ფრანგებმა მხოლოდ 1 ქულა აიღეს, ბოლო ორი შეხვედრა კი დათმეს.

გასულ დღეებში ინგლისური პრესა იმაზე წერდა, რომ ჯგუფში ჩარჩენის შემთხვევაში „ლივერპული“ დიდ თანხას დაკარგავს, რამაც გუნდის მთავარი მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** ალაშფოთა. აი, რა თქვა მერსისაიდელთა დამრიგებელმა წინასამატჩო პრესკონფერენციაზე: *„ჩემთვის და მთელი გუნდისთვის უპირველესი მოტივაცია სპორტული წარმატებაა და არა ფული. მიმაჩნია, რომ როცა გუნდში მხოლოდ ფულზე საუბრობენ, ის გუნდი ავად არის. ისეთი გრანდი, როგორიცაა „ლივერპული“ ყველა ტურნირზე გამარჯვებისთვის უნდა ასპარეზობდეს და თუკი ეს გამოუვა, მაშინ ბევრი ფულიც ექნება. ცხადია, ჩემპიონთა ლიგა სახელის გარდა, ბევრ ფულსაც ნიშნავს, მაგრამ ფულის გამომუშავება სხვა გზითაც შეიძლება. საკმარისია, აზიაში 2-3 მატჩი ჩავატაროთ, რომ ამდენივე თანხას ავილებთ, მაგრამ განა ჩვენი ქომაგები ამით დაკმაყოფილდებიან? ასე რომ, ჩემპიონთა ლიგა პირველ რიგში ფეხბურთია და მე მჯერა, რომ მერვედფინალში ვითამაშებთ!“*

„ლივერპულის“ თავდამსხმელი **ფერნანდო ტორესი** კი „მარსელთან“ მატჩის მნიშვნელობაზე საუბრობდა. *„აშკარაა, რომ მას მერე, რაც ამ გუნდში ვთამაშობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრაა. მიუხედავად იმისა, გავალთ თუ არა მერვედფინალში, ვფიქრობ, გუნდის ხელმძღვანელებმა მწვრთნელის შეცვლაზე ფიქრი არ უნდა დაიწყონ, რადგან რაფაელ ბენიტესი ამ გუნდისთვის იდეალური დამრიგებელია,“* – განაცხადა ტორესმა და იქვე დასძინა, - *„რაფას მთელი გუნდი მხარში დავუდგებით. „ველოდრომზე“ ყურადღებით უნდა ვითამაშოთ და ყველაფერი კარგად იქნება.“*

სავარაუდო შემადგენლობები

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ჟივე, როდრიგესი, ტაივო, კანა, შეირუ, ზიანი, ზენდენი, ჯ. სისე, ნიანგი.

**ლივერპული:** რეინა, აგერი, კარაგერი, ფინენი, რიისე, ჯერარდი, მასკერანო, ჩაბი ალონსო, პენანტი, კუიტი, კრაუჩი.

**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია).

### პორტუ–ბეშიქთაში

„ესტადიო დრაგაოზე“ ერთმანეთს პირველი და ბოლოადგილოსანი ხვდებიან. ერთი შეხედვით, ყველაფერი ცხადი უნდა იყოს, მაგრამ საკმარისია გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ აუტსაიდერი „ბეშიქთაში“ ლიდერ „პორტუს“ მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება, რომ მაშინვე მივხვდებით, თუ რაოდენ სერიოზულადაა საქმე. იმისათვის, რომ ბოლო 5 წელიწადში მეოთხედ გავიდეს მერვედფინალში, „პორტუს“ თურქულ კლუბთან ფრეც ეყოფა. თურქებს კი მხოლოდ მოგება უნდათ, მით უმეტეს, რომ პირველი თამაში ისტანბულში პორტუგალიელებმა (**ქუარეშმას** გოლით) მოიგეს.

სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუ:** ნუნუ, ბოსინგვა, ბრუნო ალვეში, ფუჩილე, ჟოაო პაულო-, ლუჩო გონსალესი, პაულო ასუნსაო, რაულ მეირელეში, ქუარეშმა, სეკტიუი, ლისანდრო ლოპესი.

**ბეშიქთაში:** რუშთუ, მერჩიმექი, იბრაჰიმი, თორამანი, თანდოგანი, ტელო, რიკარდინიო, იოზქანი, დელგადო, ე. სისე, ბობო.

**არბიტრი:** პეტერ ფრიოდფელდტი (შვედეთი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| 2. მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 3. ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 14-5 | 7 |
| 4. ბეშიქთაში | 5 | 2 | 0 | 3 | 4-13 | 6 |

### B ჯგუფი
### ჩელსი–ვალენსია

„ჩელსისა“ და „ვალენსიის“ დაპირისპირება ლონდონური კლუბისთვის აბსოლუტური ფორმალობაა, რადგან „არისტოკრატებს“ ჯგუფიდან გასვლა კი არა, პირველი ადგილიც განაღდებული აქვთ და შესაბამისად, დიდი შანსია, რომ დღეს **ავრაამ გრანტმა** ძირითადი შემადგენლობა გადაახალისოს. ასე იქნება თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ლონდონელებს **დიდიე დროგბა** არ ეყოლებათ, რომელმაც მძიმე ტრავმა მიიღო და საოპერაციო გახდა – კოტ დ'ივუარელი ლაზარეთში მინიმუმ ერთ თვეს დაჰყოფს. აი, „ვალენსიას“ კი დიდი მოტივაცია აქვს. მართალია, „ღამურები“ ჯგუფიდან ველარ გადიან, მაგრამ ჯერ ერთი, მესამე ადგილზე გასვლა და შესაბამისად უეფას თასზე გადასვლა უნდათ და ესეც არ იყოს, **რონალდ კუმანის** გუნდი ვალდებულია, „სტემფორდ ბრიჯზე“ ღირსეული თამაშით საკუთარ ქომაგებს ბოდიში მოუხადოს იმისათვის, რომ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია. რაც შეეხება „ვალენსიის“ მესამე ადგილზე გასვლას – ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ღამურები“ ლონდონში იმარჯვებენ, ხოლო „შალკე“ კი „რუსენბორგს“ ვერ დაამარცხებს. ხოლო თუ მოხდა სასწაული და „შალკე“ საკუთარ მოედანზე „რუსენბორგთან“ დამარცხდა, მაშინ „ვალენსიას“ „ჩელსისთან“ ფრეც ეყოფა იმისათვის, რომ მესამე ადგილზე გავიდეს („ვალენსია“ და „შალკე“ ასეთ შემთხვევაში თანაბარ ქულებს დააგროვებენ და ურთიერთშედრებით კი ესპანელები მოიგებენ, რადგან მათ გელზენკირხენში 1:0 გაიმარჯვეს, საკუთარ კედლებში კი **ლევან კობიაშვილის** გუნდს უგოლოდ დაუზავდნენ). კუმანი დღეს **ხოაკინს** ვერ დაიხმარს, ამ უკანასკნელმა „ოსასუნასთან“ შეხვედრაში ტრავმა მიიღო და ლაზარეთშია.

სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ბელეტი, ტერი, ალექსი, ე. კოული, ჯ. კოული, ესიენი, ლემპარდი, მაკელელე, რაიტ ფილიპსი, პისარო.

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, მარჩენა, ელგერა, კანეირა, ალბელდა, ედუ, ვისენტე, ანგულო, დავიდ ვილია, მორიენტესი.

**არბიტრი:** გრჟეგორჟ გილევსკი (პოლონეთი).

### შალკე–რუსენბორგი

გელზენკირხენის „ფელტინს არენა აუფ შალკეზე“ ტრონდჰეიმის „რუსენბორგს“ დიდი გამოცდა ელის და მთელს ევროპას აინტერესებს, როგორ ჩააბარებენ ამ გამოცდას ნორვეგიელები. ამ გუნდს შეუძლია, რომ მიმდინარე სეზონის დიდი ალმოჩენა გახდეს და ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სკანდინავიელები „შალკესთან“ არ წააგებენ, რაც იმის ნიშანი იქნება, რომ „რუსენბორგი“ მერვედფინალში გავიდა. გელზენკირხენულმა კლუბმა ამ მატჩისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყო და **მირკო სლომკას** გუნდს სანატრელ მერვედფინალს მხოლოდ ერთი მოგებალა აშორებს. თუ კობიაშვილის გუნდი მოიგებს, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში პირველად გავა. „ხუმარებმა“ გასულ შაბათს ამ მატჩის გენერალური რეპეტიცია ჩააფლავეს და ფრანკფურტიდან ოდენ ქულა, ისიც დიდი გაჭირვებით წაილეს (2:2). დღეს კი მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქრონ.

აი, „რუსენბორგს“ კი, ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად უფრო ბევრი დრო ჰქონდა. ნორვეგიელები პარასკევის შემდეგ დიუსელდორფში იმყოფებიან – ჯერ ერთი, ნორვეგიიდან სუსხიან ზამთარს გამოექცნენ და ესეც არ იყოს, რა გასაკვირია, რომ გერმანიაში უფრო კომფორტულად ვარჯიშობენ, ვიდრე სამშობლოში. „რუსენბორგის“ პრობლემა (თუ შეიძლება, რომ ამას პრობლემა ეწოდოს) ისაა, რომ გუნდს ძალიან მწირი სათამაშო პრაქტიკა აქვს. ნორვეგიის ჩემპიონატი ხუთი კვირის წინათ დასრულდა და მას მერე „რუსენბორგმა“ მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა: ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსის“ უმასპინძლა და 0:4 განადგურდა, მერე კი ტესტმატჩი ჰქონდა მეორე ლიგის წარმომადგენელ „რანჰეიმთან“, რომელიც 2:0 მოიგო. ამასთან, მთავარ მწვრთნელ **ტრონდ ჰენრიკსენს** საკადრო პრობლემებიც აქვს. დღეს გელზენკირხენში მარცხენა მცველი **მიკაელ დორსინი** ვერ ითამაშებს. კითხვის ნიშნის ქვეშაა ნახევარმცველ **პერ სკიელბერგის** ასპარეზობაც.

სავარაუდო შემადგენლობები

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი, იოზილი, რაკიტიჩი, ასამოა, კურანი.

**რუსენბორგი:** ჰირშფელდი, სტოორი, კვარმე, რიზეტი, ტრაორე, საპარა, ტეტეი, სკიელბერგი, სტრანდი, ივერსენი, კონე.

**არბიტრი:** მაიკლ რაილი (ინგლისი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-2 | 11 |
| 2. რუსენბორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 3. შალკე | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 5 |
| 4. ვალენსია | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |

### C ჯგუფი
### რეალი–ლაციო

საკუთარ მოედანზე, „ოლიმპიაკოსთან“ განცდილი მოულოდნელი მარცხის შემდეგ „ლაციოს“ წინაშე ფაქტობრივად გადაუჭრელი ამოცანაა: რომაელებს მერვედფინალში გასვლის თეორიული შანსი აქვთ, მაგრამ ამისათვის მადრიდში უნდა მოიგონ – მისსავე მოედანზე უნდა დაამარცხონ გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის ეგიდით ჩატარებულ 24 საშინაო შეხვედრაში მხოლოდ ერთი წაგება აქვს. ესეც არ იყოს, **დელიო როსის** გუნდი ვალდებულია, მადრიდში მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით გაიმარჯვოს. თუკი „ლაციალე“ მხოლოდ ერთბურთიანი სხვაობით მოიგებს, მაშინ უნდა იმედოვნოს, რომ „ვერდერი“ ვერ დაამარცხებს „ოლიმპიაკოსს“. რომაელთა ცხოვრებას, ცხადია, ისიც ართულებს, რომ მერვედფინალში თამაში ჯერ „რეალსაც“ არ გაუნაღდებია. მართალია, **ბერნდ შუსტერის** სამწყსო ჯგუფის ლიდერია, მაგრამ „ლაციოს“ მხოლოდ სამი ქულით უსწრებს. მადრიდელებს ფრეც აწყობთ, მაგრამ აი, თუ ორბურთიანი სხვაობით წააგებენ, მაშინ 1996/97 წლების სეზონის შემდეგ პირველად ვერ გავლენ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. გამარჯვების შემთხვევაში მადრიდული კლუბი პირველ ადგილზე გავა, ხოლო თუ ფრეს ითამაშებს, მაშინ ლიდერობას იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს, თუ „ოლიმპიაკოსი“ „ვერდერს“ ვერ დაამარცხებს.




ფერნანდო ტორესი ბენიტესს გვერდში უდგას

*„ლაციო“ ჯერ კიდევ დიდი გუნდია და რაც არ უნდა იყოს, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ეს იტალიური კლუბია. შესაბამისად, „რეალს“ ნამდვილად არ ელის იოლი მატჩი,“* – განაცხადა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა**.

მადრიდელებმა მშვიდად ამოისუნთქეს: **რუუდ ვან ნისტელროის** ტრავმა, რომელიც ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა „ბილბაოსთან“ მატჩი მიილო და შესაცვლელი გახდა, სერიოზული არ ალმოჩნდა. ამრიგად, ვან ნისტელროი დღეს აუცილებლად იასპარეზებს.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, პეპე, დრენტე, დიარა, გუტი, რობინიო, სნეიდერი, რაული, ვან ნისტელროი.

**ლაციო:** ბალოტა, ბეჰრამი, სივილია, სტენდარდო, კოლაროვი, ლედესმა, მაური, მუდინგაი, მუტარელი, პანდევი, როკი.

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია).

### ოლიმპიაკოსი–ვერდერი

ერთი მოგებაც და „ოლიმპიაკოსი“ ბოლო 10 წლის მანძილზე პირველად გავა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. სწორედ ამიტომ, საბერძნეთში ამ შეხვედრას ათწლეულის უმნიშვნელოვანეს მატჩად მოიხსენიებენ. გუნდის გოლეადორი **დარკო კოვაჩევიჩი** ოპტიმისტურადაა განწყობილი. *„წინ უმნიშვნელოვანესი თამაში გველის, რომელშიც ყურადღებით ყოფნა გვმართებს. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაიტანს – მთავარია, მოვიგოთ,“* – ამბობს ის. შიდა პირველობაზე „ოლიმპიაკოსი“ „ლევადიას“ შეხვდა და 4:0 გაანადგურა. ხსენებულ შეხვედრაში მწვრთნელ **ტაკის ლემონისს** იმის საშუალება მიეცა, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშისთვის დასვენების საშუალება მიეცა. თუმცა ბერძნებს მაინც ბევრი პრობლემები აქვთ: კაპიტანი **ჯორჯევიჩი** დისკვალიფიცირებულია, **დომი, სეზარი, რაულ ბრავო** და **კონსტანტინუ** კი ტრავმირებულები არიან.

ბრემენელთა უმთავრესი პრობლემა **პერ მერტეზაკერის** გრიპია. ჯერ კიდევ არაა გარკვეული, ითამაშებს თუ არა აყლაყუდა მცველი „ოლიმპიაკოსთან“. მერტეს გრიპი აქვს და ესეც არ იყოს, „ჰანოვერთან“ მან ძალიან ცუდად ითამაშა, რის გამოც შესვენებაზე შეცვალეს. „მუსიკოსთა“ მთავარი მწვრთნელის, **თომას შააფის** თქმით, მერტეზაკერის საკითხი დღეს დილით უნდა გარკვეულიყო. იმ შემთხვევაში, თუ 23 წლის მცველი ვერ ითამაშებს, მას დაცვის ცენტრში **ფრანკ ბაუმანი** შეცვლის. შააფმა განაცხადში გამოჯანმრთელებული **კლემენს ფრიტციც** შეიყვანა, ხოლო **კარლოს ალბერტოს** ნაცვლად კი, საბერძნეთში ახალგაზრდა **მარტინ ჰარნიკი** იახლა.

სავარაუდო შემადგენლობები

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ჟეველაკოვი, ანცასი, პანტოსი, პაცაცოგლუ, ლედესმა, სტოლტიდისი, გალეტი, ლუა ლუა, კოვაჩევიჩი.

**ვერდერი:** ვიზე, კ. ფრიტცი, ბაუმანი, ნალდო, პასანენი, დ. იენსენი, ვრანიეში, ბოროვსკი, დიეგო, სანოგო, როზენბერგი.

**არბიტრი:** ლორან დუამელი (საფრანგეთი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-8 | 8 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 3. ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-10 | 6 |
| 4. ლაციო | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |




დიდიე დროგბა ჩელსის ვერ დაეხმარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმინია

# მიდენდორპი დამთავრდა

მაშ ასე: ის, რაც პარასკევს აბსოლუტურად ყველა გერმანელმა ჟურნალისტმა იგუმანა, გუშინ ოფიციალური გახდა: ბილეფელდის „არმინიის" ხელმძღვანელებმა მთავარ მწვრთნელ **ერნსტ მიდენდორპს** კარისკენ მიუთითეს. ამრიგად, 49 წლის მწვრთნელი უმუშევარი დარჩა, ბილეფელდური კლუბი კი უმწვრთნელოდ. პარასკევს „არმინია" მიმდინარე სეზონში კიდევ ერთხელ შერცხვა, წააგო რა დორტმუნდში გამანადგურებელი ანგარიშით 1:6. კვირას გაზეთი „ნოიე ვესტფალიშე" წერდა, მიდენდორპის გაგდება გადაწყვეტილიაო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა ეს ინფორმაცია უარყვეს და მიუთითეს, რომ ორშაბათს სპეციალური სხდომა იყო დაგეგმილი, სადაც გუნდის


ერნსტ მიდენდორპი

მწვრთნელის ბედი გადაწყდებოდა. გუშინ კი, გუნდის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა, რომ მიდენდორპმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა.

თუმცა გუშინ დილით „გენერლად" წოდებულმა მწვრთნელმა ვარჯიშის შემდეგ პრესკონფერენცია მოაწყო და რაკი უკვე იცოდა, რომ მისი წუთები ამ პოსტზე დათვლილი იყო, ბოსებს შეუტია: *„კი მაგრამ, ვის შესტკივა „არმინიაზე" გული? ჰერ ზაფტიგს (სპორტული დირექტორია)? არ დაიჯეროთ! გული მე შემტკივა და კიდევ ერთი-ორ ფეხბურთელს ბიომესა და კაუფის ჩათვლით, დანარჩენებს კი ვეტყოდი: წადით, თქვენი!"* ამ სიტყვების შემდეგ ეჭვი აღარავის შეჰპარვია იმაში, რომ მიდენდორპს მალევე გაათავისუფლებდნენ. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა ამ მწვრთნელს „არმინიიდან" აგდებენ. ერნსტი ბილეფელდურ კლუბს 1988-დან 1990 წლამდე და მერე 1994-დამ 1998 წლამდე თავკაცობდა.

მაისის ბოლოს მიდენდორპმა „არმინიასთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა. იმ დროს ის ბილეფელდში ნამდვილი გმირი იყო, რადგან გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნა. ერნსტი ბილეფელდში მიმდინარე სეზონის დასაწყისში უფრო მეტად დააფასეს და გაალმერთეს, რადგან 5 ტურის შემდეგ „არმინია" გერმანიის პირველობაზე მეორე ადგილზე იყო, მაგრამ მას მერე გუნდს უდიდესი კრიზისი დაეწყო. დღეს ამ გუნდს ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ყველაზე მეტი, 38 გოლი აქვს გაშვებული. გეხსომებათ, მე-8 ტურში „არმინია" „ვერდერთან" 1:8 დამარცხდა, ახლა კი, „ბორუსიასთან" 1:6.

ვინ უთავკაცებს ბილეფელდურ კლუბს? პირველი წრის ბოლო ტურში, „შტუტგარტთან" გუნდს მოყვარულთა მწვრთნელი **დეტლევ დამაიერი** გაიყვანს, ზამთარში კი გუნდმა ახალი მწვრთნელი უნდა ეძებოს. სავარაუდო კანდიდატებად **პეტრიკ ზანდერი, იურგენ რიობერი, მიხაელ ფრონტცეკი, იურგენ კოლერი** და **ევალდ ლინენი** განიხილებიან.


საით, ჟოზე?

მოსალოდნელი გადაადგილებები

# მოურინიომ ინგლისი მილანზე გაცვალა?

## ანჩელოტი: იტალია ან ბარსელონა

„გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, ჟოზემ უარი თქვა ერთი მარტივი მიზეზის გამო: მომავალ სეზონში ის შეიძლება „მილანში" ვიხილოთ. ამის ალბათობა საკმაოდ დიდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ **კარლო ანჩელოტის** „სკუადრა აძურის" თავკაცობას უწინასწარმეტყველებენ. მაგრამ ამ ყველაფერს თავისი წინაპირობა აქვს. იმისთვის, რომ ანჩელოტი იტალიის ნაკრებში მივიდეს, ჯერ **რობერტო დონადონი** უნდა მოხსნან. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „აძურა" ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ჩაფლავდება. ცხადია, ამის ალბათობაც არსებობს, თუმც დღეს ყველას უჭირს იმის თქმა, თუ რამდენად რეალურია მოვლენათა ამგვარი განვითარება. როგორც ჩანს, ითვალისწინებენ შესარჩევ ციკლში არსებულ სირთულეებს, რასაც იტალიის ნაკრებმა ძლივს გაართვა თავი. ფინალურ ეტაპზე კი მასთან ერთად ჯგუფში საფრანგეთის, ჰოლანდიისა და რუმინეთის ეროვნული გუნდები იქნებიან. ცხადია, დონადონის გუნდს იოლი ცხოვრება არ ელოდება.

მოკლედ, ჩავთვალოთ, რომ „მილანის" სკამი „გავათავისუფლეთ". ეს კი სწორედ ის ვაკანსიაა, რომელსაც მოურინიოს უნახავენ. პორტუგალიელის აგენტი **ჟორჟე მენდეში** საინტერესო მინიშნებას აკეთებს - ჩემს კლიენტს მომავალი სეზონისთვის „დიდი სამუშაო" გარანტირებული აქვსო...

რაც შეეხება ანჩელოტის. იმ შემთხვევაში თუ დონადონის იტალიამ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას მიაღწია, მიმომხილველები კარლეტოს კატალონიაში „გაუშვებენ". ფაქტია, რომ „ბარსელონაში" **ფრანკ რიიკაარდის** პოზიციები შერყეულია. ის, რომ ანჩელოტი „ბარსაში" შეიძლება მიიწვიონ, ეს ადრეც იყო სპეკულაციების საგანი. მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუ რიიკაარდმა პრიმერა დივიზიონი მოიგო? თუ ამ ძაფს გავყვებით, გამოვა, რომ ანჩელოტის უმუშევრობა ემუქრება...

იტალიასა და ინგლისში სულ უფრო მატულობს სპეკულაციები იმასთან დაკავშირებით, რომ მომავალი სეზონიდან **ჟოზე მოურინიო** შეიძლება „მილანს" ჩაუდგეს სათავეში. ბოლო დრომდე, პორტუგალიელი სპეციალისტი ინგლისის ნაკრებში დანიშვნის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ ეს ვარიანტი, შეიძლება ითქვას, უკვე ჩაიშალა. მოურინიომ ინგლისში მუშაობაზე უარი განაცხადა და საფეხბურთო ასოციაცია ამ საკითხს აღარ მიუბრუნდება...

პარი სენ ჟერმენი

# ტემპერატურა მატულობს

## აღელვებული გულშემატკივრები ფეხბურთელებზე ანგარიშსწორებას ცდილობენ...

პარიზში დიდი ამბებია. პსჟ-ს გულშემატკივართა აგრესიას, საკუთარი კლუბისა და ფეხბურთელების მიმართ, ზღვარი არ უჩანს. მათი უკმაყოფილების საფუძველი დიდი ხანია ცნობილია: პსჟ საშინლად თამაშობს და გასავარდნ ზონას 1 ქულა აშორებს. ეს ახლა, თორემ კვირამდე, ვიდრე გუნდმა გასვლით თამაშში **პეგი ლუინდულას** გოლის წყალობით „ოსერს" 1:0 არ მოუგო, თავი ყულფში ჰქონდა გაყოფილი. სწორედ კვირას, ოსერში თამაშის დაწყებამდე მოხდა ის ინციდენტი, რომელზეც ახლა გვსურს მოგითხროთ: პარიზელმა გულშემატკივრებმა სცადეს, შეეღწიათ სტადიონის იმ დაცულ ტერიტორიაზე, სადაც სტუმართა გუნდის ავტობუსი უნდა გაჩერებულიყო. მათი მიზანი ნათელი იყო, ფეხბურთელებთან ფიზიკური ანგარიშსწორება.

ასეთი საქციელი სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან ინფორმაცია, რომ მსგავსი აქცია დაგეგმილი იყო, რამდენიმე დღით ადრე ვრცელდებოდა. პოლიციამ, ვინც ასეთი აგრესიის მოსაგერიებლად სრულ მზადყოფნაში აღმოჩნდა, ტრაგედიის თავიდან ასარიდებლად ყველაფერი იღონა და ფანების იერიში ლეგალური ძალის გამოყენებით გააუვნებლა. სამართალდამცავებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები. შედეგად, დაშავებულია პოლიციის 1 თანამშრომელი და დაკავებულია ხულიგნობაში ეჭვმიტანილი 3 ადამიანი. სამივე ალკოჰოლის დიდი დოზის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ მათგანს ბრალად ედება პოლიციის ძაღლზე თავდასხმა.

ამ ამაზრზენი მოვლენის შესავალი ხუთშაბათი იყო. „ფანებმა" პსჟ-ს ვარსკვლავის **ჟერომ როტენის** საცხოვრებელ სახლში შეაღწიეს და ფეხბურთელის ოჯახის წევრებს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. დედაქალაქური კლუბის ხელმძღვანელობამ მომხდარ ფაქტზე მკვეთრად უარყოფითი რეაქცია დააფიქსირა. აი, მათი განცხადება: *„ჩვენ გვჯერა, რომ პსჟ-ს ნამდვილი გულშემატკივრები, ვისთვისაც კლუბის პრობლემები სულერთი არ არის, ასეთ ვანდალურ საქციელს არ ჩაიდენდნენ. მსგავსი ინციდენტები ჩირქს სცხებენ როგორც ჩვენი კლუბის, ასევე ჩვენი ნამდვილი გულშემატკივრის სახელს,"* - სწორედ ასეთი განცხადებაა განთავსებული კლუბის ოფიციალური საიტზე.

გუშინ გავრცელდა თავად ფეხბურთელის განცხადებაც, სადაც ის ამბობს, რომ ის პარიზიდან ფეხს არ მოიცვლის, ამის ამოკითხვაც პსჟ-ს საიტზე შეიძლება. *„მე ჩემს კლუბს უმძიმეს სიტუაციაში არასოდეს მივატოვებ. ამ ზაფხულს კონტრაქტი 4 წლით გავახანგრძლივე და არა იმიტომ, რომ 4 თვის თავზე წასვლაზე ვიფიქრო,"* - განაცხადა საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელმა.


ჟერომ როტენი

# ლივერპულში კლინსმანს ელიანო...

## ბენიტესის შანსი: გამარჯვება მარსელში

როგორც ჩანს, **რაფა ბენიტესს** ცუდად აქვს საქმე. „რედინგთან" წაგებამ ესპანელი სპეციალისტის პოზიციები მკვეთრად შეარყია, მეტადრე იმის ფონზე, რაც ბენიტესსა და კლუბის მეპატრონეებს შორის ამ ცოტა ხნის წინათ მოხდა. ფაქტია, რაფას ლივერპულური მომავალი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, რას იზამენ „წითლები" ჩემპიონთა ლიგაში. დღეს ისინი „მარსელს" სტუმრობენ და მერვედფინალში მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში გავლენ. დაგვეთანხმებით, ბენიტესი ურთულესი ამოცანის წინაშე დგას. ლიგა სერიოზული ფინანსური წყაროა და „ლივერპულის" მეპატრონეები მას პლეიოფში ვერგასვლას არ აპატიებენ. სწორედ ამგვარ მოსაზრებას ავითარებს ტაბლოიდი „სანიც".

იგივე წყაროს მტკიცებით, „ლივერპულის" ბოსების ფავორიტი **იურგენ კლინსმანია**. „ბაიერნის", „ინტერისა" და „ტოტენჰემის" ყოფილი ფორვარდი, რომელმაც 2006 წლის მუნდიალზე გერმანიას ბრინჯაოს მედალი მოუტანა, **ჯორჯ ჯილეტსა** და **ტომ ჰიკსს** („ლივერპულის" მეპატრონეები) პიროვნული თვისებებითაც ხიბლავს. ამას გარდა, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ იურგენი მშობლიურ ენასავით ფლობს ინგლისურსაც (ამ ასპექტში ბენიტესს დღესაც პრობლემები აქვს). რაც შეეხება საფეხბურთო პარამეტრებს, ბოსები აღფრთოვანებულნი არიან კლინსმანის შეტევითი ფილოსოფიით, რისი დემონსტრირებაც მისმა გერმანიამ ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე მოახდინა.

მაგრამ პრობლემა (რაც ბუნდესნაკრებში მუშაობის დროსაც იყო) იმაშია, რომ „კლინსი" კალიფორნიაში ცხოვრობს. იქ მას ბიზნესიც აქვს. მაგრამ ჩანს, ის აპირებს შეერთებული შტატები დატოვოს, თუკი ევროპაში საინტერესო და ამბიციური სამუშაო იქნა. აი, რას აცხადებს მასთან დაახლოებული პირი „სანთან" ინტერვიუში: *„იურგენი მზადაა ფეხბურთში დასაბრუნებლად. მას ძალიან უყვარს კალიფორნია, მაგრამ როცა ფეხბურთში ამხელა ფიგურად ითვლები, საჭიროების შემთხვევაში განზე არ უნდა დარჩე".*


კლინსმანი კალიფორნიას თმობს?

## ამაური მილანში 18 მილიონად?

„მილანი" მზადაა, პალერმოელ თავდამსხმელ ამაურიში 18 მილიონი ევრო გადაიხადოს. ფეხბურთელს ოთხწლიან კონტრაქტს უმზადებენ. ბრაზილიელ ლეგიონერს წლიურად 4 მილიონ ევროს გადაუხდიან. ამ ინფორმაციას „კორიერე დელა სერა" ავრცელებს. სტატიაში ნათქვამია, რომ 18 მილიონი ევრო ის მინიმალური თანხაა, რომლის სანაცვლოდაც „პალერმო" თანახმაა, მოლაპარაკებებში ჩაებას. ამაურის „ბარსელონამაც" დაადგა თვალი, თუმცა კატალონიელებს სიცილიელებთან დაკავშირება ჯერ არ უცდიათ.

## ტოტენჰემს ბეილი გამოაკლდა

„ტოტენჰემს" მარცხენა ფლანგის გაძლიერება სჭირდება. 18 წლის **გარეთ ბეილმა** ტერფის მძიმე ტრავმა მიიღო და სამთვიანი შვებულება გამოიწერა. მას ეს უსიამოვნება „ბირმინგემთან" მატჩისას შეემთხვა. „მამლებს" კიდევ ორი მარცხენაფლანგელი, **ბენუა ასუ-ეკოტო** და **რიკარდო როჩა** ჰყავთ დაშავებული. ასუ-ეკოტოს მთელი სეზონი გაუცდება, როჩა ახალი წლიდან განაახლებს თამაშს. ამ მომენტისათვის ლონდონელთა თავკაც **ხუანდე რამოსს** ერთი ნომინალური მარცხენა მცველი ჰყავს - **იან პიო ლი**. იანვრის ფანჯარა საკადრო პრობლემების გადასაწყვეტად იდეალური პერიოდია. მარცხენა ფლანგზე **სტიდ მალბრანკსაც** უთამაშია, მაგრამ ის მემარჯვენეა. მისთვის უფრო ბუნებრივია საპირისპირო ფლანგზე ყოფნა. რამოსს სასურველი ფეხბურთელების ვინაობა არ გაუმხელია.

## სკოლარის პორტუგალიაში დარჩენა უნდა

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** პორტუგალიის ნაკრებში დარჩენა სურს. მისი კონტრაქტი ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე იწურება. სკოლარიმ გუნდი 2002 წლის მუნდიალის შემდეგ ჩაიბარა. ხუთი წლის განმავლობაში მათ შთამბეჭდავ შედეგებს მაღწია. სკოლარის შეგირდები ევროპის ჩემპიონატის ფინალსა (2004) და მუნდიალის ნახევარფინალში (2006) გავიდნენ. სე ლუიშ ფელიპეს გუნდი საგაისო ევროპის ჩემპიონატზეც იასპარეზებს. გასულ ზაფხულს სკოლარის ინგლისის ნაკრებში უპირებდნენ დანიშვნას, მაგრამ შეთანხმება ჩაიშალა. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელის საკითხს უახლოეს მომავალში განიხილავს.

## კორეა კორეელს ჩააბარეს

სამხრეთი კორეის ნაკრებს ახალი დამრიგებელი ჰყავს. **ჟერარ ულიესა** და **მიკ მაკარტის** უარის შემდეგ, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ საპატიო პოსტი იუნ მუ ხუს შესთავაზა. კორეის საზღვრებს გარეთ ამ სპეციალისტს ნაკლებად იცნობენ. სამშობლოში კი დიდი ავტორიტეტი აქვს. ხუ ნაკრების ყოფილი დამრიგებელია. ის გუნდს 1998-2000 წლებში ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი მის ნაცვლად **გუუს ჰიდინკი** დანიშნეს და კორეელებმაც ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენეს: 2002 წლის მუნდიალზე გუნდმა ნახევარფინალში გაალწია. კონტრაქტის დეტალები უცნობია.

## ბილიჩი ნაკრებიდან წავა

ხორვატიის ნაკრების თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა. ახალგაზრდა სპეციალისტმა გუნდი ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა. მან ვადაზე ადრე გაინაღდა ფინალური ტურნირის საგზური, შესარჩევი ციკლის ბოლო ტურში სტუმრად ინგლისიც დაამარცხა და ევროპული გრანდი ტურნირის მილმა დატოვა. ბილიჩის აქციების ფასმა საგრძნობლად აიწია. ხორვატი მიმომხილველების ცნობით, სლავენმა რამდენიმე ევროპული კლუბისაგან სარფიანი წინადადებები მიიღო. ნაკრებისათვის უარის თქმის მიზეზიც ეს უნდა იყოს. ბილიჩი გუნდს ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანს, შემდეგ კი, ნაჩვენები შედეგის მიუხედავად, სხვა სამსახურში წავა. მწვრთნელს სამომავლო გეგმების შესახებ არაფერი უთქვამს.



ჟერემი მენეზი

ინტერი

# ნერაძურიმ მენეზი დაადასტურა

### რეკობას ვერამხდარი სურვილი და ადრიანოს აღიარება

„ინტერის" ტრანსფერების მენეჯერი **გაბრიელე ორიალი** ადასტურებს, რომ მის კლუბს მონაკოელი თავდამსხმელი **ჟერემი მენეზი** სურს. მილანელი სკაუტები „მონაკოსა" და „მარსელის" კალენდარულ მატჩს დაესწრნენ. მენეზი ფრანგული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფორვარდად ითვლება. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. უცნობია ისიც, იტალიელებს იანვარში სურთ ფეხბურთელის შეძენა, თუ სეზონის დასრულებას დაელოდებიან.

სერია A-ს ბოლო ტურში „ინტერმა" ტორინოს 4:0 ასიამოვნა. სტუმართა შემადგენლობაში ითამაშა **ალვარო რეკობამ**. ურუგვაელი თავდამსხმელი მილანელთა საკუთრებაა. ის ტურინში ერთწლიანი იჯარით თამაშობს. მატჩის წინ რეკობას და **რობერტო მანჩინიმ** საინტერესო კომენტარები გააკეთეს. რეკობამ აღნიშნა, რომ მასა და „ინტერის" თავკაცს ერთსა და იმავე საკითხზე ყოველთვის განსხვავებული შეხედულებები აქვთ. რეკობას „ინტერიდან" აბარგების მიზეზიც ეს იყო. ალვარომ დაიქადნა, მანჩინის გუნდს გოლს აუცილებლად გავუტან, მაგრამ არ ვიცი, ვიზეიმებ თუ არა წარმატებასო. რეკობა თამაშში 65-ე წუთზე ჩაერთო. მან პირობა ვერ შეასრულა. ამიტომ არც პოლიტკორექტულობაზე დასჭირვებია ფიქრი. ყოფილი შეგირდის განცხადებებს მაშინვე გამოეხმაურა რობერტო მანჩინი. მან დისკუსიაში შესვლა არ ისურვა, რეკობას უმაღლესი კლასის ფეხბურთელი უწოდა და თქვა, როცა ასეთი დონის ვარსკვლავი ძირითადში ვერ ხვდება, უთანხმოებები სავსებით ლოგიკური მოვლენააო.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია „ინტერის" ბანაკიდან იტალიელმა მიმომხილველებმა ბრაზილიელ თავდამსხმელ **ადრიანოს** „ოქროს უნიტაზი" გადასცეს. დიახ, ასე ჰქვია ყოველწლიურ პრიზს, რომლითაც გასული სეზონის ყველაზე ცუდ ფეხბურთელს ასახელებენ ხოლმე. ამჯერად ეს აღიარება მილანელთა ამბოხებულ ვარსკვლავს ხვდა წილად. მოგეხსენებათ, ის სამშობლოში იმყოფება და დეპრესიიდან გამოსვლას ცდილობს. შინ ჩასულმა ადრიანომ განაცხადა, რომ „ინტერში" დაბრუნებას აღარ აპირებს. მას რამდენიმე ინგლისური კლუბი შეეხმიანა, მათ შორის, „ვესტ ჰემი" და „მანჩესტერ სიტი", თუმცა მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ცსკა

# ვაგნერი ბრაზილიაში გაფრინდა

### პენტაკამპოენების თავდამსხმელი რუსეთიდან აბარგებას ცდილობს...



ვაგნერ ლავს მოსკოვში თამაში მობეზრდა

რამდენიმე დღის წინათაც ვწერდით, რომ **ვალერი გაზაევი** იძულებული გახდა ბრაზილიის ნაკრების წევრი **ვაგნერ ლავი** შეკრებიდან გაეშვა. მიზეზი არ კონკრეტდება, თუმცა ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მაშინ, როცა გუნდს ტრავმირებული ფეხბურთელი თითქმის იმდენივე ჰყავს, რამდენიც ჯანმრთელი, არცერთი ჭკუადმყოფელი დამრიგებელი, თუნდაც ფიზიკურად და მორალურად გადაღლილ ფეხბურთელზე, უარს ვერ და არ იტყვის. ფეხბურთელი ხვდება, რომ რაც მეტად დაძაბავს სიტუაციას გუნდის ხელმძღვანელობასთან, მით უფრო ადვილად მიიღებენ მისი გასხვისების გადაწყვეტილებას. მით უფრო იმ დროს, როცა სარფიანი წინადადებების ნაკლებობას მოსკოვური კლუბი არ უჩივის. რამდენიმე დღის წინათ, ბრაზილიელის მიმართ ინტერესი დაადასტურეს „ფიორენტინამ" და „ნაპოლიმ". დღემდე ყველა ასეთ წინადადებაზე კლუბის ხელმძღვანელობა მტკიცე უარს ამბობდა და ეს უარი ყოველთვის ადვილი დასასაბუთებელი იყო: ვაგნერს სულ რაღაც ერთი ბურთი დააკლდა იმისთვის, რომ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გამხდარიყო და ამას გარდა, მისი დადებითი მხარეები მხოლოდ გატანილი გოლებით არასოდეს შემოიფარგლებოდა. ის, რომ **კარლოს დუნგა** მას რეგულარულად იწვევდა ბრაზილიის ნაკრებში, სავსებით დამაჯერებელს ხდის ჩვენს მსჯელობას. ალბათ, მიდგომა ახლა მაინც უნდა შეიცვალოს. საკმაოდ მაღალი ხელფასის გადახდა იმ ფეხბურთელისთვის, ვისაც კლუბში თამაში აღარ სურს, არალოგიკურია.

ამის მიუხედავად, ცსკა-ს მესაკუთრე, მილიარდერი **ევგენი გინერი** თითქოს თავს იტყუებსო, რადიო „მაიაკთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ ის აბსოლუტურად კმაყოფილია ბრაზილიელის თამაშით აწ დასრულებულ სეზონში, რომ ფეხბურთელი მხოლოდ მორალურადაა ტრავმირებული და მომავალ წელს ის აუცილებლად დაუბრუნდება მოსკოვს, რათა ისევე შედეგიანად განაგრძოს თამაში, როგორც ამას აქამდე აკეთებდა.

სწორედ გუშინ გავრცელდა ცნობა იმის დასტურად, რომ სამხრეთამერიკელი განგებ ძაბავს ურთიერთობას ცსკა-ს ხელმძღვანელობასთან: საბერძნეთში შეკრებიდან დათხოვნის შემდეგ მას დაავალეს, რომ კლუბის საწვრთნელ ბაზაზე ინდივიდუალური პროგრამით მომზადებულიყო 12 დეკემბრამდე. 23 წლის ფეხბურთელმა ეს შეგონება ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა. მოსკოვში ჩასვლის უმალ, მან ბარგი შეკრა და ვადაზე ადრე, ბრაზილიაში, კერძოდ სან პაულოში უნებართვოდ გაფრინდა.

რახან მოსკოვურ კლუბზე ვსაუბრობთ, აქვე მოგაწვდით ერთ საინტერესო ინფორმაციასაც: 2007 წლის ივლისში, მოსკოვის მერმა **იური ლუჟკოვმა** ხელი მოაწერა პროექტს, რომლის თანახმადაც მოსკოვში საფეხბურთო ცენტრი უნდა აშენდეს. სწორედ ეს პროექტი ითვალისწინებს სუფთა საფეხბურთო სტადიონის მშენებლობასაც, რომლის ჩაბარების ვადად დათქმულია 2009 წლის შემოდგომა. ცენტრის მშენებლობის დამკვეთი და დამფინანსებელი საფეხბურთო კლუბი ცსკა გახლავთ. მხოლოდ სტადიონის ღირებულება 100 მილიონ დოლარს უტოლდება. როგორც ცნობილი გახდა, პირველი სამუშაოები ამ დღეებში დაიწყო.



ჯანლუკა ვიალი

პრობლემა

# ვიალი: ინგლისელები გადაფასებულნი არიან

### გორდონ ტეილორი: ეს ნამდვილი კრიზისია

იტალიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი **ჯანლუკა ვიალი** ცოტა ხნის წინათ ჩვენს ინგლისელ კოლეგებს გაესაუბრა და საკუთარი მოსაზრებები დაუფარავად გაუზიარა. ამ ადამიანს ნამდვილად ეთქმის სიტყვა, რადგან ის ინგლისში წლების განმავლობაში ჯერ თამაშობდა, მერე მწვრთნელად მუშაობდა და, ასე ვთქვათ, პრემიერლიგის შიდა სამზარეულოს ყურმოკვრით ნამდვილად არ იცნობს. მისი მოსაზრება მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, ინგლისელი ვარსკვლავები ზედმეტად ძვირად არიან შეფასებულნი და ინგლისის ნაკრებს მომავალშიც დიდი პრობლემები ელის, რადგან უცხოელთა მოზღვავების პირობებში შიდა რესურსებით გუნდებით გაძლიერებაზე აღარავინ ზრუნავს: *„შონ-რაიტ ფილიპსი 20 მილიონი გირვანქა ღირს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ინგლისელია. ის რომ პორტუგალიელი ყოფილიყო, სულ ცოტა 4-ჯერ იაფი იქნებოდა. ნამდვილი ტალანტების დიდი დეფიციტი შეინიშნება და ყურადღებას არც არავინ აქცევს იმას, რომ შეიძლება, ფეხბურთელმა ადაპტაცია ვერ შეძლოს. ყოველივე ამის გამო, მათზე ფასები არაბუნებრივადაა გაზრდილი."*

ფეხბურთელთა პროფკავშირების იდეით ყოველი კლუბი ვალდებულია, მინდორზე 3 ისეთი ფეხბურთელი მაინც ჰყავდეს, რომელიც მისივე სკოლაში იქნება აღზრდილი. ამასთან ამ ფეხბურთელების ეროვნებას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ეს ნაბიჯი ბრიტანული ფეხბურთის მომავალს უნდა წაადგესო, ამტკიცებენ ისინი. ანალიტიკოსების გამოთვლით, 1992\93 წლების სეზონში, პრემიერლიგის ფეხბურთელთა 71 პროცენტი ინგლისელი იყო, ახლა კი ეს ციფრი თითქმის ორჯერ შემცირდა 38 პროცენტამდე. პროფკავშირის აღმასრულებელი დირექტორი **გორდონ ტეილორი** ამბობს, რომ: *„ეს ნამდვილი კრიზისია. ჯერ კიდევ ნაკრების ფიასკომდე ვამბობდით, რომ ეს ტენდენცია შემაშფოთებელი იყო, რადგან მაშინ, როდესაც ჩვენი ეროვნული გუნდის ძირითადის ფეხბურთელი ტრავმას იღებს, ძალიან ხშირია მის ადგილას ისეთი ფეხბურთელის გამოძახება და სასტარტოში თამაში, რომელიც საკუთარი კლუბის ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდება."* ამ განცხადებას მან მალე შემდეგი დაამატა: *„ჩვენ არ ვართ ზრდასრული თუ არასრულწლოვანი უცხოელი ფეხბურთელების წინააღმდეგი. გვესმის, რომ მათი არსებობა აუცილებელია და ეს მხოლოდ ადგილობრივი კადრების დონის ზრდას უწყობს ხელს. ჩვენ ვამბობთ, რომ აუცილებელია რაღაც დოზით რეგულირება, რათა ახალგაზრდა, პერსპექტიულმა ინგლისელებმა მეტი შანსი მიიღონ საკუთარ გუნდებში. კლუბებს წამიერად სურთ შედეგის მიღება. ამიტომ მათ ახალგაზრდობისთვის აღარ სცალიათ. ხშირად სათადარიგოთა სკამზეც კი მხოლოდ ლეგიონერები სხედან, რათა გუნდს მხოლოდ და მხოლოდ ლოკალური მიზნის მიღწევაში დაეხმარონ."*

ამას პრემიერლიგის პრესსამსახურის განცხადება მოჰყვა: *„ბავშვთა აკადემიების სისტემა მშვენივრად მუშაობს. ციფრებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ 16-დან 18 წლამდე იუნიორთა 85 პროცენტზე მეტი ბრიტანელია. ასე რომ, შიდა ბაზრის ათვისებაზე ჩვენი კლუბები უარს არ ამბობენ და ნიჭიერ ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსი ყოველთვის აქვთ."*

ინტერვიუ მარკო ბალოტასთან

# ბიჭები ბაბუას მეძახიან

**მარკო ბალოტა ევროპის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელია. შესაძლოა, ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ ის 43 წლისაა და კარიერა ჯერაც არ დაუსრულებია. ბუნებრივია, „ლაციოს" ვეტერანი მეკარე ჭარმაგი ასაკის მიუხედავად, ფაქტობრივად სისტემატურად ძირითად შემადგენლობაში აყენებენ. დიახ, ბაბუად წოდებულ ბალდინის მოედანზე გასვლა ძალიან ხშირად უწევს. ხანგრძლივი კარიერის მიუხედავად, ბალდინის „ბერნაბეუზე" ჯერ არ უთამაშია. საამისო საშუალებას მას წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო მატჩი აძლევს. მოგეხსენებათ, „რეალი" სწორედ „ლაციოს" უმასპინძლებს...**

**- ბალოტა, რა საიდუმლოს ფლობთ საიმისოდ, რომ 43 წლის ასაკშიც თამაშობთ?**

- არანაირი საიდუმლო არ არსებობს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ფიზიკური თვალსაზრისით შესანიშნავად ვგრძნობ თავს. კარგად ვვარჯიშობ, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ახალგაზრდა თანაგუნდელები დატვირთვებს უკეთ უმკლავდებიან. ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ დამქანცველი მატჩების შემდეგ ძალების აღსადგენად ძალიან ცოტა დრო გვაქვს. მინდვრის მოთამაშისთვის ყოველი შეხვედრა დამატებითი ვარჯიშივითაა, რასაც ვერ ვიტყვით მეკარეებზე. თუმცა არც ჩვენ ვართ ბოლომდე დალხინებულები. 90 წუთის განმავლობაში ბევრს ვმოძრაობთ. მღელვარებაც გასათვალისწინებელია. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მორიგი დაპირისპირების წინ ძალების მეტ-ნაკლებად აღდგენა შევძლოთ. მთავარი კი მაინც ფსიქიკა და მენტალიტეტია. სიტუაცია გონებით უნდა აკონტროლო და თითოეულ მატჩს მაქსიმალურად კონცენტრირებული შეხვდე.

**- ბავშვობიდან მეკარეობაზე ოცნებობდით?**

- არა. თავიდან თავდამსხმელის პოზიციაზე ვთამაშობდი და ძალიან ბედნიერად ვგრძნობდი თავს. მახსოვს, 13 წლის ვიყავი, ვარჯიშზე ჩვენი გუნდის მეკარე არ მოვიდა და მწვრთნელმა კარში ჩამაყენა. იმდენად კარგად გამომივიდა, ყველა გაოცებული დარჩა და გოლკიპერობისთვის გამწირეს (იცინის).

**- ასაკის გამო ვინმე ხომ არ დაგცინით ხოლმე?**

- არა, პირიქით, თანაგუნდელებისა და მოწინააღმდეგეებისგან უდიდეს პატივისცემას ვგრძნობ. რა თქმა უნდა, ხუმრობის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ბიჭები სიყვარულით კბილებჩაცვენილ ბაბუას მეძახიან ხოლმე (იცინის).

**- თქვენი კარიერა საკმაოდ უცნაურად წარიმართა, მეორე და მესამე ლიგებში 11 სეზონი გაატარეთ და ნამდვილ კალჩოს მხოლოდ ამის შემდეგ, 1990 წელს გაუგეთ გემო...**

- უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სერია A-ში პირველი შეხვედრა 16 წლის ასაკში ჩავატარე. ეს 1980 წელს „ბოლონიაში" მოხდა, თუმცა ამ ერთი შეხვედრის შემდეგ ელიტარულ ლიგაში დასაბრუნებლად 10 წელი დამჭირდა. მართლაც უცნაური კარიერა მაქვს (იცინის).

**- ფეხბურთი მუდმივად ვითარდება. ამბობენ, რომ თამაში სულ უფრო და უფრო რთული ხდება. საინტერესოა, ამ დინამიკასთან შეგუება ხომ არ გიჭირთ?**

- მაგალითად, 80-იანი წლებისსა და დღევანდელ მეკარეს შორის უდიდესი განსხვავებაა. დღეს ფეხით ისევე თუ არ თამაშობ, როგორც ნახევარმცველი ან ფორვარდი დალუპული ხარ. ახალი თაობის მეკარეებს სწორედ ამ თვისებებს უნვითარებენ. სიმართლე გითხრათ, ტრანსფორმირება საკმაოდ გამიჭირდა. კარიერის დასაწყისში და მომდევნო წლებში უფლება გვქონდა, თანაგუნდელის მიერ უკან დაგორებული ბურთი ხელში აგვეღო. ბუნებრივია, ახლა ამას ვერ გავაკეთებთ. გვრჩება ერთადერთი არჩევანი, ბურთი ფეხით უნდა მოვიგერიოთ. ამასთან, ვალდებულები ვართ, ზუსტი პასი გავაკეთოთ. უბრალოდ, აუტში ან კუთხურზე გადაგდების გამო არავინ შეგაქებს. სხვათა შორის, თავად ბურთების შეცვლაც გვირთულებს ცხოვრებას. წინა დეკადებისგან განსხვავებით, თანამედროვე ბურთი უფრო მსუბუქია და ძალიან სწრაფად დაფრინავს. მეკარე უფრო სხარტი უნდა იყოს, თორემ აუცილებლად გოლს გაუშვებს.

**- ყველაზე მეტად რომელი მეკარე მოგწონთ?**

- დინო ძოფი. „ლაციოში" ის ჩემი პრეზიდენტი გახდა. განსაკუთრებულად სანახაობრივი სეივებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სეზონს ფაქტობრივად, უშეცდომოდ ატარებდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ძოფი მეტისმეტად თავდაჯერებული, სხარტი და გამოცდილი გოლკიპერი გახლდათ. ჩემი აზრით, ის მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

**- იმ თავდამსხმელის ვინაობას ხომ არ გაგვიმხელთ, რომელიც ყველაზე მეტად გაშინებდათ?**

- ვერ ვიტყვი, რომ მაშინებდა, მაგრამ ის ძალიან მაღელვებდა. ამ კაცს გაბრიელ ომარ ბატისტუტა ერქვა. თუმცა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მარკო ვან ბასტენმა მოახდინა. მფრინავი ჰოლანდიელი მართლაც ფანტასტიკური ფორვარდი იყო. მან მთელი ეპოქა შექმნა.

**- კასილიასზე რას გვეტყვით?**

- იკერი გენიოსია. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ მის შესაძლებლობებს ეჭვქვეშ აყენებდნენ. ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს უდიდესი აბსურდი იყო. „რეალმა" კასილიასზე უკეთესი ვინ უნდა შეიძინოს? ჩემი აზრით, მთელ მსოფლიოში იკერის დონის მეკარე სამი-ოთხია. 26 წლისამ მგონი 400-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა. განა ეს სასწაული არ არის? ერთია როცა თინეიჯერი მინდვირის მოთამაშეა და მეორე, როცა ის კარს იცავს. მერწმუნეთ, გამოუცდელობა გოლკიპერს გაცილებით დიდ საფრთხეს უქმნის. კასილიასმა ყველაზე რთულ გამოცდებს გაუძლო და პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო გოლკიპერად ჩამოყალიბდა.

**- მაინც რა მოგწონთ მასში?**

- თუ არ მეშლება, ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო შეხვედრა 17 წლისამ ჩაატარა. იცით რას ნიშნავს ეს? ეს ნამდვილი ფანტასტიკაა... აღსანიშნავია, რომ სადებიტო ორთაბრძოლის შემდეგ იკერმა არათუ არ დათმო პოზიციები, არამედ პირიქით, ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. მას შემდეგ იკერი მუდმივად თამაშობს და გასაოცარ შედეგებს აღწევს.

**- მასზე მეტად რომელი მეკარე მოგწონთ?**

- ვიქნები გულწრფელი და ვიტყვი, რომ კასილიასზე მეტად ჯიჯი ბუფონი მომწონს. გონებას თუ დავძაბავთ, გაგვახსენდება, რომ ბუფონს არაერთი შეხვედრა გადაურჩენია. გუნდი ყველა პარამეტრის მიხედვით წაგებას იმსახურებდა, მაგრამ ჯანლუიჯის დამსახურებით არ დამარცხებულა. ის „პარმაში" გავიცანი, მაშინ სულ რაღაც 14 წლის იყო და მივხვდი, რომ უდიდესი მომავალი ექნებოდა. ასეც მოხდა, ჯიჯი საოცრებაა...

**- თქვენი „ლაციო" „ბერნაბეუზე" „რეალს" დაუპირისპირდება. ძალიან მაინტერესებს, რაულის ხომ არ გეშინიათ?**

- გონსალეს ბლანკო უძლიერსი ფორვარდია. ჩემი აზრით, მასსავით არავინ მოძრაობს. რგოლებს შორის მოძრაობას ვგულისხმობ. შეუძლია, ნახევარდაცვიდან თავდასხმაში თვალისდახამხებაში აღმოჩნდეს. მეკარეზე კომპეტენტურ პასუხს ვერავინ მოგახსენებთ, მერწმუნეთ, ეს უდიდესი თვისებაა.

**- რობინიოზე რას გვეტყვით?**

- ჩემი აზრით, მთავარი საფრთხე არა ცალკეულ მოთამაშეებში, არამედ უშუალოდ გუნდშია. სამეფო კლუბის უკლებლივ ყველა ფეხბურთელი ძალიან სახიფათოდ უტევს. ვფიქრობ, „ლაციოს" მცველებს დიდი ჯაფა დაადგებათ. შუახაზი თუ არ დაეხმარება, სერიოზულად გაგვიჭირდება.

**- ძალიან ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში 10 გუნდში გითამაშიათ. საინტერესოა, ყველაზე მეტად რომელი მწვრთნელი მოგწონთ?**

- ერიქსონი „ლაციოს" შესანიშნავად ხელმძღვანელობდა. 1995 წელს ანჩელოტის „ბოლონიაში" ვთამაშობდი. ერთად სამი თუ ოთხი წელი გავატარეთ. ფენომენალური ადამიანი და სპეციალისტია. როცა მუშაობის დრო იყო, ტყავს გვაძრობდა, მაგრამ თუ დასვენების დრო დადგებოდა, ფანტასტიკური სალამოების ორგანიზებას ახერხებდა. სუფრისკენ კარლო პირველი მიიწევდა (იცინის).

**- კარიერის დასრულება არსოდეს გიფიქრიათ?**

- ბოლო ათი წლის განმავლობაში ყოველი სეზონის დაწყების წინ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებაზე ვფიქრობ (იცინის). ალბათ, ამიტომაც იყო, რომ კონტრაქტს მხოლოდ ერთი წლით ვახანგრძლივებდი. ახლა ვერ გეტყვით, მომავალ სეზონში რას მოვიმოქმედებ, შეიძლება დავრჩე, შეიძლება, წავიდე. სიმართლე გითხრათ, ჩემი ცოლის ბრალია, რომ ფეხბურთს აქამდე შემოვრჩი. უფლებას არ მაძლევს, კარიერა დავასრულო (იცინის). მან იცის, რომ ფეხბურთი ძალიან მიყვარს და ცდილობს, ბედნიერად ვიგრძნო თავი.

**- „რეალისგან" როგორ თამაშს ელით?**

- შემტევსა და სახიფათოს. მადრიდელები, რა თქმა უნდა, ფავორიტები არიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „ლაციოს" შანსი არ ექნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.



მარკო ბალოტა

ილია ნიკოლაიშვილი



რომან აბრამოვიჩი მსოფლიოს სპორტში მოღვაწე უმდიდრესი ადამიანია

ეს საინტერესოა

# სპორტის მილიარდერები

## რომან აბრამოვიჩი არათუ ბრიტანეთში, მსოფლიოშიც კი უმდიდრესი სპორტული მოღვაწეა...

**ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა" საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. მიმომხილველი კლაუს ნილი ცდილობს, მიხვდეს, რა ამოძრავებთ იმ ადამიანებს, რომლებიც სპორტში უშურველად ხარჯავენ ფულს. ნილი ამერიკელ და ევროპელ „სპორტულ" მილიარდერებზე გვესაუბრება და იქვე მსოფლიოს სპორტში მოღვაწე ხუთი უმდიდრესი ადამიანის სიას აქვეყნებს. პირველობას აქაც არავის უთმობს „ჩელსის" რუსი პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩი. დიახ, ის მსოფლიოს სპორტში მოღვაწე უმდიდრესი ადამიანია. მეორე ადგილიც ევროპელს და კიდევ ერთი საფეხბურთო კლუბის მფლობელს, მილანელ სილვიო ბერლუსკონის უკავია. მესამე პოზიცია საკალათბურთო კლუბის, „მაიამი ჰითის" ბოს მიკი არისონს უჭირავს. მეოთხეზე უილიამ დევიდსონია - საკალათბურთო კლუბ „დეტროიტ პისტონზისა" და ჰოკეის კლუბ „ტამპა ბეი ლაითნინგის" მფლობელს. მეხუთეზე კი ნიუ იორკ ნიქსის ბოსი ჩარლზ დოლანია. ახლა კი დაპირებული სტატია „ფორბსიდან".**

სპორტული კლუბის მართვა ყოველთვის დიდი სიამოვნება არ არის. ძვირადღირებულ სპორტსმენებს სახელი და სიმდიდრე თავში უვარდებათ. კლუბების ბოსებს მწვრთნელების ეგოიზმთან უწევთ გამკლავება. ფანების მოზიდვასა და შენარჩუნებასაც განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება. თანამედროვე სპორტში ეს ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა. ბილეთების ფასი გაუნუხრელად იზრდება. თუ ფასის მატებას კლუბმა წარმატებები არ შეაშველა, სტადიონის დაცარიელებას წინ არაფერი უდგას.

მაგრამ არიან მილიარდერები, რომლებსაც სპორტში ფულის დაბანდება და წარმატების მიღწევა ნებისმიერ ფასად ულირთ. ისინი ყველაფერზე თვალს დახუჭავენ - ასტრონომიულ ხარჯებზე, სპორტსმენების ულირს საქციელზე, კონფლიქტებზე - ოღონდაც დასახულ მიზანს მიაღწიონ. მიზანი კი ერთია: მათი კლუბი სპორტის იმ სახეობაში საუკეთესო უნდა იყოს. საუკეთესო კი ნიშნავს შემოსავლიანს.

ავიღოთ **რობერტ კრაფტი**. ის ამერიკის სპორტული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოხელეა. ამ საზოგადოებრივ მდგომარეობას კი ამერიკული საფეხბურთო ლიგის კლუბ „ნიუ ინგლენდ პეტრიოტის" საშუალებით მიაღწია. კრაფტმა „პეტრიოტი" 1994 წელს, იმ დროისათვის სარეკორდო თანხად, 172 მილიონ დოლარად შეიძინა. კლუბი ფინანსურად სავალალო მდგომარეობაში იყო და 1959 წლის შემდეგ, სეზონის განმავლობაში თამაშების ნახევარზე მეტს აგებდა. კრაფტმა ის მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სპორტულ ფრენჩაიზად აქცია. დღეს „ნიუ ინგლენდ პეტრიოტი" 1.2 მილიარდი დოლარი ღირს. სოკერის კლუბ „ნიუ ინგლენდ რევოლუშენის" მფლობელიც რობერტ კრაფტია. მისი ქონების უმეტეს ნაწილს სპორტული აქტივები შეადგენს.

სპორტული აქტივების გარდა, თითქმის არაფერი გააჩნია მილიარდერ **ჯერი ჯოუნსს**. ის ამერიკული საფეხბურთო ლიგის კიდევ ერთი ლიდერის, „დალას ქოუბოისის" მფლობელია. ჯოუნსმა კოვბოები 1989 წელს, 158 მილიონ დოლარად შეიძინა და 1.5-მილიარდიან ბიზნესად გადააქცია. ცოტა ხნის წინ ჯოუნსმა 300 მილიონი დოლარის ღირებულების უძრავი ქონება გაყიდა, რათა ფული „ქოუბოისის" ახალი სტადიონის მშენებლობაში ჩადოს. ამ ადამიანის მთელი ცხოვრება მისი კლუბია.

ევროპაში ოდნავ განსხვავებულ ვითარებას ვხედავთ. ევროპულ კლუბებში უფრო ისეთი ინვესტორები ჯარბობენ, რომლებიც ქონებას სხვაგან აგროვებენ, თუმცა ფულს დიდი სიამოვნებით აბანდებენ სპორტში, უფრო კონკრეტულად კი ფეხბურთში. მაგალითად, ისლანდიელმა **ბიორგოლფურ გუდმუნდსონმა** 1.2 მილიარდიანი ქონება გემთმშენებლობით, საბანკო საქმიანობით, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვითა და ლუდის წარმოებით დააგროვა. შემდეგ კი ადგა და ქონების ერთი ნაწილი ფეხბურთში ჩადო. მან ინგლისური „ვესტ ჰემი" შეიძინა. იტალიის უმდიდრესმა მოქალაქემ, **სილვიო ბერლუსკონიმ** 11.8 მილიარდიანი ქონება მედიაში განხორციელებული ინვესტიციებით გააკეთა. 1986 წელს, როცა ის უკვე საკმაოდ მდიდარი ადამიანი იყო, საფეხბურთო კლუბი „მილანი" შეიძინა. მილანმა ბერლუსკონის განსაკუთრებული საზოგადოებრივი წონა შესძინა. მიმომხილველები მისი პოლიტიკურ წარმატებებსაც კი „როსონერის" უკავშირებენ, მაგრამ გუდმუნდსონისა არ იყოს, ბერლუსკონისა დიდი ფული ფეხბურთით არ უშოვია.

კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითი - **რომან აბრამოვიჩი**. 41 წლის რუსი ოლიგარქი 18.7 მილიარდი დოლარის ქონებას ფლობს. ის ნავთობის მაგნატი იყო, თუმცა ცოტა ხნის წინ ამ საქმიდან გამოვიდა. 2003 წელს მან თავისი ქონების მცირე ნაწილი ფეხბურთში დააბანდა. აბრამოვიჩმა ელიტური ლონდონური საფეხბურთო კლუბი „ჩელსი" შეიძინა. ამით არ დაკმაყოფილდა და უფრო მეტი ფული ტრანსფერებში დახარჯა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „ჩელსის" საბაზრო ღირებულება 58 პროცენტით გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ კლუბს არც ახალი, უფრო ტევადი სტადიონი აუშენებია და არც ჩემპიონთა ლიგაში მიაღწევია წარმატებისათვის.

მსოფლიოს სპორტში მოღვაწე ზოგიერთი წარმატებული მოხელე თავადაც ყოფილი სპორტსმენია. ამიტომ სპორტული ჟინით განსაკუთრებით უხვად არიან დაჯილდოვებულნი. **მაიკლ ილიჩზე** ლეგენდებს ყვებიან. ის პროფესიული ბეისბოლის თამაშზე ოცნებობდა, მაგრამ ტრავმამ მას გეგმების შეცვლა აიძულა. ილიჩმა ათეულობით წელი მიუძღვნა „პატარა კეისრის პიცის" აშენებას. ეს ერთი პატარა პიცერია იყო, დღეს კი ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი ქსელია. როგორც კი ილიჩმა სოლიდურ თანხას მოუყარა თავი, ის მაშინვე სპორტში დააბანდა. 1982 წელს მან ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბი „დეტროიტ რედ უინგზი" შეიძინა. მას ეს სიამოვნება 8 მილიონი დოლარი დაუჯდა. დღეს რედ უინგზი 293 მილიონი ღირს. ათი წლის შემდეგ ილიჩმა ოცნება აიხდინა და ბეისბოლის კლუბი „დეტროიტ ტაიგერსი" იყიდა. 1992 წელს ტაიგერსი 82 მილიონი დოლარი ღირდა. დღეს მისი ფასი 350 მილიონია.

გამარჯვება ყოველთვის ყველაზე მთავარი არ არის. თუ არ გჯერათ, **ჩარლზ დოლანს** ჰკითხეთ. ის ეროვნული საკალათბურთო კლუბ „ნიუ იორკ ნიქსის" მფლობელია. შარშან დოლანმა თავის კალათბურთელებს ხელფასების სახით 118 მილიონი დოლარი გადაუხადა, ნიქსმა კი სეზონი მეორე ყველაზე ცუდი შედეგით დაასრულა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დასასრულს. „ნიუ იორკ ნიკსი" ნბა-ს ერთ-ერთი ყველაზე ძვირი კლუბია. ის 592 მილიონი დოლარი ღირს.

**კლაუს ნილი,**
ფორბსი

ინტერვიუ კრისტიან კივუსთან

# იტალიაში მცხოვრებ რუმინელებს ქუჩაში გასვლის ეშინიათ

## მე უკვე მივეჩვიე შეურაცხყოფას. არ შეიძლება, ერთი ადამიანის გამო მთელი ერი დაადანაშაულო



„ინტერის“ მცველ კრისტიან კივუს „კორიერე დელო სპორტის“ კორესპონდენტი შეხვდა. რუმინელმა იმედი გამოთქვა, რომ ამ სეზონში მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგასაც მოიგებს და სკუდეტოსაც, მიუხედავად იმ ეპიდემიისა, რაც „ინტერს“ ტრავმების სახით დაატყდა თავს. ამას გარდა, კივუმ ისაუბრა იმაზეც, თუ როგორ ცხოვრობენ დღესდღეობით რუმინელები იტალიაში, რომის რკინიგზის სადგურში ამასწინათ მომხდარი საზარელი მკვლელობის ფონზე, როცა ერთ-ერთმა რუმინელმა (რომელიც იტალიაში ლტოლვილის სტატუსით ცხოვრობდა) ახალგაზრდა ქალი, ვინმე ჯოვანი რეჯანი სიცოცხლეს გამოასალმა. სწორედ ამის გამო, კივუსა და მის თანამემამულეებს სტადიონის ტრიბუნებიდან სიტყვიერი შეურცხყოფის მოსმენა უწევთ. თუმცა თავად კრისტიანმა საგრძნობი მხარდაჭერა მიიღო, როგორც თანაგუნდელებისგან, ასევე სხვა კლუბში მოთამაშე ფეხბურთელებისა (პირველ რიგში, ყოფილი თანაგუნდელის, დანიელე დე როსისგან) და გულშემატკივრებისგანაც კი. ახლა კი, დროა ინტერვიუზეც გადავიდეთ...

**- მართალია თუ არა, რომ იმ ამბების შემდეგ დე როსიმ დაგირეკათ და მხარდაჭერა გამოგიცხადათ?**

- დიახ, ასე იყო. მიუხედავად იმისა, რომ „რომადან“ წამოვედი, ძველ მეგობრებთან ურთიერთობას ვინარჩუნებ, თანაც ძალიან კარგ ურთიერთობას. დანიელე კი იმ კატეგორიის ადამიანებს განეკუთვნება, რომელთაც უსაზღვროდ შეიძლება ენდო. ის არა მარტო სამაგალითო სპორტსმენი, არამედ უაღრესად კეთილშობილი პერსონაცაა.

**- დე როსი ყვებოდა, რომ ის და თქვენ ხშირად ერთად დადიოდით ტრიგორიის ბაზაზე...**

- აკი გითხარით, მეგობრები ვართ-მეთქი. როცა მის გოგონას საბავშვო ბაღში მივიყვანდით, მერე სადმე ერთად ვსაუზმობდით ხოლმე. დანიელესთან ურთიერთობა ძალიან ადვილი და სასიამოვნოა.

**- ის ცდილობდა, „რომაში“ დარჩენაზე დაეყოლიებინეთ?**

- მარტო ის არა, სხვებიც ცდილობდნენ. მაგრამ მათ ისიც ესმოდათ, რომ საბოლოო ჯამში ყველაფერი ჩემი გადასაწყვეტი იყო. ისე, არ დაგიმალავთ და, გასულ ზაფხულს კოშმარული ორი კვირა გადავიტანე, ალბათ, ყველაზე კოშმარული ჩემს ცხოვრებაში...

**- დე როსიმ ისიც თქვა, რომ „რომას“ შესწევს ძალა, მილიონერთა „ინტერი“ დაამარცხოს. რას უპასუხებდით მეგობარს?**

- (იცინის). უნდა, რომ გამომიწვიოს? ჩვენ არ გვეშინია პრესინგის, რადგან ამას უკვე მიჩვეულები ვართ. ვფიქრობ, „რომასთან“ დაპირისპირება სეზონის ბოლომდე გაგრძელდება.

**- ელოდით, რომ „ინტერის“ მთავარი კონკურენტი „ჯალოროსი“ იქნებოდა?**

- ველოდი, რადგან „რომა“ შარშანდელ სეზონშიც საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობდა და „ინტერმა“ გადამწყვეტი უპირატესობა მხოლოდ ჩემპიონატის მიწურულს მოიპოვა.

**- როგორ ფიქრობთ, შარშანდელთან შედარებით „რომამ“ რომელ კომპონენტში მოუმატა ყველაზე მეტად?**

- ახლა მეტი აქვს გამოცდილება და ხვდება, რა არის მისი კოზირი. და ეს იმიტომ, რომ ლუჩანო სპალეტიმ გაითვალისწინა ძველი შეცდომები. მან იცის, როგორ უნდა იმუშაოს ამ შეცდომების გამოსწორებაზე.

**- ...და თანაც, ხშირად ტოტის გარეშეც უმკლავდება რთულ ამოცანებს...**

- სწორად შენიშნეთ. შარშანაც ბევრს უკვირდა, რომ ტოტის გარეშეც ვახერხებდით ფონს გასვლას. არადა, ადრე „რომა“ მთლიანად ფრანჩესკოზე იყო დამოკიდებული. ამაშია სწორედ სპალეტის დამსახურება. მან შეძლო გუნდური თამაშის იმ დონეზე აწყობა, რომ ერთი-ორი ფეხბურთელის არყოფნა, თუნდაც ეს ტოტი იყოს, სურათს დიდად არ ცვლის. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ტოტისთან ერთად სასურველი შედეგი გაცილებით იოლად მოდის.

**- სკუდეტოსთვის მარტო „რომა“ და „ინტერი“ იბრძოლებენ, თუ ამ ბრძოლაში სხვა გრანდების ჩართვასაც ელოდებით?**

- მე მგონი, „ფიორენტინასა“ და „იუვენტუსის“ ჩამოწერა არ შეიძლება. ასევე, მსურს ყურადღება მივაქციოთ „მილანსაც“, რომელმაც ჩემპიონატი წარუმატებლად კი დაიწყო, მაგრამ დიდებული ფეხბურთელები ჰყავს და დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოუმატებს. მაგრამ იმის იმედიც მაქვს, რომ მოახლოებულ დერბის შემდეგ „როსონერის“ უფრო მეტი სხვაობით ჩამოვიტოვებთ.

**- როგორ ფიქრობთ, კარგად მიდის „ინტერის“ სეზონი? სირთულეები ხომ არ არის მოსალოდნელი?**

- თავადაც ხედავთ, რომ პირველები ვართ სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფშიც. ამ ეტაპზე, მეტი წარმატება რაღა უნდა იყოს?

**- და მაინც, რა არის ამ ყველაფრის საიდუმლო?**

- ჩვენ გვაქვს ძლიერი მოტივაცია და დარწმუნებულნი ვართ საკუთარ ძალებში. „ინტერის“ ერთ-ერთმა მეპატრონე ტრონკეტი პროვერამ ფეხბურთელებთან ამასწინანდელი შეხვედრისას თქვა - ჩვენ რეალურად შეგვიძლია, ყველა ფრონტზე გავიმარჯვოთო... და მე მას 100 პროცენტით ვეთანხმები.

**- მიზანი გასაგებია, მაგრამ რამდენადაა ეს შესაძლებელი?**

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეს ჩვენი ვალდებულებაა, ვალდებულება ტიფოზების წინაშე. ხოლო შესაძლებლობას რაც შეეხება, ამის გარანტია ძლიერი გუნდია. ამ გუნდს ყველაზე რთული ამოცანის გადაჭრაც ხელეწიფება.

**- ...მაგრამ არ გაშინებთ ტრავმების ეპიდემია, რამაც ბოლო პერიოდში იჩინა თავი?**

- რა თქმა უნდა, ეს სერიოზული პრობლემაა, მაგრამ როგორც ხედავთ, ამასაც ვუმკლავდებით. ისინი, ვინც ტრავმირებულებს ცვლიან, გაორმაგებული ენერგიით თამაშობენ. ეს არის მაქსიმალური წვლილი საერთო საქმეში და კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი სიძლიერისა.

**- რით ახსნიდით თანამედროვე ფეხბურთში ტრავმატულობის მაღალ და მეტად საგანგაშო დონეს?**

- მიზეზი მარტივია: დღევანდელი ფეხბურთი უფრო კონტაქტური და ფიზიკურად დატვირთული გახდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ყოველ სამ დღეში ერთხელ თამაში ადვილი არ არის...

**- დაკურის, სტანკოვიჩისა და ვიეირას ტრავმების გამო, რობერტო მანჩინი სულ უფრო ხშირად გაყენებთ შუა ხაზში. როგორ უმკლავდებით ნახევარმცველის როლს?**

- დაცვაში თამაშისგან განსხვავებით, შუა ხაზში ნაკლებად დაძაბული ვარ, თუმცა აქ გაცილებით მეტი ფეხბურთელი იყრის თავს და აუცილებელია, მუდმივად ყურადღებით იყო... სხვათა შორის, კარიერის დასაწყისში, როცა რუმინეთის ჩემპიონატსა და ახალგაზრდულ ნაკრებში ვთამაშობდი, ნახევარმცველი გახლდით. ფეხბურთი ძალიან მიყვარს და მზად ვარ, მოედანზე ნებისმიერი ფუნქცია შევასრულო, ეროვნულ გუნდში იქნება ეს თუ „ინტერში“.

**- რა უთხარით მატერაცის, როცა გაიგეთ, რომ რუმინეთი და იტალია ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე ერთ ჯგუფში მოხვდნენ?**

- ვუთხარი, კარგი და საინტერესო ჯგუფია-მეთქი... თუმცა მან ირონიით მომიგო, 18 ივნისის (ჯგუფური ეტაპის ბოლო დღე - რედ) მერე უკვე შვებულებაში იქნებიო (იცინის)...

**- ისე, ნამდვილად ვერ იტყვით, რომ რუმინეთის ნაკრებს ბედმა გაუღიმა...**

- მართალი ხართ, მაგრამ წილისყრა არც სხვებისთვის ყოფილა საჩუქარი. ჩვენ უკვე მონიფული გუნდი გვყავს და გარწმუნებთ, არავისი გვეშინია.

**- თავდასხმაში ისეთი ბრწყინვალე ფორვარდი გყავთ, როგორიც მუტუა...**

- ...და არა მარტო მუტუ. საერთოდ, მიმაჩნია, ის მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელთა ხუთეულში შედის. პრობლემა ისაა, რომ მუტუ დღემდე იხდის საფასურს ძველი შეცდომების გამო („ჩელსიში“ ყოფნისას ის დისკვალიფიცირებული იყო კოკაინის მოხმარების მიზეზით - რედ). თუმცა „ფიორენტინაში“ ის მართლაც ბრწყინვალედ თამაშობს და ამ გუნდის წარმატებებში სოლიდური წვლილიც შეაქვს. ვფიქრობ, ფლორენციელებს ძალიან გაუჭირდებათ მისი შენარჩუნება.

**- ბოლოხანს, თქვენს თანამემამულეებს იტალიაში პრობლემები შეექმნათ...**

- იცით, ძალიან ვღელავ ამის გამო. იტალიაში მცხოვრებ რუმინელებს ქუჩაში გასვლის ეშინიათ... თუმცა სიტუაცია ნელ-ნელა უმჯობესდება. არ შეიძლება, ერთი ადამიანის გამო მთელი ერი დაადანაშაულო. ზოგიერთი პოლიტიკოსი ამითიც სპეკულირებს და ხალხის ხმების მოსაპოვებლად რუმინელების წინააღმდეგ რადიკალურ განცხადებებს აკეთებს. სამწუხაროდ, მათ არ ესმით, რომ ეს უფრო დაძაბავს ვითარებას.

**- როგორ ფიქრობთ, ეს რასიზმია?**

- ეს მათ ჰკითხეთ, ვინც მუდმივად გაიძახის, რომ რუმინელებმა, ან თუნდაც მუსულმანებმა, იტალია უნდა დატოვონ. ახლა თქვენ თქვით, არის თუ არა ეს რასიზმი.

**- „ლაციოს“ ქომაგებმა მუტუს შეურაცხყოფა მიაყენეს. თქვენც აღმოჩნდით ანალოგიურ სიტუაციაში?**

- მე უკვე შევეჩვიე ამას.

**- ამბობენ, რომ ივლისში ადელინა ელიზეიზე იქორწინებთ. მართალია?**

- დიახ, ეს მოხდება მას მერე, რაც რუმინეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლას დაასრულებს.

**- როგორ მოახერხეთ ადელინას გულის დაპყრობა?**

- ეს უკვე პირადი ცხოვრების დეტალებია და ამაზე საუბარს არ ვაპირებ... გვინდა, გვყავდეს ბევრი შვილი. დარწმუნებული ვარ, ადელინა იდეალური ცოლი და დედა იქნება. შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ ძალიან გამიმართლა.

**- დაბოლოს, რას უნდა ველოდოთ თქვენგან და „ინტერისგან“?**

- 2007 წელი ჩემთვის წარმატებული იყო, მაგრამ მეტი მინდა. ჩემი ოცნებაა, „ინტერთან“ ერთად ყველა შესაძლო ტიტული მოვიგო.

---

ბარსელონა

# ვალდესი რეალს ჩაუსაფრდა

## სამეფო კლუბი ძლიერი გუნდია, ამიტომ ის ადრე უნდა ჩამოგვშორდეს თავიდან...



ვიქტორ ვალდესი

„რეალისა“ და „ლაციოს“ საჩემპიონთალიგო დაპირისპირების წინ „ბარსელონის“ მეკარემ საკმაოდ თამამი განცხადება გააკეთა. აი, რას ამბობს, **ვიქტორ ვალდესი**: *„ვიცი, რომ მადრიდელებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მნიშვნელოვანი შეხვედრა ელით. ალბათ, მათ ესპანეთის უდიდესი ნაწილი უქომაგებს, მაგრამ მე მათ შორის არ ვიქნები. მსურს, „რეალმა“ წააგოს და ჩემპიონთა ლიგის მიღმა აღმოჩნდეს. „ბარსელონა“ ამ ტურნირის მოგებას აპირებს და რა თქმა უნდა, სურს, რომ ყველა კონკურენტი გზიდან ჩამოშორდეს. სამეფო კლუბი ძალიან ძლიერია, ამიტომ რა აჯობებს, თუ ლიგას ადრეულად დატოვებს. ვიცი, ჩემს ამ განცხადებას დიდი ხმაური მოჰყვება, მაგრამ ყველას ვთხოვ, ემოციები მოთოკონ. უფლება მოსილი ვარ, კანონის ფარგლებში ყველაფერი ვთქვა, რასაც ვფიქრობ და ვგრძნობ. „რეალის“ სიყვარულს კონსტიტუცია არ ითხოვს. შესაბამისად, თუ ეს გუნდი არ გიყვარს, დანაშაულს არ ჩადიხარ. მოკლედ, მინდა, რომ „ლაციომ“ მოიგოს. იტალიელების დიდი იმედი მქვს.“*

ვინ თუ არა, **გუტი**?! ვალდესის გამოხდომას სწორედ ხოსე მარია გამოეხმაურა: *„ვიქტორი ძალიანს საცოდავ შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ჩანს, „რეალის“ იმდენად ეშინია, რომ ღამით კოშმარები ესიზმრება და იმედი არ აქვს, რომ მისი „ბარსელონა“ მოგვიგებს. ამიტომ, სურს, სხვა გუნდების ხელით ჩამოგვიცილოს თავიდან. არ მინდა, კოლეგიალობის ფარგლებს გავცდე, მაგრამ ვიქტორის ადგილზე მსგავსი განცხადების გაკეთება ძალიან შემრცხვებოდა.“*

სასაცილო ის არის, რომ გუტის მსგავსი რამ არაერთხელ უთქვამს. თუნდაც „არსენალთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი რად ღირდა. მაშინ, როცა მთელი კატალონია პარიზული მატჩის მოლოდინით ცხოვრობდა, ხოსე მარიამ ერთ-ერთი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში განაცხადა, ლონდონელებს ვქომაგობო.

ამასობაში, „ბარსელონის“ სამედიცინო შტაბმა **ფრანკ რაიკაარდს** სასიხარულო ინფორმაცია მიაწოდა. **იაია ტურე** და **ერიკ აბიდალი** გამოჯანმრთელების გზას დაადგნენ. კოტდიუარელსა და ფრანგს მიკრო ტრავმები აწუხებდათ, რის გამოც „დეპორტივოსთან“ ვერ იასპარეზეს. **რიკარდ პრუნას** თქმით, ორივე მათგანი ახლოსაა სრულ რეაბილიტაციამდე, თუმცა ოპტიმისტური განცხადების მიუხედავად, ტურემ და აბიდალმა ორშაბათს ვერ ივარჯიშეს. მოედანზე ვერ იხილეს სამუელ ეტოოც. ჟურნალისტები შეშინდნენ, რომ კამერუნელმა ისევ ტრავმა მიიღო, თუმცა გაირკვა, რომ ფრანკ რაიკაარდმა შეგირდის ზედმეტად დატვირთვა არ ისურვა და დიდი ხნის განმავლობაში უვარჯიშებელი ფორვარდი დაასვენა.

### ლიონს ბაპტიშტა სურს

„ლიონმა“ დაადასტურა, რომ „რეალის“ თავდამსხმელი **ჟულიო ბაპტიშტა** სურს. ბრაზილიელი ლეგიონერი მადრიდელთა ძირითადში თითქმის ვერ ხვდება. მას შეცვლაზეც კი იშვიათად თამაშობს (შვიდი მატჩი, ერთი გოლი). „რეალს“ ბაპტიშტა არ სჭირდება. ამის დასტური იყო შარშან ზაფხულს მისი „არსენალში“ გაშვება. საიჯარო ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ ბაპტიშტა მადრიდში დაბრუნდა. მეთოფეებს მისი შესაძენი ფული არ აღმოჩნდათ. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ფეხბურთელმა სასურველი კლუბი ვერ მოძებნა. მისი „რეალში“ დარჩენა, ფაქტობრივად, იძულებითი ნაბიჯი იყო. ჟულიოს აბარგებას უწინასწარმეტყველებენ. „ლიონში“ მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

### ლეო ფრანკო მარტამდე ვერ ითამაშებს

რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ **ლეო ფრანკომ** საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც სამი კვირის განმავლობაში ვერ ივარჯიშებდა. „ატლეტიკოს“ ექიმებმა გუშინ არგენტინელს სრულფასოვანი სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ საქმე გაცილებით რთულადაა. ლეო ფრანკოს მენისკი აქვს დაშავებული. მედიკოსებს გამოცდილება კარნახობს, რომ მათი პაციენტის გამოჯანმრთელება მარტამდე არ მოხერხდება. ასეთი შემაშფოთებელი ინფორმაციით **ხავიერ აგირე** შოკირებული დარჩა. აი, რა განაცხადა მექსიკელმა სპეციალისტმა: *„შოკირებული გახლავართ. არ მინდა იმის დაჯერება, რომ ლეო ფრანკო რამდენიმე თვით გამოგვეცალა ხელიდან. ეჭვი არ მეპარება, რომ მის გარეშე ძალიანს ერიოზული პრობლემები შეგვექმნება. არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ აბიატის არ ვენდობი, თუმცა ალბათ, ყველამ იცის, რომ ჩვენი არგენტინელი მეკარე ერთ-ერთ საკვანძო ფიგურად მიმაჩნია. ახლა ვერ ვხვდები გამოსავალი რაში უნდა ვეძიოთ. იმედია, დავმშვიდდები და გონება გამეხსნება.“*

[illegible] გონება **ენრიკე სერესოს** გაეხსნა. პრეზიდენ[illegible] [illegible]იგში მაღალი კლასის მეკარის იჯარის წესით გადაბირ[illegible] საკითხი დააყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მანუჩარ მარკოიშვილი

# სამი ქართველის თამაში ერთმა გადაწონა

**ლეგიონერთა კვირის მიმოხილვებში უმეტესად დადებითზე ვსაუბრობთ. თუ ჩვენიანთა გუნდები აგებენ, კალათბურთელები ყოჩაღობენ, ან - პირიქით. დღეს გიორგი ცინცაძის თამაშს თუ გამოვაკლებთ, მხოლოდ უარყოფითზე მოგვიწევს წერა.**

იტალიაში მოასპარეზე **ნიკა ცქიტიშვილის** „ტერამომ" გასვლაზე „პეზაროსთან" ბოლო წუთებზე 77:81 წააგო. ნიკამ 23 წუთი ითამაშა და ჩრდილში იყო - მხოლოდ 3 ორქულიანი და 1 სამიანი ისროლა. ცქიტომ 6 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა. ექვსივე ქულა ბოლო პერიოდში ჩააგდო.

მატჩის მიმოხილვაში ნიკას თამაში ყველაზე დაბალი, 4 ბალით არის შეფასებული. „ტერამოს" 13 მატჩიდან 7 აქვს მოგებული და სატურნირო ცხრილში მე-8 პოზიციაზეა.

**ვლადიმერ ბოისას** „სპარტაკ-პრიმორიემ" რუსეთის პირველობაზე მორიგი მატჩი წააგო, ამჯერად როსტოვში ადგილობრივ „ლოკომოტივთან" - 91:94.

ვოვა 23 წუთში 2 ქულას და 2 მოხსნას დასჯერდა. რუსეთის ჩემპიონატში პრიმორიელები 11 ტურის შემდეგ 4 მოგებით მე-9 პოზიციაზე არიან.

შინ, სევილიაში წააგო **ტაირონ ელისის** „კახასოლმა". იგი „ხუვენტუდთან" 85:89 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა 31 წუთში 1 სამქულიანი (ხუთიდან), 7 საჯარიმო გამოიყენა და 10 ქულას 5 მოხსნა და 4 პასი მიამატა. „კახასოლს" სატურნირო მდგომარეობა შესაშური ნამდვილად არ აქვს - 18 გუნდს შორის მეთოთხმეტეა(3 მოგება, 8 წაგება).

ახლა გემრიელ ლუკმაზე - **გიორგი ცინცაძეზე**, რომელმაც დანარჩენების წარუმატებლობა გადაწონა.

ბალტიის თასის მორიგ ტურში „ტარტუ როკმა" მარადიულ მეტოქეს, თანამემამულე „კალევს" უკანასკნელ წამებზე გამოგლიჯა გამარჯვება - 70:67.

სასიხარულოა, რომ გადამწყვეტი ქულები ქართველი გამთამაშებლის ანგარიშზეა. საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე გიორგის საშუალო ტყორცნის შემდეგ „როკერებმა" ერთქულიანი უპირატესობა მოიპოვეს - 67:66. მატჩის დასრულებამდე 15 წამი რჩებოდა, როცა ცინცაძეზე კალეველები განზრახ დაჯარიმდნენ, ქართველმა ორივე ტყორცნა გამოიყენა და მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვა - 70:67.

გიორგი ცინცაძემ საბოლოოდ 28 წუთში 10 ქულა, 2 პასი და თითო მოხსნა-ჩაჭრა მიითვალა. სამწუხაროდ ეს გახლდათ „როკის" ლოკალური წარმატება ბალტიის თასზე. მას 10 მატჩში მხოლოდ 3 მოგება აქვს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# ასეთი ქართველი არ გვინახავს: გამძლე, დამცველი, მსროლელი

„ქართველმა კოლორიტმა უკრაინა დაიპყრო" - ასეთი სათაურით გამოვიდა კიევური გაზეთი „ბოლელშჩიკი" (გულშემატკივარი). მასალა უკრაინულ საკალთბურთო საზოგადოებაში ჩატარებულ გამოკითხვას ეძღვნება, რომელშიც ყველაზე მეტი ხმა მანუჩარ მარკოიშვილმა მიიღო. იგი ნოემბრის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა, რასაც გულითადად ვულოცავთ.

ახლა „ბოლელშჩიკში" გამოქვეყნებულ სტატიას გავეცნოთ:

- ჩვენი გაზეთის ოქტომბრის გამოკითხვა საინტერესო ნამდვილად არ გამოდგა, რადგან მასში უპრობლემოდ გაიმარჯვა დნეპრელმა **ვიქტორ კობზისტმა**. სამაგიეროდ ნოემბრის გამოკითხვამ ყველას იმედი გაამართლა. სხვებთან ერთად ჩვენს რედაქციაშიც სუნთქვაშეკრულები ველოდით საუკეთესოს გამოვლენას. სამ პრეტენდენტს თითქმის თანაბარი შანსი ჰქონდა - კიეველებს **მანუჩარ მარკოიშვილს, არტურ დროზდოვს** და ლვოველ **ვლადიმირ გურტოვოის.**

თვის MVP-ად დასახელებას სამივე იმსახურებდა, რადგან თამაშითაც გამოირჩეოდნენ, სტატისტიკაც ეფექტური ჰქონდათ და მათი გუნდებიც თამაშს-თამაშზე იგებდნენ. გამოკითხვაში რჩებოდა ოთხი სპეციალისტი, რომელთა აზრის მოსმენამდე გურტოვოი ლიდერობდა. მას ერთი ხმით ჩამორჩებოდა მარკოიშვილი, ხოლო სამით დროზდოვი. როგორც წესი, ლეგიონერებისთვის ხმის მიცემა ადგილობრივებს ყოველთვის ეზარებათ, ამიტომ თითქმის დარწმუნებულები ვიყავით, რომ მანუს გამარჯვების შანსი აღარ ჰქონდა, საუკეთესო დროზდოვსა და გურტოვოის შორის უნდა გამოვლენილიყო. თუმცა, მოხდა საოცრება - ბოლო ოთხი გამოკითხულიდან სამმა ნოემბრის საუკეთესოდ ქართველი ფორვარდი დაასახელა!

...მაგრამ ამ შედეგმა არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან თვის მეორე ნახევარი ყველაზე ეფექტურად სწორედ მანუჩარ მარკოიშვილმა ჩაატარა. მან „ნიკოლაევსა" და ფრანგულ „პო ორტეზს" 27-27 ქულა ჩაუგდო, ხოლო სამქულიანების ტყორცნისას შეუდარებელი იყო - 58 პროცენტს იყენებდა. უკრაინის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ზურაბ ხრომაევმა** მარკოიშვილისთვის ხმის მიცემისას აღნიშნა: *„ეს ბიჭი არატიპიური ქართველი კალათბურთელია. თანამემამულეთაგან განსხვავებით მანუ საოცარი გამძლეობით გამოირჩევა, ძალიან რბილი ტყორცნა აქვს და დაცვაში შეუდარებელია. ჩემი აზრით, იგი შორს წავა."* როგორ შეიძლება არ დავუჯეროთ ზურაბ მაირანოვიჩს, რომელსაც კავკასიური კალათბურთისა არაფერი ესწავლება.

რაც ყველაზე საინტერესოა, ნოემბრის ლაურეატი მხოლოდ 21 წლისაა, თუმცა ზურგსუკან არაერთი ტიტული აქვს. მეტსაც გეტყვით: საკალათბურთო წრეებში ხშირად ხუმრობენ - თუ ჩემპიონობა გინდა, გუნდში მანუჩარ მარკოიშვილი უნდა მიიწვიოო. იგი საქართველოს, სლოვენიისა და იტალიის ჩემპიონია. ...კიეველი „მგლებიც" თამამად მიიწევენ ქვეყნის მთავარი ტიტულის მოპოვებისკენ.

მარკოიშვილისთვის ერთადერთი „სუსტი წერტილი" B დივიზიონში გაჭედილი საქართველოს ნაკრებია, თუმცა „კიევის" ფორვარდს ამ პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი დრო აქვს. მანამდე კი, მანუ უკრაინის დედაქალაქში შრომობს და თავს კომფორტულად გრძნობს. მას ძველ ნაცნობ, მწვრთნელ ტომო მაჰორიჩთან უწევს მუშაობა.

*„კიევში მოხვედრით კმაყოფილი ვარ. ზოგჯერ ენის ბარიერი იქმნება, მაგრამ მეგობრები მეხმარებიან. სხვათა შორის, ქართული მენტალიტეტიც გარკვეულწილად უკრაინულს ჰგავს. ეს ადაპტაციას აიოლებს. რაც მთავარია, აქ ქართული რესტორანიცაა..."* - აღიარებს მანუჩარი.

## მანუმ ჩატენა და...

*„მანუმ" ჩატენა, საფინალო ანგარიში დააფიქსირა(95:83) და „კიევი" ერთპიროვნულად გაალიდერა".* - ვკითხულობთ დედაქალაქელთა ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ვინც „ლელოში" გამოქვეყნებული ერთი კვირის წინანდელი ლეგიონერთა მონაგარი წაიკითხა, ემახსოვრება, რომ „კიევს" ამ უქმეებზე უკრაინის ჩემპიონატში საპასუხისმგებლო მატჩი ჩერკასში ადგილობრივ „მავპისთან" ელოდა. კიეველებმა მანუჩარის ჩატენვით სწორედ ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს მოუგეს - 95:83. გასულ შაბათს პირველი მარცხი იწვნია „აზოვმაშმაც" და სატურნირო ცხრილში „კიევი" ერთპიროვნულად გალიდერდა - 9 მოგება, 0 წაგება.

შეხვედრაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს კიეველთა მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი: *„მოგება დავიმსახურეთ, მაგრამ მისი მოპოვება ძალიან გაგვიჭირდა. პირველ ათწუთეულში დაცვაში არადამაჯერებლად გამოვიყურებოდით, მეტოქემ ამიტომაც ჩაგვიგდო 31 ქულა. მეორე მეოთხედი შეტევაში ტაქტიკური მონახაზის შესაცვლელად გამოვიყენეთ. ამის მიზეზი ის იყო, რომ პერიმეტრიდან სროლა არ წაგვივიდა, ფარიდან შორი დისტანციით ასხლეტილ ბურთს კი მასპინძლები ეუფლებოდნენ. ამიტომ თამაში სამწამიან ზონაში გადავიტანეთ და თამაშიც ისე გაგრძელდა, როგორც ჩვენ გვსურდა."*

როცა მწვრთნელი პერიმეტრიდან სროლის არწასვლაზე საუბრობდა, პირველ რიგში მანუჩარ მარკოიშვილს გულისხმობდა, რომელმაც ოთხივე სამქულიანი ააცილა.

ამის მიუხედავად ვერ ვიტყვით, რომ მანუ ურიგოდ გაისარჯა: 27 წუთში 10 ქულა, 5 ჩაჭრა და თითო მოხსნა-პასი გაიფორმა. 24 ქულით მატჩის სნაიპერი ლიბანელი ჩერკასელი ელ-ხატიბი გახდა.

ამ კვირას „კიევს" ორი პრინციპული შეხვედრა ელის, დღეს ულების თასის ეგიდით იტალიურ „ბენეტონს" მასპინძლობს, ხოლო 15 დეკემბერს - უკრაინის პირველობის მეორეადგილოსან „აზოვმაშს".

**ვაჟა სიმონიშვილი**



გიორგი ცინცაძე

სამოყვარულო კალათბურთი

## ლეჩხუმი პირველია

თბილისში გაიმართა პრეზიდენტის თასის პირველი გათამაშება, რომელიც „ლეჩხუმმა" მოიგო. შეჯიბრების შესარჩევი ეტაპი მთელს საქართველოში გაიმართა, ფინალურ ტურნირს კი დედაქალაქმა 7 დეკემბერს უმასპინძლა. მასში 12 გუნდი მონაწილეობდა. ფავორიტად ითვლებოდა „აფხაზეთი", რომლის შემადგენლობაში ყოფილი სსუ-ელები ვანო **აბულაძე, შოთა პატარაია** და **ბექა გოლეთიანი** ირიცხებოდნენ. მაგრამ წინასწარი ვარაუდი არ გამართლდა. ნახევარფინალში მათ „აჭარასთან" 5:8 დათმეს, არადა აჭარლები თავიდან 1:5 აგებდნენ.

მეორე ნახევარფინალში „ცხინვალი" 8:3 დაწინაურდა, მაგრამ ვერც მან შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და „ლეჩხუმმა" 14:12 იმარჯვა.

ფინალში არათანაბარი ბრძოლა გამოვიდა „ლეჩხუმმა" „აჭარა"(რომლის ღირსებას ყოფილი ბასკოელი **დავით ბოლქვაძე** იცავდა) 10:4 დაამარცხა.

ჩემპიონს 2 ათასი ლარი გადაეცა, მეორეადგილოსანს - ათასი. ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად ლეჩხუმელი **გიორგი გაგნიძე** დასახელდა.

ბოლოს ჩემპიონთა შემადგენლობას გაგაცნობთ: **გიორგი გაგნიძე, ირაკლი ბაქრაძე, ზურაბ თალაკვაძე, ბაქარ მგალობლიშვილი, დავით აკოლაშვილი.**

**ალექსი ორველაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სეზონის ბოლოს

# ათენითა და რომით დაგრძელებული პეკინის გზა




ჩიკაგოს რინგი ქართველებისთვის უილბლო აღმოჩნდა

საქართველოს კრივის ფედერაციამ სეზონი დაამთავრა და მომავალი წლისთვის ემზადება, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი და რთული იქნება. როგორც იცით, ერთი თვის წინ, მსოფლიო ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის საგზურების გარეშე დავრჩით. შესაბამისად, სწორედ გაისად, თებერვალსა და აპრილში უნდა გადაწყდეს, შევძლებთ თუ ვერა ოლიმპიადის საგზურების მოპოვებას ათენისა და რომის სალიცენზიო ტურნირებზე.

მოდი, ერთად გადავხედოთ განვლილ სეზონს, განვიხილოთ ქართული კრივის პლუს-მინუსები და საგაისო პერსპექტივებზეც ვისაუბროთ.

## კრივის ფედერაცია

მეორე წელიწადია, რაც საქართველოს კრივის ფედერაცია ჩაიბარა მთავრობის წარმომადგენელმა პეტრე ცისკარიშვილმა. ამას მოჰყვა ის, რომ ცალკე ხელისუფლებამ დაიწყო კრივზე სერიოზულად ზრუნვა, ცალკე ცისკარიშვილი და მისი თანაშემწეები ამოქმედდნენ. შესაბამისად, ქართული კრივი აშკარა პროგრესის გზაზე დადგა. მოგვარდა წლობის განმავლობაში უკურნებელ სენად ქცეული უფულობის, შეკრებების, საერთაშორისო ტურნირებისა თუ ეკიპირების პრობლემა, დაიწყო ახალი დარბაზების მშენებლობა, ჩამოყალიბდა სერიოზული ურთიერთობები ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციებთან, დაგეგმილია ტრადიციული თბილისის საერთაშორისო ტურნირის დაარსება, რომელიც ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრების წოდების მოპოვებისთვის იბრძოლებს...

## მოკრივეები და მწვრთნელები

მიუხედავად ფედერაციის დიდი მონდომებისა, წლეულს ოფიციალურ შეჯიბრებებზე, მაინცდამაინც მაღალი შედეგები არ გვქონია. ევროპის ახალგაზრდულ პირველობასა და უფროსების მსოფლიო ჩემპიონატზე უმედლოდ დავრჩით. ერთადერთი მედალი კადეტებმა მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონატზე. კონკრეტულად, ამ გუნდის წევრი **რომან თავაძე**, ვერცხლის პრიზიორი გახდა. თუკი ოფიციალურ შეჯიბრებებზე ერთადერთი მედლის ამარა დავრჩით, საერთაშორისო ტურნირებზე უხვად გვყავდა ჩემპიონ-პრიზიორები. თუმცა, რასაკვირველია, ყველაზე მთავარი მაინც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებებია, რითაც დიდად ვერ დავიკვეხნით.

ასეთი მწირ შედეგებში მთავარი დამნაშავეა წინა წლების გაჭირვებული ყოფით გამოწვეული საკადრო პრობლემები. ორჯერ ორივითაა, რომ დრომოჭმულ, უვარგის დარბაზებში, უხელფასო და თანამედროვეობას ჩამორჩენილ მწვრთნელებთან (რა თქმა უნდა, ეს ყველა მწვრთნელს არ ეხება) მაღალი დონის მოკრივე ვერ გაიზრდება. სწორედ ასეთ პირობებში იზრდებოდნენ წლების განმავლობაში ჩვენი მოკრივეები. ამიტომაც მათ უკვე იმდენი დაკარგეს, რომ მიუხედავად ამჟამინდელი გაცილებით უკეთესი ყოფისა, საერთაშორისო არენაზე უჭირთ მაღალი შედეგების ჩვენება.

ამის თვალსაჩინოებისთვის, უმცროს ასაკებს რომ თავი დავანებოთ, გადავხედოთ ეროვნული ნაკრების წლევანდელ შემადგენლობას. 11 წონითი კატეგორიიდან, უმეტესობაში ნაკრების პირველი ნომრები ერთი თავით მაღლა დგანან კონკურენტებზე, 51 კილოგრამში კი საერთოდ არ გვყავს ისეთი მოკრივე, რომ საერთაშორისო ასპარეზზე მაღალი შედეგი აჩვენოს, რის გამოც ამ წონიდან ხშირად საერთოდ არავინ მიჰყავთ ხოლმე ოფიციალურ შეჯიბრებებზე.

ამას გარდა, ახლახან, ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თენგიზ მესხაძემ**, ჩემთან ინტერვიუში თავადაც აღიარა, რომ ჩვენი მოკრივეები ნიჭიერები კი არიან, მაგრამ წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლებს ჩამორჩებიან რინგზე აზროვნებასა და სისწრაფეში. ეს თვისებები კი მათ ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებში უნდა ჩამოჰყალიბებოდათ და არა ეროვნულ ნაკრებში.

აქედან გამომდინარე, კრივის ფედერაციას ძალიან დიდი მუშაობა მართებს მწვრთნელების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. რაც არ უნდა ბევრი და თანამედროვე დარბაზი აშენო, რაც არ უნდა ნიჭიერი მოკრივეები გეზრდებოდეს, თუკი მათ ბავშვობიდანვე არ ეყოლებათ მაღალი დონის, თანამედროვე მწვრთნელები, დიდ წარმატებებს ვერასოდეს მიაღწევენ.

ძნელია, ასეთი გუნდით გაუმკლავდე მსოფლიო გრანდებს. მაგალითად, რუსეთის, კუბისა თუ ყაზახეთის ნაკრებებში ისეთი მძაფრი კონკურენციაა, რომ ამ ქვეყნებს თავისუფლად შეუძლიათ ჩვენზე გაცილებით ძლიერი მინიმუმ, ორი გუნდის დაყენება. ამას დაუმატოთ ისიც, რომ გრანდებს მსაჯებისაგან ხელის წაშველებაც თითქმის ყოველთვის გარანტირებული აქვთ. ასეთი ქვეყნების წარმომადგენელს რომ მოუგო, საკუთარ თავს უნდა გადაახტე...

მოკლედ, საკადრო პრობლემები აშკარაა. ერთ და ორ დღეში კი არაფერი მოდის. თუკი დღევანდელი პირობები მინიმუმ, შენარჩუნდება და მოგვარდება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი, 2-3 წელიწადში უკვე დაიწყება სერიოზული შედეგების მომკა.

რაც შეეხება ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ამ საკითხში ის არის ცუდი, რომ ბოლო სამ წელიწადში, ეროვნულ ნაკრებს სამჯერ შეეცვალა მთავარი მწვრთნელი. წლეულს, გუნდმა სეზონი დაიწყო **ავთანდილ შოშიაშვილის** ხელში, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე ჩაენაცვლა **თენგიზ მესხაძე**. მართალია, შოშიაშვილი საკმაოდ მაღალი დონის სპეციალისტია, ურიგოდ არ მოუმზადებია გუნდი და არც მესხაძისთვისაა ნაკრები უცხო, მაგრამ როდესაც ასეთი დონის შეჯიბრებაზე მიგყავს გუნდი, იგი მინიმუმ, ერთი წელი მაინც უნდა იყოს შენს ხელში.

თენგიზ მესხაძე ნაკრებში ადრეც მუშაობდა წლების განმავლობაში და იმ გაჭირვების ხანაში, მის ხელში გუნდმა საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენა - ორი ბრინჯაო და ერთი ვერცხლი ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე ათენის ოლიმპიადის ორი საგზური. ვიმედოვნებთ, მესხაძე პეკინშიც წაიყვანს შეგირდებს...

## საერთაშორისო ურთიერთობები

ბავშვმაც კი იცის, რომ დღევანდელ მსოფლიო სპორტში, საკმაოდ აქტუალურია მსაჯების მოქრთამვისა და ალებ-მიცემობის პრობლემა. ამ მხრივ, ერთ-ერთი „მოწინავეა" სამოყვარულო კრივი. ამდენად, კრივში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორი ურთიერთობა გაქვს ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციებთან, რათა შენი მოკრივეები მსაჯებმა არ დაგიჩაგრონ. **გიორგი კანდელაკის** დროინდელი ფედერაცია ამ კუთხით ნამდვილად მუშაობდა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მაშინ გაცილებით ხშირად გვიჩაგრავდნენ მოკრივეებს, ვიდრე ახლა.

ამჟამინდელი ფედერაცია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს პრობლემა მოაგვაროს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობს ფედერაციის გენერალური მდივანი **ვლადიმერ ახალკაცი**, რომელსაც საერთაშორისო ფედერაციაში (აიბა), ტექნიკური კომისიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს სთავაზობენ. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც აიბაში ჩვენი წარმომადგენელი გვეყოლება. თანაც, ტექნიკური კომისია საკმაოდ გავლენიანი ორგანოა აიბაში. აქედან გამომდინარე, ნესით, მსაჯობის პრობლემა საგრძნობლად უნდა გამოსწორდეს. აღნიშნული საკითხის მოგვარება ახლა ჩვენთვის ალბათ ყველაზე აქტუალურია და თუ რატომ, ამაზე შემდეგ ქვეთავში ვილაპარაკოთ.

## ბოლო ორი შანსი

როგორც ზემოთ ვთქვით, ევროპელი მოკრივეებისთვის, პეკინის ოლიმპიადაზე მოხვედრის ბოლო ორი შანსია ათენისა და რომის სალიცენზიო ტურნირები. ამ შეჯიბრებებზე, ოლიმპიური ლიცენზიისთვის საჭიროა ზოგ წონით კატეგორიაში ფინალში გასვლა, ზოგში კი ნახევარფინალისტობა, ანუ ბრინჯაოს მედალი. ათენსა და რომში, არ იჩხუბებენ პლანეტის ის უძლიერესი მოკრივეები, რომლებიც წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხედფინალში (91 და +91 კილოგრამში ნახევარფინალში) გავიდნენ. შესაბამისად, ჩვენი შანები იზრდება, მაგრამ მდგომარეობას ის გვირთულებს, რომ ულიცენზიოდ დარჩენილი, ფინანსურად ჩვენზე გაცილებით ძლიერი ქვეყნები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მიზანს მიაღწიონ. ამისათვის არც ტურნირების ორგანიზატორებისა და მსაჯების მოქრთამვას მოერიდებიან. ამიტომაცაა ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მსოფლიო კრივის ზემდგომ ორგანოებთან კარგი ურთიერთობა გვქონდეს, რათა მოკრივეები არავინ დაგვიჩაგროს.

თუმცა, რასაკვირველია, მხოლოდ ეს ვერ გვიშველის და თავად მოკრივეებმა და ნაკრების თავკაცმაც ძალიან ბევრი უნდა იმუშაონ. მესხაძის თქმით, ნაკრებს ჰყავს 6 ლიდერი, რომელთაგანაც ყველას რეალურად შეუძლია პეკინში მოხვედრისათვის ბრძოლა, მაგრამ ექვსი ლიცენზიის მოპოვება ნაკლებად რეალურია. ათენსა და რომში, იმდენად რთული იქნება მიზნის მიღწევა, რომ ერთი ლიცენზიაც კი წარმატებად ჩაითვლება.

**კობა ხატისაშვილი**

ახალგაზრდული ნაკრები

# სეზონი 8 მედლით დამთავრდა

ბაქოში დასრულდა აგალაროვის სახელობის ახალგაზრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებიც ასპარეზობდა. ეს იყო წლის უკანასკნელი შეჯიბრება საქართველოს კრივის ფედერაციისათვის და შეიძლება ითქვას, რომ **ბეჟან ჭიჭინავას** შეგირდებმა მაჟორულ ნოტაზე დაასრულეს ეზონი. 10 ქართველიდან შვიდმა შეძლო მედლის მოპოვება და მასპინძლების შემდეგ, გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.

როგორც საქართველოს კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა კონსტანტინე ბერძენიშვილმა გვითხრა, ტურნირზე არ ყოფილა ძალიან ბევრი გუნდი, მაგრამ სამაგიეროდ, მონაწილეთა ხარისხი იყო მაღალი. ბაქოში მასპინძლებისა და ქართველების გარდა, კიდევ 4 ქვეყანა ჩავიდა - ინგლისი, უელსი, უკრაინა და სერბეთი. რაც შეეხება ჩვენს პრიზიორებს, ვერცხლის მედალი მოიპოვა **თორნიკე კოტრიკაძემ** (54 კგ), ხოლო ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ **ფარიზ ისკანდეროვი** (48), **იროდი ონაშვილი** (54), **პაატა გვილავა** (57), **ზაალ კვაჭატაძე** (60), **გიორგი ჯაყელი** (64) და **ნიკოლოზ ღვინიაშვილი** (75).

აღსანიშნავია, რომ 54 კილოგრამში, ნახევარფინალში შედგა ქართული ბრძოლა კოტრიკაძესა და ონაშვილს შორის, რომელშიც გამარჯვება დარჩა კოტრიკაძეს. ასევე ცალკე აღსანიშნავია ჭაბუკებს შორის შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ზაალ კვაჭატაძის პროგრესიც, რომელიც ნელ-ნელა მიიწევს წინ და უფროსებში იმკვიდრებს ადგილს. იგი შარშან მსოფლიო პრიზიორი გახდა 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ახლა კი 60 კილოგრამში გამოდის. წლეულს, ზაალმა წლეულს კიდევ ერთი მედალი მოიპოვა ირკუტსკის ახალგაზრდულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მეორე იყო.

**კობა ხატისაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძიუდო

# მესაბლიშვილი კიევში

ამ დღეებში კიევში ახალ შეჯიბრებას, **ნუგზარ მესაბლიშვილის** სახელობის ჭაბუკთა ტურნირს დაედო სათავე. მესაბლიშვილს. კარგად იცნობენ საქართველოში - იგი წარმოშობით ახმეტელია, თუმცა 20 წელიწადზე მეტია, კიევში ცხოვრობს. მესაბლიშვილი წარმატებით გამოდის ვეტერანთა ტურნირებში და ახლახანს ევროპის ჩემპიონიც გახდა, ამიერიდან კი კიევი მის ღვაწლს პერსონალური ტურნირით დააფასებს.

ცხადია, პირველი ტურნირი მისი მშობლიური ქალაქის - ახმეტის გარეშე არ ჩაივლიდა, თუმცა კახელები ამ ტურნირში მოკრძალებული - 5-კაციანი გუნდით წავიდნენ გუგული აბრამიშვილის ხელმძღვანელობით. სამაგიეროდ, სამშობლოში წარმატებით - 2 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდნენ. ჩვენებურთა გარდა, ტურნირში რუსეთის, ბელარუსის გუნდები და უკრაინის რეგიონების რამდენიმე ნაკრები გამოდიოდა.

ქართველებმა უმჩატეს წონებში - 38-ში და 50-ში იმარჯვეს. 38 კილოგრამ წონით კატეგორიაში **გრიშა გუმაშვილმა** გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში მასპინძელი ადამ ციცულაევი დაამარცხა. 50-ის ფინალში **შმაგი ლაგაზაურმაც** მასპინძელი, შუკრატ ხალმატოვი დაჯაბნა. ბრინჯაოს მედალი **გიორგი მესაბლიშვილმა** (55) მოიპოვა. ბრინჯაოსთვის იჭიდავეს დანარჩენმა ჩვენებურებმაც - **გიორგი გოგოლაძემ** (66) და **ვახტანგ მაილაშვილმა** (81), მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრები ორივემ დათმო და მეხუთეზე დარჩნენ.

პრიზიორთა სიაში კიდევ ორი ქართულ გვარ-სახელია, მაგრამ ორივე უკრაინელი - 55-ში კიეველმა **მირონ რამიშვილმა** გაიმარჯვა, 60-ში კი ფინალში ნუგზარის შვილი - **თემურ მესაბლიშვილი** გავიდა, მაგრამ დამარცხდა და ვერცხლი ირგუნა.



შერმადინ მიქელთაძე

# ვეტერანთა ტურნირი

ამ დღეებში გერმანულ შტუტგარტში დამთავრდა ვეტერანთა ძიუდოისტთა ევროპის მეშვიდე პირველობა. ფინანსური პრობლემების გამო, საქართველოდან ამ ტურნირში მხოლოდ ორი სპორტსმენი გამოდიოდა, რომელთა ანგარიშზეც 1 ვერცხლის მედალია. იგი 40-44 წლის ვეტერანთა შორის მოასპარეზე ქუთაისელმა მძიმეწონოსანმა **შერმადინ მიქელთაძემ** მოიპოვა.

ტურნირი კარგად დაიწყო მეორე ქართველმაც - თბილისელმა **ზაურ სახვაძემ**, რომელიც 60-65-წლიანთა ტურნირზე 81-ში გამოდიოდა. მან პირველი შეხვედრა წმინდად მოიგო, მაგრამ მეორეში მუხლი სერიოზულად დაიშავა და შეჯიბრება ვერ გააგრძელა. შეგახსენებთ, რომ იგი ვეტერან სამბისტებში მსოფლიოს 9-გზის ჩემპიონია.

ჩოგბურთი



ლადო ჩიხლაძე

# წელინადს პიკზე ასრულებენ

მამაკაცთა რეიტინგ-ლისტი, რომელსაც სპონსორისქ „სამხრეთ აფრიკის ავიახაზების" სახელი აქვს, წლეულს მეტჯერ აღარ გამოქვეყნდება. წლის საბოლოო რეიტინგ-ლისტში საქართველოს 22 წლის პირველი ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** 366-ე პოზიციაზეა. ლადომ წელინადი 84 სარეიტინგო ქულით დაასრულა. ლადოს ეს მაჩვენებელი გასული კვირისას 5 საფეხურით ჩამორჩება, ხოლო ჯერჯერობით საუკეთესო მიღწევას (15 ოქტომბერი) - 16 ადგილით. 2007 წელს ლადო ჩიხლაძემ „ფიუჩერსის" სერიის ხუთი ტურნირი მოიგო (ორი საქართველოში, ორი შვეიცარიაში და გერმანიაში), მისთვის მნიშვნელოვანი წარმატება იყო ორლეანის ჩელენჯერზე მერვედფინალში გასვლაც. ამ ხუთ ტურნირში მან 73 სარეიტინგო ქულა მიიღო, დანარჩენში კი მხოლოდ - 11. ლადოსგან 2008 წელს კიდევ უფრო მეტ წარმატებას ველით.

სხვა მხრივ, ვერაფრით დავიკვეხნით - უთამაშებლობამ ერთ დროს მსოფლიო ელიტას მიახლოვებული **ირაკლი ლაბაძე** საერთოდ გამოთიშა მსოფლიო კლასიფიკაციიდან. სამი ახალგაზრდა კი რეიტინგში სიმბოლურადაა: 1211. (-6) **ნოდარ ითონიშვილი** - 4 ქულა, 1480 **გიორგი ჭანტურია** და **გიორგი ხრიკაძე** - 1-1 ქულა. იმედი ვიქიონიოთ მალე კლასიფიკაციაში ნიჭიერი ახალგაზრდები **ლაზარე კუხალაშვილი** და **ნიკოლოზ ბასილაშვილი** გამოჩნდებიან.

გუშინ გამოქვეყნდა ქალ ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტიც, სადაც ათი ქართველი ჩოგბურთელია. **მაკა ჩახნაშვილის** რეიტინგი არ შეცვლილა - 160 ქულით ის კვლავ მსოფლიოს 186-ე ჩოგანია. მაკამ შარშანდელი სეზონი უკეთეს პოზიციაზე ჩაამთავრა, წლეულს ივლისში კი ჯერჯერობით კარიერის პიკს მიაღწია - მსოფლიოს 134-ე ჩოგანი გახდა. 17 წლის **ანა ტატიშვილი** 92 ქულით მსოფლიოს 277-ე (-2) ჩოგანია. ანას საუკეთესო მიღწევა მარტში ჰქონდა, როცა მსოფლიოს 267-ე ჩოგანი გახდა.

სხვა ქართველები: 409 (-2) **სოფიო შაფათავა** - 46 ქულა; 509 (-2) **თინათინ ყაველაშვილი** - 31; 591 (-1) **სალომე დევიძე** - 22; 608 (-3) **მანანა შაფაქიძე** - 21; 643 (-1) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 18; 689 (+12) **სოფიო ქვაცაბაია** - 16; 801 (-2) **ეკა გორგოძე** - 10; 841 (-2) **სოფიო მელიქიშვილი** - 9. მანანა შაფაქიძე და სოფიო ქვაცაბაია წელინადს კარიერის პიკზე ასრულებენ.

ორი ჩვენებური, სოფიო შაფათავა და თინათინ ყაველაშვილი ჩეხეთის ქალაქ ვალასკე მეჟირიჩიში 25-ათასიან ტურნირში ასპარეზობდა. სამწუხაროდ, გუშინ ორივე ტურნირს გამოაკლდა. საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განთესილი შაფათავა მეორე წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეულ სლოვაკ **ლენკა ჟურიკოვასთან** დამარცხდა - 3:6, 5:7. მართალია, ჟურიკოვა ახალგაზრდულ ასპარეზზე გამორჩეული ჩოგბურთელია (23-ე ჩოგანია), მაგრამ დიდებში ის სულ მესამე ტურნირში თამაშობდა. წააგო მე-8 ნომრად განთესილმა თინათინ ყაველაშვილმაც, მას ზელანდიელმა **დიენ ჰოლენდსმა** მოუგო - 5:7, 5:7. შაფათავა ვალასკე მეჟირიჩიში რჩება, სადაც წყვილთა თანრიგში უკრიანელ **ოქსანა ხომუკთან** ერთად ასპარეზობს. პირველივე წრეში მათ ძალზე ძლიერი მეტოქეები შეხვდნენ - პირველ ნომრად განთესილები **ლუსი ჰრადეცკა** (66-ე ჩოგანი წყვილებში) და **ანდრეა ჰლავაცკოვა** (101). პარალელურად მიმდინარეობს დუბაის ტურნირი (75 ათასი დოლარი) უქართველოდ. წლის ბოლომდე მხოლოდ ერთი ტურნირილა გაიმართება (ნიგერიაში), ასე რომ ქართველთათვის სეზონი მორჩა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ხუთნი ესპანეთში

ესპანეთის ქალაქ ბენიდორმში დასრულდა საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც რამდენიმე ტურნირს აერთიანებდა. საქარვთელოდან რამდენიმე მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას: **თამარ ხმიადაშვილი, მაკა ფურცელაძე, დეა გოგიშვილი და ნინო ანაკიძე**. ესენი სამიოდ კვირაა ესპანეთში არიან და სხვადასხვა ტურნირში თამაშიც მოასწრეს. გასულ კვირას კლასიკური ჭადრაკის ტურნირში ითამაშა **თამარ ხმიადაშვილმა** და 6,5 ქულით მეთორმეტე ადგილზე გავიდა. ვეტერანი მოჭადრაკისთვის ასეთი შედეგი საკმაოდ თვალსაჩინოა. ქალბატონ თამარს ამით არ დაუსრულებია და იქვე სწრაფ და ბლიც ტურნირებშიც მოსინჯა ძალა. ბლიცტურნირში, სადაც სათამაშო დრო 15 წუთი იყო, 5,5 ქულით 11 შესაძლებლიდან 39-ე ადგილზე გავიდა, ბლიცში კი 6,5 ქულით ცხრიდან მეთორმეტე ადგილი ერგო.

სწრაფ ჭადრაკში მეორე ქართველიც თამაშობდა - **მაკა ფურცელაძემ** ჩვეულად, მაღალ დონეზე იასპარეზა და 7,5 ქულით მეცხრე აგილზე გავიდა. აღსანიშნავია, რომ მაკამ ბოლო ტურში თეთრებით უკრაინელ დიდოსტატს რუსლან პოგორელოვს მოუგო.

წარმატებული შეიძლება ეწოდოს **დეა გოგიშვილისა და ნინო ანაკიძის** გამოსვლასაც. 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის გამართულ შეჯიბრში, რომელიც 7 ტურად ჩატარდა, ანაკიძე 5 ქულით მეცხრე ადგილზე გავიდა, გოგიშვილი კი მეათეზე, მასაც 5 ქულა ჰქონდა.

ქართულ ოთხეულს გასულ კვირის დასაწყისში **ბაადურ ჯობავაც** შეუერთდა, რომელიც სპეციალურად გახლდათ მიწვეული ესპანეთში. მან წრიულ ტურნირში ითამაშა, სადაც სულ ექვსი დიდოსტატი შეიკრიბა; აქედან ერთი - ქალბატონი ბრძანდებოდა - რუსი ვერა ნებოლშინა. სათამაშო დრო აქაც 15 წუთი იყო, ყოველ სვლაზე 15 წამის დამატებით. ექვსივე მონაწილე ორჯერ ხვდებოდა ერთმანეთს. ტურნირში თამაშობდნენ: რუსი ვლადიმირ მალახოვი (2690); ფრანგი ვლადისლავ ტკაჩოვი (2661); უკრაინელი სერგეი ფედორროვიჩი (2645); ესპანელი დავიდ გუერა (2407).

ჯობავა, ცხადია, ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, თუმცა, რეიტინგით მეოთხე იყო. საბედნიეროდ, ქართველმა მოჭადრაკემ შესანიშნავად იასპარეზა და 8 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. ლიდერს, ვლადიმირ მალახოვს ჯობავამ ნახევარი ქულით ჩამორჩა. ურთიერთშეხვედრებში ბაადურმა მალახოვთან ფრედ ითამაშა - თეთრებით მოუგო, შავებით კი დამარცხდა. მესამე ადგილზე გასულ ტკაჩოვთანაც ფრე დააფიქსირა, თუმც ორივე პარტიაში ქულა გაიყვეს. მეტი ქულა ჯობავას არ დაუკარგავს - ყველა მოიგო.

საბოლოო ცხრილი ასეთია: **1. ვლადიმირ მალახოვი (რუს. 2609) - 8,5; 2. ბაადურ ჯობავა (2644) - 8; 3. ვლადისლავ ტკაჩოვი (საფ. 2661) - 6,5; 4. სერგეი ფედორჩუკი (უკრ. 2645) - 3,5; 5. დავიდ გუერა (ესპ. 2407) - 2; 6. ვერა ნებოლშინა (რუს. 2349) - 1,5.**

**ზვიად შათირიშვილი**

ხელბურთი

ნაკრები გუნდები

# ახალგაზრდულში თურქია ინიშნება

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ერთ კვირაში თურქეთში გაემგზავრებიან, სადაც 19-21 დეკემბერს, სამ-სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებენ მასპინძლებთან.

ეროვნულ ნაკრებს ახლახან დაენიშნა ახალი მთავარი მწვრთნელი - **იმედო ფხაკაძე**, რომელიც გუნდს მინიმუმ 20 იანვრამდე, ანუ „ჩელენჯ ტროფის" ფინალამდე მოამზადებს. ამას გარდა, ფხაკაძე დროებით ითავსებს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობასაც, რადგან ახალგაზრდულის თავკაცმა **ირაკლი კეკელიძემ** თანამდებობა საკუთარი სურვილით დატოვა.

რაც შეეხება ახალგაზრდების მომავალ მესაჭეს, როგორც შევიტყვეთ, ამ გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნება ბოლო ხანებში საბერძნეთში მოასპარეზე ვეტერანი ხელბურთელი **გარი თურქია**, რომელიც ამჟამად ბერძნული მეორე ლიგის კლუბ „პოსეიდონის" მოთამაშე მწვრთნელია. საქართველოს ხელბურთის ფედერაციასა და თურქიას შორის მოლაპარაკება თითქმის დამთავრებულია და ახლა იმასღა ელოდებიან, როდის ჩამოვა გარი საქართველოში, რათა ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარონ. სავარაუდოდ, იგი ხუთშაბათს ჩამოვა და მისი დებიუტი ნაკრების მწვრთნელად თურქეთში შედგება. გაზაფხულზე კი თურქიასა და მის შეგირდებს გაცილებით სერიოზული გამოცდა ელით ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი 20 იანვარს, ნორვეგიაში გასამართი „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის დასკვნით მოსამზადებელ შეკრებას დაიწყებს 6 ან 7 იანვარს, თელავში და იქვე დაამტავრებს სამზადისს. გადაწყდა ისიც, რომ ვერ ხერხდება ნორვეგიაში ერთი კვირით ადრე ჩასვლა. ნაკრები ნორვეგიას 19 იანვარს მიაშურებს.

**კობა ხატისაშვილი**

## ბიათლონი

### მსოფლიო თასი

### ჰოხფილცენი (ავსტრია)

#### მამაკაცები

**10 კმ. სპრინტი.** 1. **დმიტრი იაროშჩენკო** (რუს) - 23:57.8 (0+1); 2. **ოლე-ეინარ ბიორნდალენი** (ნორ) - +37.7 (2+0); 3. **ანდრეი მაკოვეევი** (რუს) - +51.0 (1+1); 4. **კარლ იოჰან ბერგმანი** (შვედ) - +55.2 (0+0); 5. **ივან ჩერეზოვი** (რუს) - +1:02.3 (2+0); 6. **მაქსიმ ჩუდოვი** (რუს) - +1:05.3 (2+0).

**12.5 კმ. გამოდევნებით.** 1. **ოლე-ეინარ ბიორნდალენი** (ნორ) - 34:57.31 (0+1+1+3); 2. **დმიტრი იაროშჩენკო** (რუს) - +28.7 (1+0+1+3); 3. **დანიელ გრაფი** (გერ)- +1:01.6 (0+0+0+0); 4. **ჰალვარდ ჰანევოლდი** (ნორ) - +1:05.1; 5. **კარლ იოჰან ბერგმანი** (შვედ) - +1:06.9 (1+2+0+0); 6. **ანდრეას ბირნბახერი** (გერ) - +1:16.7 (0+0+1+0).

**4X7.5 კმ. ესტაფეტა.** 1. **ნორვეგია** (სვენდსენი, ოსი, ჰანევოლდი, ბიორნდალენი) - 1:18:31.26 (0+6); 2. **რუსეთი** (ჩერეზოვი, ჩუდოვი, კრუგლოვი, იაროშჩენკო) - +2:25.5 (2+10); 3. **გერმანია** (რიოში, გრაფი, პეში, გრაისი) - +2:56.6 (0+9); 4. **საფრანგეთი** - +3:16.2 (1+11); 5. **შვეიცარია** - +3:33.4 (0+10); 6. **შვედეთი** - +3:37.3 (3+14).

**საერთო ჩათვლა:** 1. **ოლე-ეინარ ბიორნდალენი** (ნორ) - 194; 2. **დმიტრი იაროშჩენკო** (რუს) - 185; 3. **ივან ჩერეზოვი** (რუს) - 159; 4. **ბიორნ ფერი** (შვედ) - 129; 5. **ვენსან დეფრასნი** (საფ) - 128; 6. . **მაქსიმ ჩუდოვი** (რუს) - 116.

#### ქალები

**7.5 კმ. სპრინტი.** 1. **სანდრინ ბეი** (საფ) - 21:53.0 (0+0); 2. **ეკატერინა იურიევა** (რუს) - +18.8 (0+0); 3. **კატი ვილჰელმი** (გერ) - +33.9 (0+0); 4. **ტორა ბერგერი** (ნორ) - +49.1 (0+1); 5. **საბრინა ბუხჰოლცი** (გერ) - +51.8 (0+1); 6. **ანდრეა ჰინკელი** (გერ) - +55.0 (0+3).

**10 კმ. გამოდევნებით.** 1. **სანდრინ ბეი** (საფ) - 31:37.79 (0+0+0+1); 2. **ეკატერინა იურიევა** (რუს) - +31.4 (0+1+3+0); 3. **კატი ვილჰელმი** (გერ) - +32.6 (1+0+0+0); 4. **მაგდალენა ნოინერი** (გერ) - +55.5 (0+0+1+1); 5. **მარტინა გლაგოვი** (გერ) - +1:02.0 (0+1+0+1); 6. **ანე ინგშტადბოერგი** (ნორ) - +1:06.9 (0+0+0+0).

**4X6 კმ. ესტაფეტა.** 1. **გერმანია** (გლაგოვი, ჰენკელი, დენკინგერი, ვილჰელმი) - 1:23:35.00 (0+10); 2. **რუსეთი** (სლეპცოვა, ანისიმოვა, მოისეევა, იურიევა) - +19.3 (0+10); 3. **შვედეთი** (ჰოოგბერგი, ოლოფსონი, ნილსონი, იონსონი) - +20.3 (0+5), 4. **საფრანგეთი** - +29.0 (0+9); 5. **ჩინეთი** - +1:55.0 (0+8); 6. **ნორვეგია** - +2:01.8 (1+10).

**საერთო ჩათვლა:** 1. **სანდრინ ბეი** (საფ) - 198; 2. **მარტინა გლაგოვი** (გერ) - 194; 3. **კატი ვილჰელმი** (გერ) - 176; 4. **ანდრეა ჰინკელი** (გერ) - 159; 5. **ეკატერინა იურიევა** (რუს) - 149; 6. **ტორა ბერგერი** (ნორ) - 139.

## თხილამურებით რბოლა

### მსოფლიო თასი

### დავოსი (შვეიცარია)

#### მამაკაცები

**15 კმ. კლასიკური.** 1. **აქსელ ტაიხმანი** (გერ) - 38:43.6; 2. **ოდ-ბიორნ ჰიელმესეტი** (ნორ) - +8.8; 3. **სამი იაუჰოიაერვი** (ფინ) - +11.3; 4. **ლუკაშ ბაუერი** (ჩეხ) - +23.7; 5. **ელდარ რიონინგი** (ნორ) - +29.8; 6. **ტორ-ანდრე ჰეტლანდი** (ნორ) - +30.4; 6. **ტობიას ანგერერი** (გერ) - +30.4.

**4X10 კმ. ესტაფეტა.** 1. **ჩეხეთი** (მჰერლი, იაკსი, კუკალი, ბაუერი) - 1:35:40.6; 2. **იტალია I** (დი ჩენტა, ჩეკი, პილერ კოტრერი, ძორძი) - +0.0; 3. **შვედეთი** (ლარსონი, ოლსონი, სიოდერგრენი, ჰელნერი) - +0.5; 4. **ნორვეგია II** - +1.9; 5. **ნორვეგია I** - +2.1; 6. **საფრანგეთი** - +2.5.

**საერთო ჩათვლა:** 1. **აქსელ ტაიხმანი** (გერ) - 260; 2. **ლუკაშ ბაუერი** (ჩეხ) - 230; 3. **ელდარ რიონინგი** (ნორ) - 144; 4. **ტობიას ანგერერი** (გერ) - 130; 5. **იოჰან კიოელსტადი** (ნორ) - 124; 6. **ბიორნ ლინდი** (შვედ) - 109.

#### ქალები

**10 კმ. კლასიკური.** 1. **ვირპი კუიტინენი** (ფინ) - 27:27.3; 2. **ვიბეკე სკოფტერუდი** (ნორ) - +10.9; 3. **აინო კაისა საარინენი** (ფინ) - +23.5; 3. **კრისტინ სტოერმერ სტეირა** (ნორ) - +23.5; 5. **ანა ჰანსონი** (შვედ) - +25.1; 6. **პეტრა მაიდიჩი** (სლოვენ) - +31.7.

**4X5 კმ. ესტაფეტა.** 1. **ნორვეგია** (მიურერ სტელმანდი, სტეირა, სკოფტერუდი, იოჰაუგი) - 53:13.0; 2. **გერმანია** (ჰენკელი, ცელერი, ზახენბახერ შტელე, ბიოლერი) - +4.4; 3. **რუსეთი I** (კურკინა, რიოტჩევა, ჩეკალევა, კოროსტელევა) - +12.6; 4. **ფინეთი** - +12.8; 5. **შვედეთი** - +40.2; 6. **რუსეთი II** - +1:11.1.

**საერთო ჩათვლა:** 1. **მარიტ ბიორგენი** (ნორ) - 312; 2. **ვიბეკე სკოფტერუდი** (ნორ) - 212; 3. **პეტრა მაიდიჩი** (სლოვენ) - 209; 4. **ასტრიდ იაკობსენი** (ნორ) - 200; 5. **იუსტინა კოვალჩიკი** (პოლ) - 156; 6. **შარლოტ კალა** (შვედ) - 153.

## ტრამპლინიდან ხტომა

### მსოფლიო თასი

### ტრონდჰეიმი (ნორვეგია)

**HS131.** 1. **ტომას მორგენშტერნი** (ნორ) - 275.7 (133.0+131.0); 2. **გრეგორ შლირენცაუერი** (ავსტრია) - 269.8 (134.0+129.5); 3. **ტომ ჰილდე** (ნორ) - 268.2 (131.0+130.5); 4. **იანე აჰონენი** (ფინ) - 261.9 (130.0+128.0); 5. **იერნეი დამიანი** (სლოვენ) - 261.5 (130.5+127.0); 6. **ვოლფგანგ ლოიტცლი** (ავსტრია) - 258.9 (127.0+128.5).

**HS131.** 1. **ტომას მორგენშტერნი** (ნორ) - 269.6 (134.0+128.0); 2. **ანდრეას კოფლერი** (ავსტრია) - 255.2 (124.0+130.0); 3. **ვოლფგანგ ლოიტცლი** (ავსტრია) - 248.0 (123.5+126.5); 4. **ბიორნ ეინარ რომოერენი** (ნორ) - 247.5 (127.0+123.0); 5. **იერნეი დამიანი** (სლოვენ) - 246.9 (125.0+125.5); 6. **ტომ ჰილდე** (ნორ) - 237.8 (124.0+122.0).

**საერთო ჩათვლა:** 1. **ტომას მორგენშტერნი** (ნორ) - 300; 2. **ტომ ჰილდე** (ნორ) - 160; 3. **გრეგორ შლირენცაუერი** (ავსტრია) - 159; 4. **ბიორნ ეინარ რომოერენი** (ნორ) - 141; 5. **ვოლფგანგ ლოიტცლი** (ავსტრია) - 110; 6. **იანე აჰონენი** (ფინ) - 104.

## ჩრდილოური ორჭიდი

### მსოფლიო თასი

### ტრონდჰეიმი (ნორვეგია)

**HS131+15.0 კმ. გუნდერსენი.** 1. **ბილ დემონგი** (აშშ) - 38:54.9 (მე-8 ადგილი ტრამპლინის შემდეგ, ჩამორჩენა 0:42); 2. **ბიორნ კირხაიზენი** (გერ) - +0.7 (12, 1:08); 3. **რონი აკერმანი** (გერ) - +8.5 (6, 0:41); 4. **ერიკ ფრენცელი** (გერ) - +51.3 (3, 0:08); 5. **დავიდ კრაინერი** (ავსტრია) - +1:01.3 (5, 0:40); 6. **კრისტოფ ბილერი** (ავსტრია) - +1:12.1 (4, 0:40).

**HS131+7.5 კმ. სპრინტი.** 1. **კრისტოფ ბილერი** (ავსტრია) - 19:36.0 (3, 0:22); 2. **ჯეისონ ლამი შაპუი** (საფ) - +0.3 (3, 0:22); 3. **ბერნჰარდ გრუბერი** (ავსტრია) - +2.4 (1, 0:00); 4. **ერიკ ფრენცელი** (გერ) - +7.1 (2, 0:17); 5. **რონი აკერმანი** (გერ) - +7.1 (15, 1:01); 6. **ანსი კოივურანტა** (ფინ) - +13.4 (5, 0:26).

**საერთო ჩათვლა:** 1. **რონი აკერმანი** (გერ) - 255; 2. **ბიორნ კირხაიზენი** (გერ) - 234; 3. **კრისტოფ ბილერი** (ავსტრია) - 224; 4. **ბილ დემონგი** (აშშ) - 206; 5. **ერიკ ფრენცელი** (გერ) - 170; 6. **ბერნჰარდ გრუბერი** (ავსტრია) - 164.

## ციგურებით სირბილი

### მსოფლიო თასი

### ჰერენვეენი (ჰოლანდია)

#### მამაკაცები

**500 მ.** 1. **ტაკერ ფრედრიკსი** (აშშ) - 34.89; 2. **კიუ-ჰუიკ ლი** (კორ) - 35.00; 3. **იოონ მუნი** (კორ) - 35.05; 4. **კეიჩიჰირო ნაგაშიმა** (იაპ) - 35.10; 5. **კანგ-სეოკ ლი** (კორ) - 35.12; 6. **კოჯი კატო** (იაპ) - 35.14.

**500 მ.** 1. **კანგ-სეოკ ლი** (კორ) - 34.92; 2. **კოჯი კატო** (იაპ) - 34.94; 3. **იოონ მუნი** (კორ) - 34.96; 4. **მიკა პოუტალა** (ფინ) - 35.03; 5. **კიუ-ჰუიკ ლი** (კორ) - 35.05; 6. **ტაკერ ფრედრიკსი** (აშშ) - 35.09.

**საერთო ჩათვლა (500):** 1. **კანგ-სეოკ ლი** (კორ) - 430; 2. **ჯერემი უეზერსპუნი** (კან) - 400; 3. **კიუ-ჰუიკ ლი** (კორ) - 350; 4. **ტაკერ ფრედრიკსი** (აშშ) - 323; 5. **იოონ მუნი** (კორ) - 308; 6. **დმიტრი ლობკოვი** (რუს) - 306.

**1000 მ.** 1. **შენი დევისი** (აშშ) - 1:08.39; 2. **დენი მორისონი** (კან) - 1:08.71; 3. **კიუ-ჰუიკ ლი** (კორ) - 1:08.80; 3. **ერბენ ვენემარსი** (ჰოლ) - 1:08.80; 5. **იან ბოსი** (ჰოლ) - 1:08.99; 6 **იოონ მუნი** (კორ) - 1:09.01.

**საერთო ჩათვლა (1000):** 1. **შენი დევისი** (აშშ) - 330; 2. **კიუ-ჰუიკ ლი** (კორ) - 270; 3. **ჯერემი უეზერსპუნი** (კან) - 250; 4. **დენი მორისონი** (კან) - 216; 5. **იან ბოსი** (ჰოლ) - 177; 6. **ერბენ ვენემარსი** (ჰოლ) - 176.

**1 500 მ.** 1. **სვენ კრამერი** (კან) - 1:45.21; 2. **დენი მორისონი** (კან) - 1:45.34; 3. **მარკ ტუიტერტი** (ჰოლ) - 1:45.54; 4. **შენი დევისი** (აშშ) - 1:45.66; 5. **სიმონ კუიპერსი** (ჰოლ) - 1:45.79; 6. **ჰავარდ ბოკო** (ნორ) - 1:46.19.

**საერთო ჩათვლა (1500):** 1. **ერბენ ვენემარსი** (ჰოლ) - 296; 2. **მარკ ტუიტერტი** (ჰოლ) - 218; 3. **სიმონ კუიპერსი** (ჰოლ) - 214; 4. **შენი დევისი** (აშშ) - 210; 5. **ჰავარდ ბოკო** (ნორ) - 200; 6. **ენრიკო ფაბრისი** (იტა) - 194.

**5 000 მ.** 1. **სვენ კრამერი** (კან) - 6:15.26; 2. **ჰავარდ ბოკო** (ნორ) - 6:18.35; 3. **შენი დევისი** (აშშ) - 6:21.36; 4. **ვუტერ ოლდე ჰოიველი** (ჰოლ) - 6:21.54; 5. **რობ დე იონგი** (ჰოლ) - 6:26.87; 6. **არნე დანკერსი** (კან) - 6:27.10.

**საერთო ჩათვლა (5000/10000):** 1. **ჰავარდ ბოკო** (ნორ) - 300; 2. **სვენ კრამერი** (კან) - 280; 3. **რობ დე იონგი** (ჰოლ) - 208; 4. **ტომ პრინსენი** (ჰოლ) - 184; 5. **ენრიკო ფაბრისი** (იტა) - 180; 6. **ვუტერ ოლდე ჰოიველი** (ჰოლ) - 145.

#### ქალები

**500 მ.** 1. **ბეისინ ვანგი** (ჩინ) - 37.96; 2. **ჯენი ვულფი** (გერ) - 38.03; 3. **ანეტ გერიტსენი** (ჰოლ) - 38.53; 4. **იუდიტ ჰესე** (გერ) - 38.75; 5. **ანი ფრიზინგერი** (გერ) - 38.78; 6. **მარგო ბოერი** (ჰოლ) - 38.82.

**500 მ.** 1. **ჯენი ვულფი** (გერ) - 37.81; 2. **ბეისინ ვანგი** (ჩინ) - 37.92; 3. **სან-ხვა ლი** (კორ) - 38.59; 4. **ანეტ გერიტსენი** (ჰოლ) - 38.64; 5. **საიური იოში** (იაპ) - 38.73; 6. **საიური ოსუგა** (იაპ) - 38.76.

**საერთო ჩათვლა (500):** 1. **ჯენი ვულფი** (გერ) - 560; 2. **ბეისინ ვანგი** (ჩინ) - 520; 3. **საიური იოში** (იაპ) - 338; 4. **ანეტ გერიტსენი** (ჰოლ) - 336; 5. **აიჰუა ჩინგი** (ჩინ) - 244; 6. **მარიან ტიმერი** (ჰოლ) - 219.

**1000 მ.** 1. **ანი ფრიზინგერი** (გერ) - 1:15.34; 2. **კრისტინ ნესბიტი** (კან) - 1:15.66; 3. **კიარა სიმიონატო** (იტა) - 1:16.14; 3. **ბეისინ ვანგი** (ჩინ) - 1:16.14; 5. **კრისტინ გროვსი** (კან) - 1:16.37; 6. **ირენ ვიუსტი** (ჰოლ) - 1:16.45.

**საერთო ჩათვლა (1000):** 1. **ანი ფრიზინგერი** (გერ) - 360; 2. **კიარა სიმიონატო** (იტა) - 290; 3. **კრისტინ ნესბიტი** (კან) - 290; 4. **ბეისინ ვანგი** (ჩინ) - 266; 5. **სინდი კლასენი** (კან) - 172; 6. **ანეტ გერიტსენი** (ჰოლ) - 154.

**1 500 მ.** 1. **ანი ფრიზინგერი** (გერ) - 1:55.98; 2. **კრისტინ გროვსი** (კან) - 1:56.18; 3. **კრისტინ ნესბიტი** (კან) - 1:56.56; 4. **პაულიენ ვან დოიტეკომი** (ჰოლ) - 1:56.79; 5. **ირენ ვიუსტი** (ჰოლ) - 1:57.34; 6. **კლაუდია პეხშტაინი** (გერ) - 1:57.79.

**საერთო ჩათვლა (1500):** 1. **კრისტინ ნესბიტი** (კან) - 350; 2. **კრისტინ გროვსი** (კან) - 290; 3. **ანი ფრიზინგერი** (გერ) - 280; 4. **დანიელა ანშუტც ტომსი** (გერ) - 198; 5. **კლაუდია პეხშტაინი** (გერ) - 143; 6. **კიარა სიმიონატო** (იტა) - 136.

**3 000 მ.** 1. **რენატ გრონევოლდი** (ჰოლ) - 4:02.64; 2. **მარტინა საბლიკოვა** (ჩეხ) - 4:04.22; 3. **ირენ ვიუსტი** (ჰოლ) - 4:06.12; 4. **კლაუდია პეხშტაინი** (გერ) - 4:06.27; 5. **კრისტინ გროვსი** (კან) - 4:06.70; 6. **კლარა ჰიუზი** (კან) - 4:07.31.

**საერთო ჩათვლა (3000/5000):** 1. **მარტინა საბლიკოვა** (ჩეხ) - 380; 2. **რენატ გრონევოლდი** (ჰოლ) - 250; 3. **კლაუდია პეხშტაინი** (გერ) - 240; 4. **კრისტინ გროვსი** (კან) - 220; 5. **კლარა ჰიუზი** (კან) - 215; 6. **დანიელა ანშუტც ტომსი** (გერ) - 200.



NBA . ნოემბრის აღმოჩენები

# ხვალ უკეთ, ვიდრე გუშინ

რეგულარული ჩემპიონატის დაწყებიდან თვეზე მეტი გავიდა და უკვე შეიძლება მატჩების შედეგების მიხედვით სხვადასხვა რეიტინგების შედგენა. დღეს გთავაზობთ იმ კალათბურთელთა ჩამონათვალს, რომლებიც ამ სეზონში ჩრდილიდან გამოვიდნენ და სამართლიანად მოინათლნენ ნოემბრის თვის აღმოჩენებად.

## რონი ბრიუერი (შემტევი მცველი, იუტა)

*2006/07: 4.6 ქულა, 1.3 მოხსნა, 0.4 პასი*
*2007/08: 13.7 ქულა, 2.6 მოხსნა, 2.6 პასი*

**რით დაგვამახსოვრდა:** შემტევი მცველი არკანზასის უნივერსიტეტიდან ლიგაში მეორე სეზონს ატარებს. მას ტყორცნის თავისებური ტექნიკა აქვს, რისი მიზეზიც ბავშვობაში ხელის მოტეხილობაა. რონი პორტლენდში, საკალათბურთო ოჯახში დაიბადა და მეათე ნომრით თამაშობდა, სანამ „ჯაზში" არ მოხვდა. აქ ეს ნომერი **გორდან გირიჩეკს** ჰქონდა დაკავებული და ხორვატმა ის არ დათმო (რონიმ მეცხრე ნომერი აირჩია), სამაგიეროდ შემადგენლობაში ადგილის დათმობა მოუწია. გუნდის მწვრთნელი **ჯერი სლოუნი** ნებისმიერ ახალბედას ერთწლიან გამოცდას უწყობს და მისი გავლის შემდეგ, ბრიუერმა მყარად დაიკავა სასტარტო შემტევი მცველის პოზიცია. ამ კალათბურთელის ღირსებებს უნდა მივაკუთვნოთ დაცვაში მუშაობის სწრაფი ტემპი და მიღებული გადაწყვეტილებების მაღალი ხარისხი. ჩაჭრების რაოდენობა ორჯერ აღემატება შეცდომებს, ტყორცნების რეალიზაციის პროცენტი 52-ს უდრის. ბრიუერის სუსტი მხარეა არასტაბილური შორეული ტყორცნა.

**რა ელის:** „ჯაზში" ახალი **რაჯა ბელი** იზრდება. იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად გუნდის ხელმძღვანელობა მას სოლტ-ლეიკ-სიტიში დატოვებს და არ გაუშვებს ისე, როგორც ეს რაჯას შემთხვევაში მოხდა.

## კელენა აზუბუიკე (შემტევი მცველი, გოლ. სტეიტი)

*2006/07: 7.1 ქულა, 2.3 მოხსნა, 0.7 პასი*
*2007/08: 13.4 ქულა, 5.1 მოხსნა, 1.4 პასი*

**რით დაგვამახსოვრდა:** ყურადღება! თუ თქვენ ახალგაზრდა და ენერგიული ხართ, თამაშობთ კალათბურთს 1-2-3 პოზიციებზე, სწრაფად დარბიხართ და გიყვართ სამქულიანების სროლა, მოგვმართეთ ჩვენ! მოაწერეთ ერთწლიან კონტრაქტს ხელი და ჩვენ გარანტიას გაძლევთ, რომ შედეგიანობა ორჯერ გაიზრდება, ხოლო შორეული ტყორცნების რეალიზაცია 30 პროცენტს მიაღწევს! ჩვენთან ახალგაზრდა კოლექტივი და დინამიური ატმოსფეროა.



კელენა აზუბუიკე

არსებობს მომავალი ზრდის პერსპექტივები! ჩვენი მისამართია: Golden State Warriors, 1011 Broadway Oakland, CA 94607, (510) 986–2200, საკონტრაქტო პირი: **კრის მალინი**, გენერალური მენეჯერი.

**რა ელის:** ცოტა ხნის წინ, „მეომრების" ტრავმირებული კაპიტნის **სტივენ ჯექსონის** დაბრუნებამ თავისი კორექტივები შეიტანა. ბოლო თამაშებში **აზუბუიკე** სასტარტო ხუთეულში ვეღარ ჩნდება, სათამაშო დრო შემცირდა. **მონტა ელისის** (ეს ის კალათბურთელია, რომელმაც ზემოთხსენებულ კანტორას შარშან მიმართა და წლის აღმოჩენის პრიზი მიიღო) მხრიდან კონკურენციაც ასევე ეჭვქვეშ აყენებს ბრიტანული პასპორტის მქონე ნიგერიელის მომავალ პროგრესს.

## ბენო უდრიხი (გამთამაშებელი, საკრამენტო)

*2006/07: 4.7 ქულა, 1.7 პასი*
*2007/08: 14.7 ქულა, 4.7 პასი*

**რით დაგვამახსოვრდა:** ბენო უდრიხი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ყოველ მოთამაშეს აქვს თავისი კლუბი, თავისი ადგილი და თავისი ფერი. კარიერის მანძილზე, სლოვენიელმა პლეიმეიკერმა, როგორც ქამელეონმა უამრავი ფერი შეიცვალა. თავიდან სლოვენიის „ოლიმპიაში" მწვანე იყო, შემდეგ თელ-ავივის „მაკაბიში" გაყვითლდა, სარატოვის „ავტოდორის" გავლით, „მილანში" განითლდა. და ბოლოს, ბენოს ცხოვრებაში მუქი და ულიმღამო პერიოდი დადგა, ისეთი, როგორიც „სან ანტონიოს" ფორმაა. ამ სეზონის წინ, უდრიხი საერთოდ „სანაგვეზე" მოისროლეს და „გამოუყენებელი თავისუფალი აგენტის" იარლიყი მიაწებეს. ჰორიზონტზე უკვე მოჩანდნენ იტალიური და ესპანური კლუბები, მაგრამ საქმეში ფორტუნა ჩაერია. „საკრამენტო" გამთამაშებლის გარეშე დარჩა და ბენოს დიდი, იასამნისფერი შანსი მისცა. უდრიხი მას ორივე ხელით ჩაებღაუჭა, შედეგიანობა და პასების რაოდენობა თითქმის სამჯერ გაზარდა და „საკრამენტოს" გამოფხიზლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.

**რა ელის:** **მაიკ ბიბის** მწყობრში ჩადგომის შემდეგ, ბენო სათადარიგოებში გადაინაცვლებს. მაგრამ ნოემბერს უკვალოდ ნამდვილად არ ჩაუვლია. უდრიხმა საკუთარი თავი ირწმუნა, გუნდი იპოვნა. და „საკრამენტომაც" თავიდან გაიცნო სლოვენიელი. ასე რომ, რომანი გაგრძელდება.

## კრის კამანი (ცენტრი, კლიპერსი)

*2006/07: 10.0 ქულა, 7.8 მოხსნა*
*2007/08: 18.0 ქულა, 14.1 მოხსნა*

**რით დაგვამახსოვრდა:** არავის ეგონა, თუ **კრის კამანს** თავისი გარეგნობით „მკვლელის ინსტინქტი" ექნებოდა. თურმე ჰქონია. დასავლეთში მაღალი დონის ცენტრების დეფიციტია და ამ პირობებში, კრისი საშიშია არა მარტო ფორმით, არამედ შინაარსითაც. „დიდი თეთრი იმედი" ორმაგ დუბლებს თავისთვის და **ელტონ ბრენდისთვის** ჭედავს. ბრავო!

**რა ელის:** სეზონის მეორე ნახევარში ბრენდის დაბრუნება, კამანს შეტევაში მეორე-მესამე ვიოლინიოდ აქცევს. შემცირდება სათამაშო დრო, ის ყოველ ეპიზოდში ვეღარ შეეხება ბურთს. მიუხედავად ამისა, ორმაგ დუბლებს მაინც ხშირად ვიხილავთ. სეზონის ბოლოს სტატისტიკა - 16 ქულა+11 მოხსნა, ამ ცენტრალურ თავდამსხმელს გარანტირებული აქვს.

## დამიენ უილკინსი (შემტევი მცველი, სიეტლი)

*2006/07: 8.8 ქულა, 2:8 მოხსნა, 1.9 პასი*
*2007/08: 13.9 ქულა, 4.4 მოხსნა, 2.4 პასი*

**რით დაგვამახსოვრდა:** ლეგენდარული **დომინიკ უილკინისის** სული მისი ახალგაზრდა ნათესავის სხეულში ჩასახლდა. უმცროსი უილკინსი ქვას ქვაზე არ ტოვებს, მას კარგად დაყენებული ტყორცნა აქვს და ფიზიკური თვალსაზრისითაც არავის ჩამოუვარდება.

**რა ელის:** გუნდში 2007 წლის დრაფტის მეორე ნომერის, **კევინ დიურანის** ყოფნა ფსიქოლოგიურად მოქმედებს უილკინსზე. „სუპერსონიქსი" დიურანის გუნდია. ავილოთ მაგალითად „ატლანტასთან" მატჩი, ორი ოვერტაიმით. რა დაგვამახსოვრდა: ის რომ უილკინსმა 41 ქულა გააკეთა თუ ის, რომ სირენასთან ერთად დიურანის მიერ ჩაგდებულმა ერთადერთმა სამქულიანმა „სიეტლს" გამარჯვება მოუტანა? ასე იქნება მომავალშიც - ყველანაირი დიდება დიურანს, უილკინსი კი, პერიოდულად გაისვრის, მაგრამ ვარსკვლავი ვერ გახდება.

## NBA . რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 104:89**
27:23, 15:25, 36:24, 26:17

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (28 ქ. 6 მ. 5 პ), ჯეიმისონი (22 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), სტივენსონი (12 ქ), სონგაილა (11 ქ. 6 მ), ჰეივუდი (10 ქ), ა. დენიელსი (10 ქ. 5 პ. 4 მ. 4 ჩ).
**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (30 ქ. 5 მ. 4 პ), ნახბარი (19 ქ. 7 მ), კიდი (13 ქ. 13 პ. 10 მ).

**ტორონტო-ჰიუსტონი 93:80**
16:22, 18:23, 28:11, 31:24

**ტორონტო:** ბოში (21 ქ. 10 მ. 4 დ. 3 პ), ჰამფრიზი (16 ქ. 9 მ), დელფინო (12 ქ. 8 მ), ე. პარკერი (11 ქ), კაპონ (10 ქ. 3 პ).
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (23 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), მინი (15 ქ. 6 მ. 3 დ), უელსი (12 ქ).

**დეტროიტი-შარლოტი 104:85**
30:16, 26:29, 25:20, 23:20

**დეტროიტი:** ბილაპსი (20 ქ. 6 პ), მაკდაიესი (19 ქ. 9 მ. 2 დ), რ. ჰამილტონი (18 ქ), მაქსიელი (11 ქ. 7 მ. 2 დ).
**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (15 ქ), ოკაფორი (14 ქ. 4 მ), ფელტონი (10 ქ), ერმანი (10 ქ).

**ლეიკერსი-გ. სტეიტი 123:113**
31:31, 29:28, 32:27, 31:27

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (28 ქ. 8 პ. 6 მ. 3 ჩ), ბინუმი (20 ქ. 11 მ. 5 დ. 3 პ), ფიშერი (15 ქ), ოდომი (14 ქ. 10 მ. 6 პ), რადმანოვიჩი (14 ქ), არიზა (11 ქ), ტურიაფი (10 ქ).
**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (20 ქ. 8 მ. 7 პ. 4 ჩ), ს. ჯექსონი (18 ქ. 6 მ. 4 პ), მ. პიეტრუსი (14 ქ), მ. ელისი (13 ქ. 5 მ. 5 პ).

**ნიუ ორლეანი-სიეტლი 91:88**
23:17, 29:24, 15:24, 24:23

**ნიუ ორლეანი:** პოლი (29 ქ. 10 პ. 2 ჩ), დევიდ უესტი (15 ქ. 10 მ. 2 დ), ჩენდლერი (10 ქ. 7 მ. 3 დ).
**სიეტლი:** დიურანი (23 ქ. 4 მ. 2 დ), შჩერბიაკი (14 ქ), უილკოქსი (13 ქ. 12 მ), კურტ ტომასი (12 ქ. 10 მ), უოტსონი (12 ქ. 8 პ. 6 მ), კოლისონი (3 ქ. 12 მ. 3 პ).

**პორტლენ.-მილუოკი 117:113 (ო)**
30:27, 27:24, 27:25, 21:29, 12:8

**პორტლენდი:** როი (26 ქ. 9 პ. 8 მ. 2 ჩ), ოლდრიჯი (24 ქ. 3 მ. 3 დ), ტ. აუთლო (20 ქ. 5 მ), ს. ბლეიკი (19 ქ. 5 პ).
**მილუოკი:** მო უილიამსი (33 ქ. 6 პ. 4 მ. 4 ჩ), ბოგუტი (21 ქ. 5 მ), ვილიანოვა (19 ქ. 9 მ), რედი (18 ქ. 5 პ).

**კლიპერსი-მაიამი 94:100**
26:30, 25:21, 20:26, 23:23

**კლიპერსი:** მაგეტი (24 ქ. 12 მ. 6 პ. 2 ჩ), კამანი (14 ქ. 12 მ. 3 დ. 2 ჩ), მობლი (14 ქ. 5 პ), ნაიტი (10 ქ. 9 პ), ტიმ ტომასი (10 ქ), პ. დევისი (10 ქ).
**მაიამი:** უეიდი (35 ქ. 10 პ. 5 მ), ჰასლემი (17 ქ. 9 მ), რ. დევისი (17 ქ), ქვინი (13 ქ), შ. ონილი (8 ქ. 8 მ. 4 პ. 3 დ. 2 ჩ).

# ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–ნიუ ჯერსი 1:0 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 შენეჰანი-10 (გომესი-18, ტიუტინი-4).

**დეტროიტი–კაროლინა 5:2**

1:0, 2:2, 2:0

**გოლები:** 1:0 ფილპულა-5 (ჰუდლერი-11, ლიდსტრიომი-22), 1:1 ე. კოული-6 (გლისონი-5), 2:1 ფრანცენი-3 (კლირი-8, ჰუდლერი-12), 2:2 ე. კოული-7 (ს. უოკერი-5, ფ. კაბერლე-6), 3:2 ლილია-2 (კრონვალი-9, ჰუდლერი-13), 4:2 დაციუკი-12, 5:2 ჰოლმსტრიომი-14 (ზეტერბერგი-20, ლიდსტრიომი-23).

**ჩიკაგო–კალგარი 2:3**

1:0, 0:1, 1:2

**გოლები:** 1:0 ლანგი-9 (ბიფუგლინი-5, მ. იოჰანსონი-4), 1:1 ნოლანი-5 (ტანგეი-20, კონროი-8), 1:2 სერიჩი-2, 1:3 ლენგკოუ-11 (ფანოფი-12), 2:3 ბიფუგლინი-7 (ლანგი-16, ჰავლატი-3).

**კოლორადო–სენტ ლუისი 9:5**

1:1, 5:1, 3:3

**გოლები:** 0:1 მაკკლემანი-2 (სტემპნიაკი-12, ბეკსი-3), 1:1 ჰეიდუკი-11 (რ. სმიტი-14), 2:1 ჰეიდუკი-12 (ბ. კლარკი-6, ლაილსი-8), 2:2 მაკკლემანი-3 (ბულიტი), 3:2 შჩასტნი-12 (ჰლინკა-4, ჰენანი-9), 4:2 ვოლსკი-10 (ბრუნეტი-15, ჰენანი-10), 5:2 ბ. კლარკი-3 (ჰეიდუკი-11, შჩასტნი-24), 6:2 რ. სმიტი-9 (შჩასტნი-25, ჰეიდუკი-12), 6:3 უეიტი-2 (ბოიესი-7, სალვადორი-7), 6:4 პერონი-6 (მეიერსი-5, ტკაჩუკი-17), 7:4 შჩასტნი-13 (რ. სმიტი-15, ჰეიდუკი-13), 8:4 ჰეიდუკი-13 (შჩასტნი-26, ლაილსი-9), 9:4 ვოლსკი-11 (ბრუნეტი-16, ჰენსიკი-1), 9:5 სტემპნიაკი-5 (პერონი-5, ბრიუერი-6).

### ტურის მოვლენები

- „ნიუ ჯერსი დევილზმა“ შეწყვიტა 9-მატჩიანი მოგებათა სერია.
- „რეინჯერსის“ მეკარემ **ჰენრიკ ლუნდკვისტმა** 17 დარტყმა მოიგერია და კარიერაში მე-12 შათაუტი შეასრულა.
- ლუნდკვისტი ლიგის ლიდერია საშუალოდ გაშვებული გოლების რაოდენობით - 1.94.

■ ■ ■

- ლიგის ლიდერმა „დეტროიტ რედ უინგზმა“ ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო.

■ ■ ■

- ჩიკაგომ“ ამ სეზონში მისთვის სარეკორდო, 4-მატჩიანი წაგებათა სერია გამოაცხო.
- ჩიკაგოელმა **დასტინ ბიფუგლინმა** ბოლო 6 მატჩში 5 გოლი და 4 საგოლე პასი მიითვალა.

■ ■ ■

- „კოლორადოს“ თავისი ლიდერი და კაპიტანი **ჯო საკიკი** აკლდა, მაგრამ მაინც გაუტანა 9 გოლი „სენტ ლუისს“.
- მასპინძელთა ფორვარდმა **მილან ჰეიდუკმა** 3 გოლი და 3 შედეგიანი პასი მიითვალა.
- „კოლორადომ“ თავისი არსებობის ისტორიაში მე-1000 გამარჯვებას მიაღწია.
- „ეველანშის“ 9 გოლიდან, 6 ჰეიდუკის, შჩასტნისა და **რაიან სმიტის** სამეულზე მოდის. ამ ტრიომ ჯამში 14 ქულა მოიპოვა, რაც ამ სეზონის რეკორდია.
- ასევე ამ სეზონის რეკორდია „კოლორადოს“ მიერ ერთ პერიოდში გატანილი 5 გოლი.
- კოლორადოელმა **ენდრიუ ბრუნეტმა** ზედიზედ მე-400 მატჩი ჩაატარა პაუზის გარეშე.
- მილან ჰეიდუკმა ზედიზედ მეშვიდე მატჩში დააგროვა მინიმუმ ერთი ქულა. გარდა ამისა, ამ ფორვარდმა კარიერაში მეასე გოლი გაიტანა რიცხობრივი უპირატესობის დროს.



ჰეიდუკმა (მარჯვნივ) 6 ქულა მიითვალა

# TV სპორტი

### 11 დეკემბერი. სამშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:00 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
20:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ოლიმპიაკოსი-ვერდერი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-ფიორენტინა.
09:45 მინი-მოედანი.
10:00 მხატვრული ტანვარჯიში. საერთაშორისო ტურნირი. პეკინი. ჩინეთი.
12:35 სპორტული სამყარო.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
14:45 სპორტკლუბი.
15:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ოტავა.
16:50 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
17:20 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
19:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ტორინო.
20:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვერდერი.
22:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ოლიმპიაკოსი-ვერდერი (LIVE).
01:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პორტუ-ბეშიქთაში.
03:30 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
03:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
05:40 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი.
07:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი.
14:00 მულტისპოტი.
14:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შტუტგარტი-რეინჯერსი.
15:30 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
15:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლივერპული-პორტუ.
16:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
17:30 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. IV დღე. ტელფორდი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
22:00 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. IV დღე. ტელფორდი (LIVE).
02:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
03:00 რალი. IRC-ის სერია. HS142. სეზონის მიმოხილვა.
03:30 ევროსპორტის ჩემპიონები. ტაიგერ ვუდსი.
04:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ევროსპორტის ჩემპიონები. როჯერ ფედერერი.
13:30 სნოუბორდი. გერმანია.
14:15 მოტოფრისტაილი. პრაღა. ჩეხეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
19:00 ბოულინგი. მსოფლიო თასი. ქალები. ფინალი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი.
20:00 მულტისპორტი.
20:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VI ტური. ბეშიქთაში (თურქეთი)-ვენტსპილსი (ლატვია) (LIVE).
23:15 ახალი ამბები.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VI ტური. ბოლონია (იტალია)-დინამო (რუსეთი) (LIVE).
01:15 პროფესიული კრივი. WBC. სუპერმჩატე წონა. ხ. მარკესი-რ. ხუარესი. ლას ვეგასი. აშშ.
02:00 ახალი ამბები.
02:15 პრო-რესტლინგი.
03:15 ახალი ამბები.

# სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

## კიდევ ერთი ავსტრიული დუბლი

სამთო თხილამურობაში მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპები ავსტრიელი მოთხილამურეების გამარჯვებით დასრულდა. **ბენიამინ რაიხმა** და **ნიკოლ ჰოსპმა**, შესაბამისად ავსტრიის ბად კლაიკირხჰაიმსა და აშშ-ის ასპენში, სლალომის რბოლები მოიგეს.

რაიხმა, ვინც 2006 წელს მსოფლიოს თასს აბსოლუტურ კლასიფიკაციაში დაეუფლა (ბროლის დიდი გლობუსი), ახალ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა და აბსოლუტურში დაწინაურდა. მან პირველივე ცდაზე ხელთ იგდო ლიდერობა და მიუხედავად იმისა, რომ მეორე ცდაზე მესამე საუკეთესო დრო ჰქონდა, მაინც ნახევარ წამზე მეტით აჯობა მეორეზე გასულ შვედ **იენს ბიგმარკს**.

*"თხილამურები თავის ნებაზე მივუშვი და ამით რაც გამოვიდა, კარგად ხედავთ. დიდი ხანია ამ გამარჯვებას ველოდი. ბედნიერი ვარ, რომ ბოლოსდაბოლოს, ჩემი დროც დადგა. აბსოლუტურში ლიდერი გავხდი და ვეცდები ის ალარავის დავუთმო"*, - განაცხადა რაიხმა, ვისი საუკეთესო შედეგიც მანამდე, კანადის ლეიკ ლუისში დაკავებული მეორე ადგილი იყო. აღანიშნავია, რომ გასულ სეზონში, რომელშიც მან აბსოლუტურ ჩემპიონთან, ნორვეგიელ **აკსელ ლუნდ სვინდალთან** 13 ქულა წააგო, რაიხმა სულ ექვსი ეტაპის მოგება მოახერხა.

ბიგმარკმა მოწინავე სამეულში მიმდინარე სეზონში პირველი რბოლა დაასრულა. მასთან სულ რაღაც 0.06 წამი წააგო მესამეზე გასულმა იტალიელმა **მანფრედ მიოლეგმა**, ვინც წინა დღეს, გიგანტურ სლალომში მეორე ადგილი დაიკვა.

კვლავ ხელი მოეცარა ამერიკელ **ბოდე მილერს**, ვისაც პირველ ცდაზე 45-ე დრო ჰქონდა, რის გამოც მეორე ცდის შესრულების საშუალება არ მიეცა. ხელი მოეცარა აბსოლუტურის აწ უკვე ყოფილ ლიდერს, შვეიცარიელ **დანიელ ალბრეხტსაც**, რომელმაც ეტაპი მე-16 შედეგით დაასრულა. მას ახლა 332 ქულა აქვს. ყველასათვის მოულოდნელად, მეორე ცდაზე საუკეთესო შედეგი იტალიელ **პატრიკ თალერს** ჰქონდა, რომელმაც საბოლოოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

ჰოსპმა, ვინც შარშან ბროლის დიდ გლობუსს დაეუფლა, ტურინის ოლიმპიადაზე კი სლალომში ვერცხლის მედალი აიღო, ორი ცდის ჯამში 1.19 წამით აჯობა სლალომის ფინელ სპეციალისტ **ტანია პოუტიაინენს**, რომელსაც ასპენში მსოფლიო თასის ორი რბოლა აქვს მოგებული.

ამჯერად ხელმოცარული დარჩა ავსტრიელი **მარლის შილდი**, ვინც სლალომის წინა ორი ეტაპი მოიგო. ამჯერად ის მეორე ცდაზე კარს ასცდა და ჩასათვლელი ქულების გარეშე დარჩა, თუმცა აბსოლუტურშიც და სლალომის კლასიფიკაციაშიც ლიდერობა შეინარჩუნა.

ასპენი (აშშ, კოლორადო).
ქალები. სლალომი

**1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1:34.60 (46.13, 48.47); 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 1:35.79 (46.10, 49.69); 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 1:35.94 (46.20, 49.74); 4. ტერეზ ბორსენი (შვედეთი) 1:36.36 (46.43, 49.93); 5. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 1:36.52 (46.64, 49.88); 6. ვერონიკა სუსულოვა (სლოვაკეთი) 1:36.84 (46.61, 50.23); 7. ფრიდა ჰანსდოტერი (შვედეთი) 1:36.86 (48.74, 48.12); 8. რეზი შტიგლერი (აშშ) 1:37.07 (47.35, 49.72); 9. მარია რიში (გერმანია) 1:37.21 (47.62,49.59); 10. დენიზე კარბონი (იტალია) 1:37.44 (48.68, 48.76)...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. მარლის შილდი (ავსტრია) 343; 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 326; 3. დენიზე კარბონი (იტალია) 235; 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 223; 5. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) 212; 6. მარია რიში (გერმანია) 204; 7. ჯულია მანკუზო (აშშ) 192; 8. ბრიტ იანიკი (კანადა) 189; 9. ანია პერსონი (შვედეთი) 183; 10. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 180...**

ბად კლაიკირხჰაიმი (ავსტრია).
კაცები. სლალომი

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 1:34.46 (48.34, 46.12); 2. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 1:35.12 (48.58, 46.54); 3. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 1:35.18 (48.69, 46.49); 4. პატრიკ თალერი (იტალია) 1:35.35 (50.08, 45.27); 5. კრისტიან დევილე (იტალია) 1:35.44 (49.12, 46.32); 6. რაინფრიდ ჰერბსტი (ავსტრია) 1:35.46 (48.69, 46.77); 7. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:35.54 (49.11, 46.43); 8. სილვან ცურბრიგენი (შვეიცარია) 1:35.63 (49.76, 45.87); 9. მანფრედ პრანგერი (ავსტრია) 1:35.64 (48.97, 46.67); 10. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 1:35.74 (49.04, 46.70)...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 405; 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარი) 332; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 273; 4. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 262; 5. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 234; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 230; 7. ბოდე მილერი (აშშ) 194; 8. მარიო შაიბერი (ავსტრია) 182; 9. კალე პალანდერი (ფინეთი) 180; 10. იან ჰუდეცი (კანადა) 175...**



რაიხი გამარჯვებას ზეიმობს

კიორლინგი

## შოტლანდია და შვედეთი

გერმანიის ქალაქ ფიუსენში ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. შაბათს გაიმართა ფინალური მატჩები და მამაკაცებს შორის ჩემპიონი გახდა შოტლანდიის ნაკრები, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში 5:3 დაამარცხა ნორვეგია. ბრინჯაოს მედლები დანიელებს ერგოთ.

A დივიზიონი დატოვეს ფინეთმა და იტალიამ. მათ ადგილს მომავალ სეზონში ირლანდიისა და ესპანეთის ნაკრებები დაიკავებენ.

ქალთა შორის ფინალშიც შოტლანდია თამაშობდა, მაგრამ 4:9 წააგო შვედეთის ნაკრებთან. მესამე ადგილი აქაც დანიის ნაკრებმა დაისაკუთრა.

გაისად, A დივიზიონში ავსტრიისა და ფინეთის ნაკრებების ნაცვლად ინგლისი და ჰოლანდია ითამაშებენ.

ფორმულა 1

## როსბერგი უილიამსში დარჩა

საბოლოოდ დადასტურდა, რომ „უილიამსის“ ახალგაზრდა გერმანელი პილოტი **ნიკო როსბერგი** უახლოესი ორი სეზონის განმავლობაში არსად გადასვლას არ აპირებს. ლეგენდარული **კეკე როსბერგის** ვაჟმა ბრიტანულ საჯინიბოსთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

*„ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ორი წელი შემეძლება ამ გუნდში მუშაობა. საჯინიბოს ხელმძღვანელობამ სარფიანი პირობები შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. დღეს ძალიან კარგ გუნდში პირველი ნომერი ვარ. რა თქმა უნდა, ხანდახან წარმოვიდგენ საკუთარ თავს „მაკლარენში“ ან „ფერარიში“. ნებისმიერი ახალგაზრდა პილოტის სურვილია ლიდერებთან ერთად მუშაობა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ მოთმინებაა საჭირო. წარმატება იშვიათად მოდის სწრაფად"*, - განაცხადა როსბერგმა კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

გოლფი

## ვუდსის ცოლს ბოდიში მოუხადეს

ირლანდიურმა ჟურნალმა The Dubliner-მა სახელგანთქმული გოლფისტის, ამერიკელი **ტაიგერ ვუდსის** მეუღლეს, **ელინ ნორდეგრენს** ბოდიში მოუხადა მისი შიშველი ფოტოების გამოქვეყნებისთვის, რომელიც საბოლოოდ ყალბი წარმოშობისა აღმოჩნდა. ეს სურათები 2006 წელს დაიბეჭდა.

ჟურნალი კომპენსაციასაც გადაუხდის ელინს. მართალია თანხა ოფიციალურად არ დასახელებულა, მაგრამ ერთ-ერთი წყაროს ცნობით, რომელიც სასამართო პროცესს ესწრებოდა, კომპენსაცია 182 ათას დოლარს შეადგენს.

ელინ ნორდეგრენის სიტყვებით, ეს ფული მთლიანად საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**კლუბები**

| | |
|---|---|
| სეპაჰანი–ურავა | 1:3 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| სუონსი–ჰორშემი | 6:2 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ფრაიბურგი–ბორუსია (მ) | 1:3 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პავრი–მონპელიე | 0:0 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა–პლზენი | 3:1 |

**ჰოკეი**

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| პიუკ–კიეკო ბლუზი | 0:6 |

## სხვადასხვა

კალათბურთი

### ნიქსი ყველაზე მდიდარია

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ, ამერიკულმა გამოცემა „ფორსბმა“ ყველაზე მდიდარი სპორტსმენების სია გამოაქვეყნა. ამის შემდეგ კი, კლუბების ჯერი დადგა და გაირკვა, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კვლავინდებურად ყველაზე დიდი ბიუჯეტის მფლობელია „ნიუ იორკ ნიქსი“ - თანხა 604 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც შარშანდელზე სამი პროცენტით მეტია.

მეორე ადგილზე იმყოფება „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ (560 მილიონი), მესამეზე - „ჩიკაგო ბულზი“ (500 მილიონი). საუკეთესო ხუთეულში შედიან „დეტროიტ პისტონზი“ და „ჰიუსტონ როკერტსი“.

წლევანდელი რეგალური ჩემპიონატის მსვლელობა გვიჩვენებს, რომ დიდი ბიუჯეტი ბევრს არაფერს ნიშნავს. „ნიუ იორკი“ სეზონის მთავარი აუთსაიდერი გახლავთ.

საინტერესოა, რომ „ნიქსი“ ამერიკული ფეხბურთის ლიგაში რომ თამაშობდეს, ის ყველაზე მდიდარი კლუბების სიაში მეათე ადგილზე იქნებოდა. NFL-ში ყველაზე დიდი ბიუჯეტი „კოვბოის“ აქვს - 1.5 მილიარდი დოლარი.

### ტინსლის ესროლეს

კინაღამ ტრაგედიით დასრულდა „ინდიანა პეისერსის“ მცველის **ჯამაალ ტინსლისა** და მისი რამდენიმე მეგობრის სტუმრობა ღამის კლუბ Cloud 9-ში. კვირას, კალათბურთელი საკუთარი „როლს როისით“ კლუბის მიმდებარე ტერიტორიას ტოვებდა, როცა მას და მის თანმხლებ პირებს ცეცხლი გაუხსნეს. პოლიციის ცნობით, „ინდიანას“ ერთ-ერთი მენეჯერი **ჯოუი კატატო**, რომელიც ტინსლის გვერდით იჯდა, დაიჭრა, თავად კალათბურთელი კი, არ დაზარალებულა.

ჩხუბი მაშინ დაიწყო, როცა ტინსლი შენობიდან გამოდიოდა, გასროლა კი, მანქანიდან განხორციელდა. მიზეზი იყო კალათბურთელის მისამართით გამოთქმული რამდენიმე უსიამოვნო შენიშვნა მის მანქანაზე და საკალათბურთო კონტრაქტზე. საგულისხმოა, რომ ტინსლის ძმამ თავდამსხმელებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნა, თუმცა თავად მოთამაშეს ინციდენტში პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია.

### აბდურ-რაჰიმი სეზონს გამოტოვებს

როგორც ჩანს, „საკრამენტო კინგზის“ ფორვარდს **შარიფ აბდურ-რაჰიმს** სეზონის დარჩენილი ნაწილის გამოტოვება მოუწევს. თავდამსხმელს, რომელიც NBA-ში თავის მე-12 სეზონს ატარებს, მარჯვენა მუხლის ოპერაცია ივნისში გაუკეთეს. ახლა კი, ამავე მუხლზე ხელმეორედ გახდა საჭირო ქირურგიული ჩარევა.

*„იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რომ არ შემიძლია გუნდის დახმარება. მაგრამ ყველას აქვს რთული პერიოდები და როგორც ჩანს, ახლა ჩემი ჯერი დადგა. სანამ გამოვჯანმრთელდები, მანამდე თანაგუნდელების დახმარების სხვა მეთოდებს ვიპოვნი“*, - ამბობს აბდურ-რაჰიმი.

### იტურბე იტალიაში წავიდა

ბოლონიის „ფორტიტუდომ“ ესპანელი ფორვარდი **იკერ იტურბე** დაიმატა (199 სმ). ეს უკანასკნელი აქამდე ესპანურ კლუბებში - „რეალში“ (1998-2002) და „ესტუდიანტესში“ (2002-07) თამაშობდა.

იტურბემ უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და იტალიურ გუნდში დებიუტი ამ კვირას ექნება. გასულ წელს, ესპანეთის ჩემპიონატში კალათბურთელის სტატისტიკური მაჩვენებლები 9.6 ქულას, 2.7 მოხსნას და 1.3 შედეგიან გადაცემას უტოლდებოდა.

სამთო თხილამურები

### ვალ დ'იზერის ნაცვლად სანქტ-მორიცში

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო თასის კალენდარში ერთი ცვლილება შეიტანა. 15-16 დეკემბერს, მორიგი ეტაპი საფრანგეთის კურორტ ვალ დ'იზერში უნდა გამართულიყო, მაგრამ ახლა გადაწყდა, რომ მოთხილამურეებს შვეიცარიის სანკტ-მორიცი უმასპინძლებს.

ვალ დ'იზერში ქალები სწრაფდაშვებაში და სუპერგიგანტში უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ეტაპი თოვლის არასაკმარისი რაოდენობის გამო არ გაიმართება.

ჩოგბურთი

### საჩოგბურთო ზეიმი ბელგრადში

8 დეკემბერს, სერბული ჩოგბურთის ლიდერებს მნიშვნელოვანი დღე ჰქონდათ. მათ თავიანთ გულშემატკივრებს ნამდვილი საჩოგბურთო ზეიმი აჩუქეს.

ბელგრადის სპორტკომპლექს „არენაზე“ 20 ათასი ადგილი შევსებული იყო. ცერემონიაზე **ნოვაკ ჯოკოვიჩს** წლის საუკეთესო მამაკაცი ჩოგბურთელის პრიზი (ერთი დღით ადრე, მსოფლიოს მესამე ჩოგანს სერბეთის წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულიც ერგო) გადასცეს, საუკეთესო ქალი ჩოგბურთელი გახდა **ელენა იანკოვიჩი**, ხოლო **იანკო ტიპსარევიჩს** სერბეთის ნაკრების საუკეთესო მოთამაშის ტიტული ერგო.

შემდეგ ამ სამეულს შეუერთდა **ანა ივანოვიჩი** და ოთხივე ჩოგბურთელს გადაეცა გაისად პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის სერთიფიკატი.

ზეიმის კულმინაცია აღმოჩნდა წყვილთა შეხვედრა, რომელშიც იანკო ტიპსარევიჩმა და ანა ივანოვიჩმა 6:3 დაამარცხეს ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ელენა იანკოვიჩის დუეტი.

### შარაპოვა ახალ კლიპში გადაიღეს

რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** ყოველდღიურად იმყარებს პოზიციებს სპორტის ყველაზე მდიდარი ვარსკვლავების რეიტინგში.

ამჯერად, მსოფლიოს მეხუთე ჩოგანი მაიამიში მორიგ სარეკლამო კლიპში გადაიღეს. შარაპოვა რეკლამას უკეთებს ენერგეტიკულ სასმელ Gatorade-ს. მაყურებელი პირველად კლიპს გაისად, ავსტრალიის ღია პირველობის მსვლელობისას იხილავს.

გადაღებების შემდეგ, შარაპოვა საკალათბურთო მატჩს დაესწრო „მაიამი ჰიტის“ მონაწილეობით, რომელშიც NBA-ის ვარსკვლავები **შაკილ ო'ნილი** და **დუეინ უეიდი** თამაშობენ.

### ჰაარჰიუსი საუკეთესო ვეტერანია

კვირას, ლონდონში დასრულდა ვეტერანთა ტურის შემაჯამებელი ტურნირი - Black Rock Masters Tennis. ზედიზედ მესამე წელი, ამ პრესტიჟული ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა ჰოლანდიელი ჩოგბურთელი **პოლ ჰაარჰიუსი**. ფინალში მან ფრანგი **გი ფორჟე** დაამარცხა. პირველი სეტი ჰოლანდიელმა 6:1 მოიგო, მეორეში 6:7 წააგო, მესამეში პირდაპირ ტაი-ბრეიკი გაიმართა და ის ჰაარჰიუსის გამარჯვების დასრულდა - 10:8.

გზად ფინალამდე, ჰაარჰიუსმა ბრწყინვალე სტილში დაამარცხა ორი ფავორიტი - ამერიკელი **ჯონ მაკინროი** და ესპანელი **სერხი ბრუგერა**. ფინალში ტრიუმფის შემდეგ, 41 წლის ჰოლანდიელმა განაცხადა: *„ეს უბრალოდ ფანტასტიკაა! მატჩი კარგად დავიწყე, მაგრამ შემდეგ ფორჟემ მოწოდება გამოასწორა. ბოლოში მე უფრო მეტად გამიმართლა და გავიმარჯვე. 10:8 ბოლო ტაი-ბრეიკში - ამაზე დაძაბულ ფინალს ვერც მოვიფიქრებდით“.*

## კრივი

უქმეების ბრძოლები

# აბრაჰამი სხვა ტიტულებსაც უმიზნებს

გასული უქმეები საკრივო სამყაროში რამდენიმე საინტერესო ბრძოლით იყო დატვირთული. **ფლოიდ მეივეზერმა** რომ **რიკი ჰატონს** მოუგო, ამ ბრძოლის ანდერქარდზე, ზესაშუალო წონის ყოფილმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ჯეფ ლეისიმ**, ლას ვეგასშივე, ქულებით აჯობა თანამემამულე **პიტერ მანფრედოს**, შვეიცარიის ბაზელში კი, სომხური წარმოშობის გერმანელმა **არტურ აბრაჰამმა**, ბრიტანელ **უეინ ელკოკს** მეხუთე რაუნდში აგემა ნოკაუტი და IBF-ის ვერსიით, საშუალო წონის ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა.

ლეისიმ (23-1) წინა ბრძოლაში მაჯის სახსარი მოიტეხა, მაგრამ მანფრედოსთან შეხვედრაში ამ ტრავმის კვალიც აღარ ეტყობოდა. ბრძოლა მეტად უშელავათო გამოდგა. ერთი შეხედვით, გამარჯვებული ძნელი გამოსავლენი უნდა ყოფილიყო, თუმცა სამივე მსაჯმა მცირე უპირატესობა მაინც ლეისის (მისი მეტსახელია ცაცია ჰუკი) მიანიჭა.

თავიდანვე უფრო აქტიური მანფრედო (28-5) იყო, ვინც მთელი ბრძოლა შეტევაში გაატარა. ლეისი თავს იოლად იცავდა და ხშირად კონტრშეტევასაც ახერხებდა. მსაჯების გადაწყვეტილებაზე კი გავლენა ლეისის მიერ ბრძოლის პირველ ნაწილში მოპოვებულმა ნოკდაუნმა იმოქმედა.

ორივე მოკრივეს ცოტა ხნის წინ, მკლავის ოპერაცია აქვს გაკეთებული. ორივემ ბრძოლა ფრთხილად დაიწყო. ისინი მეტოქის მოქმედებას ზვერავდნენ, რათა შემდეგ, მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით დაეგეგმათ თავიანთი შემდგომი ტაქტიკა. ლეისიმ მანფრედოს ნოკდაუნი მეოთხე რაუნდში აგემა. სხვა მხრივ, ბრძოლა თანაბარი იყო და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა რაუნდში მეტოქეებმა თანაბარი ქულები აგროვეს.

აღსანიშნავია, რომ ლეისიმაც და მანფრედომაც ცოტა ხნის წინ მარცხი უელსელი **ჯო კალძაგესგან** იგემეს. ლეისის ის წაგება ძალიან ძვირი დაუჯდა – WBO-ის და IBF-ის ტიტულები დათმო. მანფრედომ კი კალძაგესთან შეხვედრამდე, სახელი ტელეშოუ "კონტენდერში" გაითქვა. სხვათა შორის, ლას ვეგასის ბრძოლას ზესაშუალო წონის უელსელი აბსოლუტური ჩემპიონიც დაესწრო, ვინც იქ ჰატონის საქომაგოდ გაემგზავრა.

მეივეზერის მსგავსად, აბრაჰამიც (25-0, 20 ნოკაუტი) პროფესიულ რინგზე ჯერ დაუმარცხებელია. გარდა იმისა, რომ საშუალო წონაში ერთ-ერთი პრესტიჟული გაერთიანების საჩემპიონო სარტყელს ფლობს, მან შარშან იმითაც დაგვამახსოვრა თავი, რომ ყბამოტეხილმა შეძლო ერთ-ერთი მორიგი მეტოქის დამარცხება.

ჩემპიონმა ელკოკი (18-3) პირველად რინგზე მეორე რაუნდშივე დასცა. მაგრამ ბრიტანელმა ბრძოლის გაგრძელება შეძლო. თუმცა, მეორე ნოკდაუნი მისთვის საბედისწერო გამოდგა. სანამ რეფერი ათს დაითვლიდა, მან ბრძოლისათვის მზაობა გამოთქვა, მაგრამ მალე თავს ჩემპიონის მუშტების სეტყვა დაატყდა, რის გამოც რეფერიმ ბრძოლა შეაჩერა.

მართალია, აბრაჰამმა იოლ გამარჯვებას მიაღწია, მაგრამ რინგი მაინც დალილავებულმა ადტოვა. საქმე ისაა, რომ მესამე რაუნდში მოკრივეებმა ერთმანეთს თავები დასცხეს, რამაც ჩემპიონს მარჯვენა წარბი გადაუხსნა.

*"ძალიან ძლიერი მეტოქე მყავდა და ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებას მივაღწიე"*, - მოკლედ მოჭრა აბრაჰამმა, ვისაც ახლა ამავე წონის სხვა ჩემპიონთან ბრძოლა სწყურია. ის არ მალავს, რომ **ჯერმეინ ტეილორსა** და **კელი პავლიკს** შორის გამარჯვებულთან შეხვედრა სურს. შეგახსენებთ, რომ ამ ორი მოკრივის პირველი ჯახი წელს შედგა და ის, ბევრისთვის მოულოდნელად, პავლიკის გამარჯვებით დასრულდა, რომელიც ტეილორს მაშინვე შეპირდა რემატჩს.

აბრაჰამისა და ელკოკის ბრძოლის ანდერქარდზე, ზემძიმე წონაში, ბრიტანელი **დენი უილიამსისა** (37-6) და უკრაინელი **ოლეგ პლატოვის** (26-1) ბრძოლა შედგა, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. ბრძოლა მეოთხე რაუნდში, მას შემდეგ შეწყდა, რაც პლატოვს მარცხენა წარბიდან სისხლდენა ვერ შეუჩერეს. მსაჯებმა კი ბრძოლა უშედეგოდ მხოლოდ იმის გამო გამოაცხადეს, რომ ინციდენტი უილიამსის უხეშობის შედეგი იყო – მან მეტოქეს წარბში თავი დასცხო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ავტოსპორტი

ფორმულა 1

# ალონსო რენოში ბრუნდება



ალონსო მერმის კვლავ "რენოში" იქნება

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** "რენოში" ბრუნდება. ფრანგული გუნდი თავის შემადგენლობას სრულად აახლებს – მომდევნო სეზონში, მისი მეორე პილოტი ბრაზილიელი **ნელსონ პიკე უმცროსი**, ანუ **ნელსინიუ პიკე** იქნება.

*"ფერნანდოსა და ნელსინიუს სახით, ჩვენ ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წყვილი გვეყოლება და ყველაფერს ვეცდებით, რომ ისინი მათი ამბიციების შესაფერისი ტექნიკით უზრუნველვყოთ"*, - ნათქვამია "რენოს" შეფ **ფლავიო ბრიატორეს** მიერ გამოქვეყნებულ განცხდებაში. მისივე თქმით, გუნდის ტესტ და სათადარიგო პილოტად აყვანილია ფრანგი პილოტი **რომენ გროჟანი**, რომელმაც გასულ სეზონში ფორმულა სამის ევროსერია მოიგო.

შეგახსენებთ, რომ ალონსომ თავისი ორივე ტიტული 2005 და 2006 წლებში მოიპოვა, როცა "რენოს" ბოლიდით ასპარეზობდა. მას სულ 19 რბოლა აქვს მოგებული, პირველი დიდი პრიზი კი 2003 წელს იმავე "რენოს" ბოლიდით მოიგო.

რაც შეეხება პიკეს, ვინც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის, **ნელსონ პიკეს** შვილია, გასული სეზონი მან "რენოს" ტესტ პილოტად იმუშავა. წინა სეზონში კი გრან-პრი ორის სერიის ვიცე ჩემპიონი გახდა – წინ მხოლოდ ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** გაუშვა.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი ალადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა**